პალიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

6 აპრილი **პარასკევი** 2012 №081 (13687) ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



## მერმადინს ნეკმა უმუხთლა

12

ქართველი კალათბურთელი ერთ თვეს დაისვენებს

# დინამოს ნავსი აქვს გასატეხი, მეტალურგს – დინამო

## დერბი გურიაში




3

დინამოელი დავით ოდიკაძის და რუსთაველი ლაშა ჯაფარიძის ორთაბრძოლა — ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

## ჯონ ტერის მორიგი მტერი: ნეკი

თუმცა კაპიტანს ეს მაინც არ აშინებს



6

# ვასილ მაისურაძის წარმატების რეცეპტი:

შრომა, ბრძოლა, თავდადება... ...და იღბალი გვმოვნებით



2

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# ევროპის თუ იბერიის ლიგა?

## ნახევარ ფინალში მხოლოდ კუნძულელები



7

ატლეტიკო – ვალენსია

სპორტინგი – ბილბაო

## ქართული ფეხბურთი

U17. ინტერვიუ

# ვასილ მაისურაძე

# ბიჭებს უნდა ახსოვდეთ: ეს მხოლოდ ერთი აგურია!

## ყველაზე რთული პერიოდი ახლა იწყება

როცა წინასაახალწლოდ 2012 წლის საფეხბურთო მოვლენებს გავიხსენებთ, დიდი ალბათობით, ყველაზე დიდ წარმატებად საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლას დავასახელებთ. ჩვენმა გუნდმა ხომ თბილისურ ელიტრაუნდში უდიდესი სიხარული გვაჩუქა და "სიკვდილის ჯგუფში" ესპანეთს, ინგლისსა და უკრაინას აჯობა. ამაში კი უდიდესი წვლილი სამწვრთნელო შტაბს მიუძღვის – ვასილ მაისურაძემ, მერაბ კაციტაძემ და თემურ ჩარკვიანმა ბიჭები ფიზიკურ-ტაქტიკურად და ფსიქოლოგიურად შესანიშნავად მოამზადეს და ისტორიულ წარმატებასაც მიაღწიეს.

ვასილ მაისურაძე "ლელოს" სტუმარი არაერთხელ ყოფილა და საბედნიეროდ, გვაქვს იმის მიზეზი, რომ მისი ნააზრევი ახლო პერიოდში სისტემატურად შემოგთავაზოთ. გუშინ ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის წილისყრის თაობაზე მისი კომენტარი გაგაცანით, დღეს კი ინტერვიუს შემოგთავაზებთ.

მანამდე კი მოკლედ გადავხედოთ მის საფეხბურთო წარსულს. მაისურაძე "ავაზასა" და 35-ე საფეხბურთო სკოლის აღზრდილია, მის ფეხბურთელად ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული წვლილი ზურაბ მაისურაძეს მიუძღვის. ჭაბუკთა შორის საბჭოთა კავშირის ჩემპიონია, თუმცა ნაადრევი ზრდის გამო იმ დონის ფეხბურთი ვერ ითამაშა, როგორსაც უწინასწარმეტყველებდნენ. იყო ჯერ ნახევარმცველი, შემდეგ კი ცენტრალური მცველი. უთამაშია "ვიტ ჯორჯიაში", თელავის "კახეთში", ქუთაისის "ტორპედოსა" და ბოლნისის "სიონში".

2004-2006 წლებში თბილისის "დინამოს" მწვრთნელ-სელექციონერი იყო, 2006 წლიდან კი უფრო აქტიურ სამწვრთნელო კარიერას შეუდგა და "დინამოს" აკადემიის ბავშვებთან ერთად სამჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი. საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების ამჟამინდელი ფორმაცია 2009 წელს ჩამოყალიბდა და შექმნის დღიდან მას მაისურაძე წვრთნის.

40 წლის სპეციალისტთან ინტერვიუ სწორედ ნაკრების ჩამოყალიბების ისტორიით დავიწყეთ და შემდეგ სხვა აქტუალურ თემებს შევეხეთ.



ვასილ მაისურაძე
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

- საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელად ჩემი დანიშვნის ინიციატორი ალექსანდრე ჩივაძე იყო. მან დიდი ნდობა გამომიცხადა და ამ საპასუხისმგებლო ამოცანას დიდი ენთუზიაზმით შევეჭიდე. მწვრთნელობა ჯერ კიდევ ფეხბურთელობის დროს მქონდა გადაწყვეტილი და მივიჩნიე, რომ ნაკრების სათანადოდ გაძღოლა შემეძლო. შემთხვევით ვისარგებლებ და ვეტერან ფეხბურთელებს მოვუწოდებ, უფრო აქტიურად ჩაერთონ სამწვრთნელო საქმიანობაში და ქართული ფეხბურთის წინსვლაში საკუთარი წვლილი შეიტანონ.

**- რა მოთხოვნები წაუყენეთ საკუთარ თავს, როცა ამ თანამდებობაზე დაინიშნეთ?**

- თავის ქებაში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ 2009 წლიდან დღემდე ძალიან დიდი სამუშაო გავწიეთ იმისთვის, რომ ნაკრები ამჟამინდელ კონდიციებამდე მიგვეყვანა. საკუთარ თავს მიზნად სწორედ ის დავუსახე, რასაც მივაღწიეთ. ნაკრების მწვრთნელობა და ნაკრებში თამაში სულ სხვა პასუხისმგებლობაა და ეს ბიჭებს კარგად გავათვითცნობიერებინეთ. განვლილი პერიოდი კი ნაყოფიერად გამოვიყენეთ. სწორი მუშაობით, შეკრებებით, საერთაშორისო ტურნირებითა და აქტიური სელექციით სასურველი შედეგი მივიღეთ.

**- როგორია თქვენი საფეხბურთო გემოვნება და ფილოსოფია?**

- ყოველთვის შემტევ ფეხბურთს ვანიჭებდი უპირატესობას, თუმცა ამასთანავე, მომწონდა ბრძოლისუნარიანი გუნდები და ფეხბურთელები. დღევანდელ ფეხბურთში წარმატებას ვერ მიაღწევს ის გუნდი, რომელიც მოედნის თითოეული მონაკვეთისთვის არ იბრძვის. წარმატებული ვერც გაუნათლებელი ფეხბურთელი იქნება. ვცდილობ, ჩემი იდეები ფეხბურთელებს მაქსიმალურად მივაწოდო. მოხარული ვარ, რომ საქართველოს ნაკრების წევრებს ჩემი ბოლომდე ესმით. ჩვენს შორის სრული თანხმობა და ურთიერთგაგებაა.

**- უკვე გავიდა საკმარისი პერიოდი იმისთვის, რომ ფინალურ ეტაპზე გასვლა ცივი გონებით შევაფასოთ. რა გახდა ამ წარმატების მთავარი საფუძველი?**

- პირველ რიგში, საკუთარი ძალების რწმენა. სხვაგვარად, თავიდანვე უშანსოდ ვიქნებოდით. იმის მიუხედავად, რომ "სიკვდილის ჯგუფში" მოვხვდით, ერთმანეთს ვუთხარით, რომ პირველ ადგილზე უნდა გავსულიყავით. დანარჩენი კი განსაკუთრებულ საიდუმლოებას ნამდვილად არ წარმოადგენს – შრომა, ბრძოლა, თავდადება... და რა თქმა უნდა, იღბალიც, რის გარეშეც ასეთ ძლიერ მეტოქეებს ვერ დაამარცხებ.

**- რა მეთოდებს მიმართეთ ფეხბურთელთა მორალური განწყობის ასამაღლებლად?**

- ამისთვის ორიგინალური ნაბიჯები ნამდვილად არ გადაგვიდგამს. ერთი ეგ იყო, რომ ელიტრაუნდამდეც და მისი მსვლელობისასაც მწვრთნელები ფეხბურთელთა მდგომარეობაში მაქსიმალურად შევდიოდით და მათთვის სათქმელ თითოეულ სიტყვას ვწონიდით – ასეთ დროს თითოეულ დეტალს უდიდესი მნიშვნელობა აქვს და ვცდილობდით, არაფერი შეგვშლოდა. ერთი სიტყვით, მოედანზეც და მის მიღმაც ბეწვის ხიდზე ვიარეთ.

**- ინგლისთან გამარჯვების შემდეგ ფეხბურთელებს უბრალოებისა და თავში არავარდნისთვის მადლობა გადაუხადეთ. წარსული სამწუხარო გამოცდილებიდან გამომდინარე, დიდია იმის საფრთხე, რომ ნაკრების წევრთა ნაწილმა ეს უბრალოება დაკარგოს.**

- გეთანხმებით, ამაზე მეც ბევრს ვფიქრობ. ყველაზე რთული პერიოდი ახლა იწყება – გადამეტებული ქება-დიდება, სელექციონერთა ინტერესი, ევროპაში სინჯებზე სიარული... ყოველივე ეს ხშირად არათუ ჭაბუკებს, არამედ ჩამოყალიბებულ ფეხბურთელებსაც კი ვნებთ. მაქსიმალურად შევეცდები, ამ პროცესში ჩავერიო და ბიჭები სწორ გზას არ ავაცდინო, მაგრამ ეს მხოლოდ ჩემზე არ არის დამოკიდებული. მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით მოვუწოდო ფეხბურთელებს, მათ მშობლებსა თუ ახლობლებს, რომ ამ ბიჭებს ზრდა და განვითარება აცადონ, ეს მხოლოდ მათი კარიერის დასაწყისია და ჯერ განსაკუთრებული წარმატებისთვის არ მიუღწევიათ, ყველაფერი წინ აქვთ და საკუთარი მომავალი საფრთხეში არ ჩააგდონ. ბიჭებს უნდა ახსოვდეთ, რომ ეს მათ კარიერაში მხოლოდ ერთი აგურია და თუ უნდათ, რომ წარმატებული ფეხბურთელები გახდნენ, წინსვლა აუცილებლად უნდა განაგრძონ.

**- როგორ წარიმართება ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპისთვის მზადება?**

- გვპირდებიან, რომ ნაკრებს მოსამზადებლად იდეალური პირობები ექნება და იმედია, ასეც მოხდება. სავარაუდოდ, ავსტრიაში, ქალაქ გრაცში ორკვირიან შეკრებაზე წავალთ. იქ კარგ პირობებში ვივარჯიშებთ და ორ-სამ საკონტროლო მატჩსაც ჩავატარებთ. გრაციდან ლიუბლიანამდე 150 კილომეტრია და ამ მანძილს ავტობუსით უცებ დავფარავთ.

**- შეგვიძლია ვთქვათ, რომ ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების ღირსებას ის 18 ფეხბურთელი დაიცავს, რომლებიც ელიტრაუნდის განაცხადში გყავდათ შეყვანილი?**

- წინასწარ ვერაფერს გეტყვით, თუმცა ბირთვი უცვლელი დარჩება. ავსტრიაში, სავარაუდოდ 20 ფეხბურთელით გავემგზავრებით და 18 მოთამაშეს მათ შორის შევარჩევთ.

**- ევროპის ჩემპიონატზე მკაფიოდ დასახული ამოცანა თუ გექნებათ?**

- ამის თქმისგან თავს შევიკავებ. ყველა მეტოქესთან ვიბრძოლებთ, მაგრამ გერმანიასა და საფრანგეთთან წარმატების მიღწევა იოლი ნამდვილად არ იქნება. ევროპის ჩემპიონატის უმთავრეს ფავორიტად გერმანიის ნაკრები მიმაჩნია და პირველ შეხვედრას სწორედ მის წინააღმდეგ გავმართავთ.

**- ნაკრების წევრები ქვეცნობიერად ფინალურ ეტაპზე გასვლით ხომ არ დაკმაყოფილდნენ?**

- ამ თემაზე სამწვრთნელო შტაბის წევრები აქტიურად ვმსჯელობთ და ყოველნაირად შევეცდებით, ბიჭები დავარწმუნოთ, რომ ელიტრაუნდში გამარჯვება მათი შესაძლებლობების ზღვარი არ არის. დარწმუნებული ვარ, სლოვენიაში მოტივაციის ნაკლებობის პრობლემა არ გვექნება.

**- თუ იცით, როგორი რეზონანსი გამოიწვია ევროპაში საქართველოს ნაკრების წარმატებამ?**

- წილისყრის ცერემონიაზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ნიკა ჩხეიძე წარმოადგენდა და როგორც მან მითხრა, ჩვენს გამარჯვებას დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. "სიკვდილის ჯგუფიდან" გასვლის გამო მეტოქეები აუტსაიდერად სულაც არ მიგვიჩნევენ და ჩვენზე ინფორმაციასაც აქტიურად აგროვებენ. 17-წლამდელთა ნაკრების გამარჯვებამ ქართული ფეხბურთის პრესტიჟი საგრძნობლად გაზარდა.

**- ბოლოს ისევ თქვენს კარიერას შევეხოთ. ამ წარმატებამ თქვენი ავტორიტეტი უდავოდ გაზარდა და ალბათ, ახალ ხელსაყრელ წინადადებებსაც მიიღებთ, თუნდაც ქართული კლუბებისგან...**

- რა თქმა უნდა, როგორც მწვრთნელმა, საკმაოდ დიდ წარმატებას მივაღწიე, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ მაქვს სასწავლი და ამ ეტაპზე ამბიციურ კლუბში მუშაობაზე უარს ვიტყვი. დღეს ყველაზე სასარგებლო იმ საქმეში ვარ, რასაც ვაკეთებ – ჩემი სურვილია, უახლოეს მომავალში საქართველოს ნაკრებსა და "დინამოს" დუბლშემადგენლობაში მუშაობა გავაგრძელო, დანარჩენს კი მომავალი გვიჩვენებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

სახელმწიფო და ფეხბურთი



ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური ნაკრებს თანადგომას ჰპირდება

# ნიკა გილაური: ყველაფერი უნდა გავაკეთოთ 17-წლამდელთა ხელშესაწყობად

საქართველოს ჩვიდმეტწლამდე ფეხბურთელთა ნაკრების ევროპის ჩემპიონატზე გასვლა ნიშნავს, რომ ქართულ ფეხბურთს მომავალი აქვს, - ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა **ნიკა გილაურმა** მთავრობის სხდომაზე განაცხადა და საზოგადოებას ნაკრების გამარჯვება მიულოცა.

„*ბავშვებმა რეალურად ყველაფერი გააკეთეს, რომ ევროპის ჩემპიონატზე გასულიყვნენ. ეს ნიშნავს, რომ ქართულ ფეხბურთს მომავალი აქვს. ბევრად უფრო კარგი ახალი თაობა მოდის, ვიდრე ველოდებოდით და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ მათ ხელშესაწყობად*“, - განაცხადა გილაურმა.

მისივე თქმით, შედგება თათბირი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ **ზვიად სიჭინავასთან**, სადაც განიხილება ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრებამდე, ნაკრების დამატებითი შეკრებისათვის თანხების გამოყოფის საკითხი.

ამასთან, როგორც სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა **ლადო ვარძელაშვილმა** განაცხადა, ნაკრების წარმატება იმ სამწლიანი მუშაობის შედეგია, რომელიც ფეხბურთის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა.

ვარძელაშვილის თქმით, ამ პროგრამის მიხედვით, ყველა ასაკობრივ ნაკრებში ბავშვების სწორი აღზრდა ხორციელდება; ხოლო დამატებითი სამუშაოები იქნება ჩასატარებელი ნაკრებთან, რადგან მათ არანაკლებ რთულ ჯგუფში მოუწევთ ასპარეზობა.

„ინტერპრესნიუსი“

U16

# მზადება ოთხთა ტურნირისთვის

როგორც იცით, 14-22 აპრილს თბილისში ოთხთა საერთაშორისო ტურნირი გაიმართება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს, თურქეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის 16-წლამდელთა ნაკრებები.

როგორც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდი იტყობინება, საქართველოს ნაკრებმა, რომელსაც **ნოდარ აკობია** წვრთნის, საწვრთნელი შეკრება ზუგდიდში, "ბაიას" ბაზაზე დაიწყო. აკობიამ შემდეგი ფეხბურთელები გამოიძახა: **ბექა ქურდაძე, ოთარ გოშაძე, რუსლან ბედიევი, ნიკა დვალი, გიორგი სადღობელაშვილი, გიორგი აბელაშვილი, გიორგი გალდავაძე, გიორგი ქობულაძე, ნიკა ქორიძე, რატი კაკიაშვილი, ნიკა ლაშხია, გიორგი წივილაშვილი, ჯონი გოგლიჩიძე, ბექა მიქელთაძე, ანდრო ნემსაძე, ამირან გოგიაშვილი, ვასილ კაციტაძე, ირაკლი ჟვანია, გიორგი ახალაძე, ირაკლი ელიაური.**

**ლევან ჯანეზაშვილი**



ნოდარ აკობია

ფოტო: www.gff.ge

მსოფლიოს საკლუბო რეიტინგი

# საქართველოდან ისევ სამი

ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ (IFFHS) აპრილის საკლუბო რეიტინგი გამოაქვეყნა, სადაც მსოფლიოს 402 კლუბია შეტანილი. საქართველოს კი რეიტინგში კვლავ სამი წარმომადგენელი ჰყავს.

მათგან საუკეთესო პოზიცია თბილისის "დინამოს" უკავია, რომელიც 102-დან 108-ე საფეხურამდე ჩამოქვეითდა. "ზესტაფონი" 165-ეა, საქართველოს მოქმედმა ჩემპიონებმა 174-ედან 165-ე ადგილზე აინაცვლეს, რუსთავის "მეტალურგი" კი 202-ედან 206-ე ადგილამდე დაეშვა.

რაც შეეხება რეიტინგის სათავეს, საუკეთესო სამეული არ შეცვლილა, საუკეთესო ათეულის ახალი ბინადრები კი მიუნხენის "ბაიერნი" და მადრიდის "ატლეტიკო" არიან.

**ზეათეული ასე გამოიყურება:**

1. ბარსელონა (ესპანეთი)
2. რეალი (ესპანეთი)
3. ველეს სარსფილდი (არგენტინა)
4. უნივერსიდად დე ჩილე (ჩილე)
5. ბაიერნი (გერმანია)
6. სანტოსი (ბრაზილია)
7. ატლეტიკო (ესპანეთი)
8. მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი)
9. მანჩესტერ სიტი (ინგლისი)
10. შალკე (გერმანია), უნივერსიდად კატოლიკა (ჩილე)

...108. დინამო (თბილისი)
...165. ზესტაფონი
...206. მეტალურგი (რუსთავი)

**ლევან ჯანეზაშვილი**

## პლეი ოფი

**კოლხეთი–მერანი** bwin: 1.78 3.30 4.10 — 06.04 ფოთი. ფაზისი — 16:00

**დინამო–მეტალურგი** bwin: 1.85 3.10 4.00 — 06.04 თბილისი. დინამო არენა — 18:00
Live რეპორტაჟი პირველ არხზე

**ზესტაფონი–დილა** bwin: 1.38 3.80 8.25 — 06.04 ზესტაფონი. დ. აბაშიძე — 18:00

**ტორპედო–ბაია** bwin: 1.57 3.40 5.50 — 06.04 ქუთაისი. ტორპედო — 18:00

## პლეი აუტი

**მერცხალი–გურია** — 06.04 ოზურგეთი. მეგობრობა — 16:00

**ვიტ ჯორჯია–ბათუმი** — 06.04 მცხეთა. მცხეთა პარკი — 16:00

**სპარტაკი–ჩიხურა** — 06.04 თბილისი. ბენდელა — 16:00

**გაგრა–სიონი** — 06.04 თბილისი. მერანი (ზეემაა) — 16:00

## პლეი ოფი

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ |
| 1 | ზესტაფონი | 19 | 11 | 6 | 2 | 32 | 15 | 39 | 9 | 5 | 2 | 2 | 14 | 9 | 17 | 10 | 6 | 4 | 0 | 18 | 6 | 22 |
| 2 | მეტალურგი | 19 | 11 | 2 | 6 | 28 | 22 | 35 | 10 | 7 | 2 | 1 | 17 | 5 | 23 | 9 | 4 | 0 | 5 | 11 | 17 | 12 |
| 3 | დინამო | 19 | 7 | 7 | 5 | 32 | 25 | 28 | 11 | 4 | 6 | 1 | 20 | 12 | 18 | 8 | 3 | 1 | 4 | 12 | 13 | 10 |
| 4 | ტორპედო | 18 | 7 | 5 | 6 | 19 | 16 | 26 | 8 | 5 | 2 | 1 | 15 | 7 | 17 | 10 | 2 | 3 | 5 | 4 | 9 | 9 |
| 5 | დილა | 19 | 5 | 6 | 8 | 21 | 21 | 21 | 9 | 3 | 1 | 5 | 11 | 11 | 10 | 10 | 2 | 5 | 3 | 10 | 10 | 11 |
| 6 | ბაია | 19 | 5 | 6 | 8 | 16 | 24 | 21 | 10 | 4 | 4 | 2 | 12 | 9 | 16 | 9 | 1 | 2 | 6 | 4 | 15 | 5 |
| 7 | კოლხეთი | 19 | 4 | 8 | 7 | 12 | 22 | 20 | 11 | 3 | 3 | 5 | 6 | 13 | 12 | 8 | 1 | 5 | 2 | 6 | 9 | 8 |
| 8 | მერანი | 18 | 4 | 2 | 12 | 17 | 32 | 14 | 7 | 3 | 1 | 3 | 7 | 9 | 10 | 11 | 1 | 1 | 9 | 10 | 23 | 4 |

## პლეი აუტი

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ |
| 1 | ჩიხურა | 5 | 3 | 1 | 1 | 7 | 4 | 10 | 2 | 1 | 1 | 0 | 2 | 0 | 4 | 3 | 2 | 0 | 1 | 5 | 4 | 6 |
| 2 | ვიტ ჯორჯია | 5 | 3 | 1 | 1 | 4 | 2 | 10 | 3 | 3 | 0 | 0 | 4 | 0 | 9 | 2 | 0 | 1 | 1 | 0 | 2 | 1 |
| 3 | გურია | 5 | 2 | 2 | 1 | 10 | 9 | 8 | 2 | 0 | 1 | 1 | 2 | 4 | 1 | 3 | 2 | 1 | 0 | 8 | 5 | 7 |
| 4 | სპარტაკი | 5 | 2 | 2 | 1 | 6 | 5 | 8 | 3 | 2 | 1 | 0 | 5 | 3 | 7 | 2 | 0 | 1 | 1 | 1 | 2 | 1 |
| 5 | გაგრა | 5 | 1 | 3 | 1 | 5 | 4 | 6 | 3 | 1 | 2 | 0 | 2 | 0 | 5 | 2 | 0 | 1 | 1 | 3 | 4 | 1 |
| 6 | სიონი | 5 | 1 | 2 | 2 | 7 | 7 | 5 | 3 | 1 | 1 | 1 | 6 | 5 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 1 | 2 | 1 |
| 7 | ბათუმი | 5 | 1 | 2 | 2 | 3 | 6 | 5 | 2 | 0 | 1 | 1 | 2 | 4 | 1 | 3 | 1 | 1 | 1 | 1 | 2 | 4 |
| 8 | მერცხალი | 5 | 0 | 1 | 4 | 1 | 6 | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 1 | 3 | 0 | 3 | 0 | 1 | 2 | 0 | 3 | 1 |

**სეზონის** დაწყებიდან არ წყდება კრიტიკა XXIII ჩემპიონატის რეგლამენტზე, თუმცა „ზედა და ქვედა რვიანებად“ დაყოფასაც შესაძლოა, ხანდახან დადებითი „ელემენტებიც“ მოეძებნოს; აი, მაგალითად, ის ფაქტი, რომ თითქმის ყოველ ტურში (პლეი ოფს ვგულისხმობთ), სულ მცირე, ერთი გამორჩეული მატჩი გველოდება და ასეა ახლაც: დღევანდელ „დინამო“ — „მეტალურგის“ დაპირისპირებას ხომ უდიდესი სატურნირო მნიშვნელობა აქვს. ტურის ცენტრალურ შეხვედრაზე ცალკე ვისაუბრებთ და აქვე, ბარემ ისიც ვთქვათ, რომ როგორც პლეი ოფის, ასევე პლეი აუტის სხვა დანარჩენი მატჩებიც არანაკლებ ინტერესს იწვევს. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, დღეს ხომ სამწვრთნელო დებიუტი უნდა შედგეს: ბათუმის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელის რანგში პირველი მატჩი უნდა ჩაატაროს გია გურულმა!

დღევანდელი ტურის სხვა „თავისებურებაც“ უნდა ვახსენოთ: უჩვეულოზე მეტი უნდა დავარქვათ იმ ფაქტს, როცა ერთდროულად სამი მატჩი ჩატარდება პროჟექტორების შუქზე! „დინამო“ — „მეტალურგი“, როგორც უკვე „მიგვაჩვია“ „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“, პირდაპირი ტელეეთერით გადაიცემა („ტრადიციულ“ დროს - 18 საათზე); სწორედ ამ დროს დაიწყებენ თავიანთ საშინაო შეხვედრებს ჩემპონატის სხვა ფავორიტებიც: „ზესტაფონი“ და „ტორპედო“. რაც შეეხება ამ ტურის კიდევ ერთ „თავისებურებას“, სწორედ დღევანდელი მატჩებით უნდა დასრულდეს „საგაზაფხულო მარათონი“: 8 მარტიდან მოყოლებული გუნდებს ხომ ყოველ მეოთხე-მეხუთე დღეს უწევდათ თამაშების ჩატარება. აი, აპრილის ბოლომდე კი შედარებით „სულისმოსათქმელი“ კალენდარი ელოდებათ გუნდების უმრავლესობას და კვირაში ერთი მატჩის ჩატარებაც, ალბათ, პრობლემა არ უნდა იყოს. თუმცა, ამ ფუფუნებით ყველა როდი ისარგებლებს: 10 და 18 აპრილს თასის ნახევარფინალური შეხვედრებია, ამას გარდა 10 აპრილს ერთადერთი გამოტოვებული მატჩიც („ტორპედო“ — „მერანი“) უნდა ჩატარდეს. რაც მთავარია, ამიერიდან უამინდობასა თუ „არანორმალურად გადატვირთულ კალენდარზე“ საწუწუნო არავის უნდა ჰქონდეს...

# ვის გაუნათდება დღეს?

### ფსიქოლოგიური წნეხი

ტურის ცენტრალურ მატჩს მეტოქეები აშკარად არაერთგვაროვანი განწყობით ხვდებიან: „მეტალურგს“ ამჟამად „შენილბული“ კი არა, ერთ-ერთი რეალური ფავორიტის სტატუსი უფრო შეეფერება, „დინამოს“ კი თითქმის თვეა, თამაში არ მოუგია! ჰო, მართლაც უცნაური „საყაიმო სინდრომი“ დასჩემდა „დინამოს“: ზედიზედ ხუთმა ფრემ (!) ჩვენი ყველაზე ტიტულიანი გუნდი არაკრიტიკულ, მაგრამ მაინც არასახარბიელო სატურნირო მდგომარეობაში ჩააყენა. ალარ გვინდა ისედაც უდიდეს ფსიქოლოგიურ წნეხში მყოფ „დინამოს“ მწვრთნელ-ფეხბურთელთათვის იმის შეხსენება, რომ საქართველოს ჩემპიონატის ისტორიაში გუნდს სეზონი პირველ სამეულს მიღმა არასდროს დაუმთავრებია! თუმცა ამის რეალური საფრთხე არსებობს და დინამოელებსაც ევროტურნირების საგზურის მოსაპოვებლად უდიდესი ძალისხმევა მართებთ. ასეთი პრინციპული მატჩის წინ უადგილოდ მიგვაჩნია „დინამოს“ ბოლოდროინდელი წარუმატებლობის (ზედიზედ 5 ფრე ასეთი ამბიციური და, რაც მთავარია, ყველანაირად უზრუნველყოფილი კლუბისთვის მართლაც ვერაფერი შედეგია) მიზეზ(ებ)ზე გვემსჯელა; კიდევ ვიმეორებთ: სამწვრთნელო შტაბიც და ფეხბურთელებიც უდიდესი ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ იმყოფებიან, დავუმატოთ ამას საკადრო პრობლემებიც და ძნელი მისახვედრი არ იქნება, თუ როგორი განწყობა იქნება ერთ-ერთ კონკურენტთან მატჩის წინ დინამოელთა ბანაკში.

### ტკბილ-მწარე მოგონებები

...უმაღლეს ლიგაში არცთუ მცირე პაუზის მერე დაბრუნებულმა **გიორგი დევდარიანმა** „დინამოს“ მთავარი მწვრთნელის რანგში პირველი მატჩი სწორედ „მეტალურგის“ წინააღმდეგ ჩაატარა. წლეულს, 19 თებერვალს რუსთავში გამართული ეს შეხვედრა დევდარიანისათვის წარმატებული გამოდგა: **ჩისკოსა** და **გიორგი მერებაშვილის** გოლებით „დინამომ“ დამსახურებულად გაიმარჯვა (სხვათა შორის, ეს იყო „მეტალურგის“ პირველი და უკანასკნელი საშინაო მარცხი ამ სეზონში); ამ მოგებით „დინამომ“ რევანშიც აიღო პირველ წრეში დამარცხებისათვის: შარშან, 16 ოქტომბერს („რუსთავქალაქობის“ დღეს!) „მეტალურგმა“ მართლაც


ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

მეტალურგისა და დინამოს მთავარი მწვრთნელები: კობა ჟორჟიკაშვილი (მარცხნივ) და გიორგი დევდარიანი

ლამაზ პაექრობაში აჯობა თავისთვის მუდამ უხერხულ მეტოქეს (3:2). ცნობისათვის: ეს იყო რუსთავის სახელით მოასპარეზე გუნდების... მესამე გამარჯვება თბილისში საქართველოს ჩემპიონატის ისტორიაში! ყველაზე უცნაური კი ის არის, რომ ამ სამივე წარმატებას რუსთაველები სხვადასხვა სახელწოდების მქონე გუნდებით მიაღწიეს: 1990 წელს „გორდა“ ერქვა, 2008-ში — „ოლიმპი“, ამ სეზონში კი, როგორც იცით, გუნდს „ისტორიული“ სახელწოდება დაუბრუნდა. ამით კი იმის თქმა გვსურს, რომ „დინამოს“ მართლაც სოლიდური უპირატესობა აქვს რუსთავულ გუნდებთან ურთიერთდაპირისპირებაში. ეგ კი არა, ერთხელ სულაც სარეკორდო (ევროპის მასშტაბითაც) ანგარიშითაც მოუგეს: 1993 წლის 3 ივნისს, **გივი ნოდიას** ხელმძღვანელობით მოასპარეზე „დინამომ“ რუსთავის „გორდა“ 12:4 დაამარცხა! ამ მართლაც უხვგოლიან და თვალსასეირო მატჩში „პოკერი“ შეასრულა **რევაზ არველაძემ, გელა ინალიშვილმა** და **გიორგი ქინქლაძემ** სამ-სამი გოლი გაიტანეს, **შოთა** და **არჩილ არველაძეებმა** კი თითო-თითო (ყველა — „დინამო“); რაც შეეხება რუსთაველთაგან, „დუბლი“ **ვარლამ კილასონიამ** შეასრულა, თითოთითო გოლი კი **ავთანდილ კაპანაძემ** და **გიორგი ლუდუშაურმა** გაიტანეს. სხვათა შორის, 19 წლის წინანდელი ამ მატჩის ერთი მონაწილე... კვლავაც აგრძელებს საფეხბურთო კარიერას: 38 წლის **მამუკა მელაძე** („გორდა“) დღესდღეობით საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში მოასპარეზე ახალციხის „მესხეთში“ ასპარეზობს!..

**გია ტუხაშვილი**

საქართველოს თასი

# ნახევარფინალი კომფორტულ არენაზე

“გაგრას” პრეს-სამსახურის ცნობით, თითქმის გადაწყვეტილია, რომ საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის გათამაშების პირველი ნახევარფინალური შეხვედრა “გაგრასა“ და გორის „დილას“ შორის 10 აპრილს მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გაიმართება.

“როგორც იცით, “გაგრა“ საშინაო შეხვედრებს „მერანის“ სტადიონზე ატარებს. სამწუხაროდ, ამ დროისთვის „მერანის“ მინდვრის საფარი თასის ნახევარფინალური მატჩის ჩასატარებლად საჭირო მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. ამას თავისი ობიექტური მიზეზები გააჩნია. ზამთარში მოსულმა დიდმა ნალექმა ჩვენი მინდორიც დააზარალა. გარდა ამისა, მატჩები საკმაოდ შემჭიდროვებული გრაფიკით ტარდება და შესაბამისად, მოედნის მწყობრში მოყვანა ვერ მოხერხდა” – იუწყება “გაგრას” პრესსამსახური.

“გაგრას” საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის, **მიხეილ აფზახავას** თქმით, საკითხი ფეხბურთის ფედერაციასთან და მოწინააღმდეგე კლუბთან უკვე შეთანხმებულია და ოფიციალურ თანხმობას მალე მიიღებენ.

კიდევ ერთი საკითხი: საქართველოს



19-წლამდელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, **ოთარ კორღალიძემ** მოთამაშეები შეკრიბა, ელიტრაუნდისთვის სამზადისში კი ნაკრები პორტუგალიაში გაემგზავრება და პორტუს საერთაშორისო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. იქ 12 აპრილს ქართველები საფრანგეთის ნაკრებს შეხვდებიან, 13 აპრილს - ირლანდიის, ხოლო 14 აპრილს – სერბეთს, გუნდი კი საქართველოში 16 აპრილს დაბრუნდება.

თასის ნახევარფინალური შეხვედრები კი 10 და 18 აპრილს გაიმართება. კორღალიძემ შეკრებაზე “გაგრას” სამი ფეხბურთელი გამოიძახა – **გიორგი ჯგერენაია, ნიკა ჭკუასელი და ნოდარ კიკნაველიძე**. სამივე ეს ფეხბურთელი გუნდის ძირითად შემადგენლობაში ხვდება და როგორ იქნება მათი საქმე, ნაკრებს გაყვებიან თუ კლუბს დაეხმარებიან?

“ამაზე მოლაპარაკება მიმდინარეობს. ალბათ, თასზე სამივე “გაგრაში” იქნება და საჭირო შემთხვევაში, გუნდს დაეხმარებიან, პორტუგალიაში კი 11 აპრილს გაემგზავრებიან და ნაკრებს მოგვიანებით შეუერთდებიან” – გვითხრა აფხაზავამ.

**მერაბ მამულაშვილი**

დაბრუნება

# გია გურულის ახალი ეტაპი

საქართველოს ჩემპიონატის ისტორიაში ამდენი „საინტერესო დაბრუნება“ არასდროს მომხდარა: 2012 წლის დასაწყისიდან დღემდე ჩვენ პირველობას ერთი-მეორეზე უკეთესი ფეხბურთელები უბრუნდებიან; **დავით მუჯირი, ზურაბ მენთეშაშვილი, გოგიტა გოგუა, გიორგი მერებაშვილი, ლაშა სალუქვაძე, გოჩა ხოჯავა, ზურაბ არზიანი, მათე ვაწაძე**, — აი, არასრული ჩამონათვალი იმ ფეხბურთელებისა, სხვადასხვახნიანი პაუზის მერე რომ დაბრუნდნენ საქართველოს ჩემპიონატში. ამ შემთხვევაში უმაღლეს ლიგას ვგულისხმობთ და როგორ შეიძლება ნეიტრალურ ქომაგსაც არ ახარებდეს პლეი აუტში მოასპარეზე ბათუმის „დინამოს“ ვეტერანი ფეხბურთელის, 38 წლის **ამირან მუჯირის** დაბრუნებაც. თუმცა, მხოლოდ ფეხბურთელები როდი ბრუნდებიან: მეორე ეტაპიდან უმაღლეს ლიგაში არცთუ მცირე პაუზის შემდეგ კვლავაც გამოჩნდნენ საკუთარი ხელწერის მქონე სპეციალისტები, **გოჩა ტყებუჩავა** და **გიორგი დევდარიანი**. და აი, ორი დღის წინ ქართულ ფეხბურთში კიდევ ერთი დაბრუნებაც შედგა: ბათუმის „დინამოს“ მთავარ მწვრთნელად **გია გურული** დაინიშნა!

გია გურულს საქართველოს ჩემპიონატში (არც ერთ ლიგაში) მწვრთნელის რანგში არასდროს უმუშავია. თუმცა წლების განმავლობაში უცხოეთში (საფრანგეთში) საქმიანობდა და გარკვეული პერიოდის განმავლობაში ახალგაზრდულ და ბავშვთა გუნდებს ავარჯიშებდა. „დიდ ფეხბურთში“ გურული-მწვრთნელის დებიუტი დღეს შედგება და იმედი დავიტოვოთ, რომ ამ ასპარეზზეც ისეთივე წარმატებული კარიერა ექნება, როგორც ფეხბურთელობისას ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში, გია გურულის დონის ცენტრფორვარდი რომ ჰყავდეს საქართველოს დღევანდელ ნაკრებს, ამაზე უკეთესი რა უნდა გვენატრა...

გია გურული სამწვრთნელო კარიერას ბათუმის „დინამოში“ იწყებს, თავის პირველ პროფესიულ კლუბში — 1981 წელს, პერსპექტიულმა ფორვარდმა იმდროინდელ საკავშირო მეორე ლიგაში ასპარეზობისას უდიდესი გამოცდილება სწორედ ამ გუნდში მიიღო. 17 წლის თავდამსხმელის (ფეხბურთის „ანბანს“ მშობლიურ ჭიათურაში რომ ეზიარა და მერე, გლდანის სკოლა-ინტერნატში გააგრძელა დაოსტატება) შესაძლებლობები **ნოდარ ახალკაცს** როგორ გამოეპარებოდა და 1982 წლის დასაწყისიდან გია გურული თბილისის „დინამოში“ ჩაირიცხა! მალე საბჭოთა კავშირის ჭაბუკთა ნაკრებშიც გამოიძახეს, თუმცა იმდროინდელ თბილისის „დინამოში“ მართლაც „არანორმალური“ კონკურენცია იყო და გია გურულსაც გარკვეული პერიოდი დასჭირდა ძირითადში ადგილის დასამკვიდრებლად. კონკურენცია კი შემთხვევით არ გვიხსენებია და ამის დასტურად 1986 წლის სეზონიც გამოდგება, როცა თბილისის „დინამოს“ თავდასხმის ხაზში ერთი-მეორეზე უკეთესმა შემტევებმა მოიყარეს თავი (**რამაზ შენგელია, ვლადიმერ გუცაევი, რევაზ ჩელებაძე, ვალერი გაზაევი, გრიგოლ ცაავა, მიხეილ მესხი-უმცროსი, გია გურული**)! გია გურული ტიპური ცენტრფორვარდი გახლდათ — ფიზიკურად ძლიერი თავდამსხმელი უპრობლემოდ შედიოდა მეტოქეებთან ძალისმიერ ორთაბრძოლაში, ორივე ფეხით ძლიერი და ზუსტი დარტყმა ჰქონდა. თავით თამაშში ხომ, საერთოდ, ერთ-ერთი საუკეთესო იყო იმდროინდელ საკავშირო უმაღლეს ლიგაში! განსაკუთრებულად შთამბეჭდავად 1987 და 1988 წლების სეზონში ითამაშა: ევროტურნირებზე სოფიის „ლოკომოტივის“ კარში გატანილი ულამაზესი გოლიც (35 მეტრიდან, უცნაური ტრაექტორიით რომ გაგზავნა მეტოქის კარის „ცხრიანში“) ბევრს ემახსოვრება და ის პერიოდიც, „დინამოს“ საუკეთესო ბომბარდირი რომ გახლდათ. სამწუხაროდ, 1988 წლის მიწურულს, გარკვეულ მიზეზთა გამო, „დინამოს“ დატოვება მოუხდა (მანამდე საკავშირო უმაღლეს ლიგაში 104 მატჩი ჩაატარა და 19 გოლი გაიტანა) და მომდევნო სეზონი საკავშირო პირველ ლიგაში მოასპარეზე ლანჩხუთის „გურიაში“ გაატარა. იმდროინდელ „გურიას“ მართლაც ჩინებული შემადგენლობა ჰყავდა და სხვა ლიდერებთან (**მერაბ ჟორდანია, ოთარ კორღალიძე, გოჩა ტყებუჩავა, ბესიკ ფრიდონაშვილი, დავით ცომაია, ლევან ბარათაშვილი, მამუკა აბუსერიძე, ბადრი დანელია**) ერთად გია გურულმაც ლომის წილი შეიტანა ლანჩხუთელთა წარმატებაში — გუნდმა უმაღლესი ლიგის საგზური მოიპოვა! ამასობაში კი, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი დაიწყო, ოღონდ გურული კვლავ „დინამოში“ (იმდროინდელ „იბერიაში“) დაბრუნდა. სხვათა შორის, დინამოელთაგან საქართველოს ჩემპიონატში პირველი გოლი სწორედ გურულმა გაიტანა (მეორე ტურში, რუსთავის „გორდასთან“ სტუმრად ჩატარებულ შეხვედრაში, 12 000-მდე გულშემატკივარი რომ ესწრებოდა), სულ იმ სეზონში 23 ბურთი გაიტანა და „გორდას“ თავდამსხმელ **მამუკა ფანცულაიასთან** ერთად პირველი ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირიც გახდა. აი, ამის შემდეგ კი გურულმა კარიერა უცხოეთში გააგრძელა (ერთ-ერთმა კი არა, ალბათ, პირველმა ქართველმა ფეხბურთელმა ეროვნული ჩემპიონატიდან) — ორი სეზონი კატოვიცეს გკს-ს (პოლონეთი) ღირსებას იცავდა, 1992 წლიდან კი საფრანგეთის უმაღლესი ლიგის „ლე ავრში“ ჩაირიცხა! სხვათა შორის, 2009 წლამდე სწორედ გურული გახლდათ ერთადერთი ქართველი ფეხბურთელი, ვისაც კი, როდისმე საფრანგეთის უმაღლეს ლიგაში უთამაშია (მერე, ეს „ესტაფეტა“ ახალგაზრდა მეკარემ **გიორგი მაკარიძემ** გადაიბარა); თანაც, თამაშსაც ხომ გააჩნია: გურული „ლე ავრის“ საუკეთესო ბომბარდირი გახლდათ და სწორედ მაშინ იყო, „მარსელის“ და საფრანგეთის ნაკრების სახელგანთქმულმა მცველმა **ბაზილ ბოლიმ** ყველაზე უხერხულ მეტოქეთა შორის უპირველეს ყოვლისა, ქართველი ფორვარდი რომ დაასახელა! „ლე ავრის“ შემადგენლობაში 48 მატჩი ჩაატარა და 12 გოლი გაიტანა. საფეხბურთო კარიერის ბოლო წლები კი საფრანგეთის ქვედა დივიზიონის გუნდებში („დიუნკერკი“, „კალე“) გაატარა, რის შემდეგაც გარკვეული პერიოდი ბიზნესსაქმიანობას ეწეოდა, 2004-2005 წლებში კი საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის, ფრანგი სპეციალისტის **ალენ ჟირესის** ასისტენტი გახლდათ.

დაბოლოს, ერთობ მტკივნეულ თემაზეც: არა მხოლოდ ჩვენი აზრია, რომ გია გურული საქართველოს ნაკრებისთვის „შესაფერისად“ ვერ გამოვიყენეთ; აბა, სხვა რა უნდა დავარქვათ იმ ფაქტს, როცა საფრანგეთის უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე და ჩინებულ ფორმაში მყოფ ფეხბურთელს მხოლოდ ორ ოფიციალურ მატჩში (ორივეჯერ — არასრულად) მიეცა თავის გამოჩენის საშუალება. სულ კი გია გურულმა საქართველოს ნაკრებში ოთხი მატჩი ჩაატარა და ერთი გოლი გაიტანა. თანაც, ის ერთადერთი გოლი მართლაც განსაკუთრებულია: 1990 წლის 27 მაისს, საქართველოს ნაკრებმა თავის ისტორიაში პირველი საერთაშორისო შეხვედრა ჩაატარა (ლიტვის ნაკრების წინააღმდეგ) და ჩვენებურთაგან პირველი გოლი სწორედ გია გურულმა გაიტანა!



1990 წელი. საქართევლო-ლიტვა 2:2. გია გურული (ბურთით) ვალდას ივანაუსკასის წინააღმდეგ

**გია ტუხაშვილი**

ლეგიონერი




**დავით სირაძეს** ნალჩიკის "სპარტაკის" პრეს-სამსახურმა ინტერვიუ ჩამოართვა. საქართველოს ნაკრების თავდამსხმელმა (არც ვიცით, ყოფილი ვთქვათ, თუ მოქმედი) რუბრიკაში "პენალტი" გულშემატკივართა შეკითხვებს უპასუხა.

სირაძის პასუხებში საინტერესო მინიშნებები ამოვიკითხეთ. ამიტომ ინტერვიუს მცირე შემოკლებით გთავაზობთ.

**- თქვენი აზრით, "სპარტაკი" პრემიერლიგაში ადგილს შეინარჩუნებს?**

- ყველაფერს ვაკეთებთ, რომ დავრჩეთ. ჩვენ შანსი ჯერ კიდევ გვაქვს.

**- რომელიმე ეგზოტიკურ ქვეყანაში გადასვლა რომ შემოგთავაზონ, მაგალითად, არაბთა გაერთიანებულ საამიროებში, დათანხმდებოდით?**

- არა.

**- "ოქროს ბურთს" როდის მიიღებ?**

- მალე.

**- გერმანიაში "პადერნბორნში" თამაშობდი. გერმანიის პირველ ან მეორე ბუნდესლიგაში დაბრუნების სურვილი თუ გაგაჩნიათ?**

- სურვილი მაქვს. თუ წინადადება გამოჩნდება, მას განვიხილავ. მით უფრო, რომ გერმანიაში ძალიან ბევრი მეგობარი მყავს, არა მხოლოდ მოთამაშეები და ფეხბურთელები.

**- გაუმარჯოს რაჭველ კაცს. როგორ მოგწონს ნალჩიკელი ხალხი და როდემდე აპირებ ჩვენს გუნდში დარჩენას?**

- ნალჩიკში ისე ვარ, როგორც საკუთარ სახლში, რადგან თბილისთან ახლოს არის. გუნდთან კონტრაქტი მაკავშირებს და "სპარტაკში" მის ამოწურვამდე ვითამაშებ.

**- რომელ კლუბში და რა ნომრით ისურვებდი თამაშს?**

- 8 ნომრით მიყვარს თამაში. სიამოვნებით მოვირგებდი "მანჩესტერ იუნაიტედის" ფორმას.

**- როგორ წარმოედგინათ შენი მომავალი მშობლებს, ფეხბურთელი რომ არ გამხდარიყავი?**

- მე საფეხბურთო ოჯახი მყავს. მამა თავად თამაშობდა და გუნდს ავარჯიშებდა. დედა გულშემატკივარია და ფეხბურთში კარგად ერკვევა. ასე რომ, არჩევანი არც მქონდა, ფეხბურთელი უნდა გავმხდარიყავი.

**- როდის დაიწყებ გოლების გატანას?**

- როდესაც მუდმივად მათამაშებენ.

**მერაბ მამულაშვილი**

ჩიხურა

# ფრუიძემ პროგნოზი პირობებს დაუკავშირა

## მომზადება, კვება და დასვენება

**საჩხერის "ჩიხურა" პირველი ლიგიდან მოხვდა პლეი აუტში, წინა ტურში შინ "ვიტ ჯორჯიას" მოუგო 2:0 და ქვედა რვა გუნდში გალიდერდა.**

**"ჩიხურასთვის" ეს პირველი სეზონი როდია, უმაღლეს ლიგაში მოხვედრისთვის რომ იბრძვის. მანამდე ის სტაბილურად მოწინავე გუნდი იყო პირველ ლიგაში, ახლა კი უფრო დიდი გამოწვევის წინაშეა. რა თქმა უნდა, კარგი იქნება, თუ კიდევ ერთი მოლონიერებული საფეხბურთო რეგიონი შეემატება ქართულ ფეხბურთს.**

**"ჩიხურას" მთავარ მწვრთნელ სოსო ფრუიძეს ტელეფონით დავუკავშირდით და რამდენიმე კითხვა დავუსვით. საუბარი კი "ვიტ ჯორჯიასთან" მატჩით დავიწყეთ.**

**- "ვიტ ჯორჯია" ამ მატჩამდე პლეი აუტს ლიდერობდა – რის ხარჯზე აჯობეთ მოწინააღმდეგეს?**

- ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ჩვენ უფრო მონდომებულები ვიყავით და ამ ფაქტორმა მნიშვნელოვნად განაპირობა მატჩის შედეგი. პირველი ტაიმით კმაყოფილი დავრჩი, საერთო ჯამში, თანაბარი თამაში გამოვიდა, თუმცა ცალკეულ ეპიზოდებში მეტოქეზე უკეთ გამოვიყურებოდით.

**- "ვიტ ჯორჯიამ" რა სტრატეგია დაგიპირისპირათ?**

- სტუმრებს მეორე ნომრად არ უთამაშიათ. ალბათ ყველა დამეთანხმება, რომ ქვედა რვა გუნდში "ვიტ ჯორჯია" ერთ-ერთი საუკეთესოა. მეტოქემ რამდენჯერმე შემოგვიტია, ერთი სახიფათო მომენტიც შექმნა.

**- თქვენს გუნდში საკმაოდ ბევრი გამოცდილი ფეხბურთელი თამაშობს, რომლებსაც არაერთი სეზონი უთამაშიათ უმაღლეს ლიგაში. როგორ ფიქრობთ, "ჩიხურას" ეს სეზონი უმაღლეს ლიგაში რომ დაეწყო, რა პოზიციაზე იქნებოდა?**

- ალბათ ცხრილის შუაში ვიქნებოდით, სადაც "ზაია", "მერანი" და "კოლხეთი" არიან.

**- კონკრეტულად ვინ პატრონობს "ჩიხურას", რა ფინანსური ზურგი აქვს კლუბს?**

- კლუბს "ქართუ ჯგუფი" აფინანსებს. მიმართულება ასეთია – საჩხერეში ფეხბურთი უნდა აღორძინდეს. უკვე მეოთხე წელია, რაც საჩხერეში საფეხბურთო აკადემია ფუნქციონირებს, სადაც 450 ბავში იღებს საფეხბურთო განათლებას. გვყავს მეორე და კიდევ სამი ასაკობრივი გუნდი. აკადემიაში ოცდაორი ლიცენზირებული მწვრთნელია დასაქმებული. ჩვენს განკარგულებაშია სტანდარტული ზომის ხელოვნურსაფრიანი და მინდვრის მოედანიც კომპიუტერული სარწყავი სისტემით. დაგეგმილია ცენტრალური სტადიონის რეკონსტრუქცია. ერთი სიტყვით, საჩხერეში საქმე კეთდება.

**- სპორტული თვალსაზრისით, ვინ ხელმძღვანელობს ამ პროექტს?**

- პროგრამის ხელმძღვანელი მე გახლავართ.

**- თუ "ჩიხურა" უმაღლესი ლიგის საგზურს მოიპოვებს, დაფინანსება გაიზრდება?**

- კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით, თუმცა უმაღლეს ლიგაში გადასვლა თავისთავად გულისხმობს დაფინანსების გაზრდას.

**- "ჩიხურაში" მეტწილად მოწვეული ფეხბურთელები თამაშობენ...**

- არიან ადგილობრივი კადრებიც – თორნიკე მუმლაძე და ბესიკ დეკანოიძე, "ჩიხურას" აღზრდილია გიორგი ბეგაშვილიც, რომელიც ახლა "გაგრაში" თამაშობს. გიორგი ქიმაძე და ალექსანდრე ივანიშვილი – "ჩიხურას" საკმაოდ პერსპექტიული ახალგაზრდები არიან.

**- გულშემატკივრების დასწრების მხრივ რა ვითარებაა საჩხერეში?**

- ტრიბუნაზე 600 მაყურებლის ადგილია, "ვიტ ჯორჯიასთან" კი უფრო მეტი გულშემატკივარი მოვიდა.

**- "ჩიხურა" ხუთი ტურის შემდეგ პლეი აუტის ლიდერია – ეს იმას ნიშნავს, რომ ცალი ფეხით უმაღლეს ლიგაში ხართ?**

- ჩვენ მხოლოდ ნაბიჯი გადავდგით უმაღლესი ლიგისკენ და ეს ჯერ ბევრს არაფერს ნიშნავს. განწირული აუტსაიდერი პლეი აუტს არ ჰყავს, ზოგს ოზურგეთის "მერცხალი" ეგონა მაჩანჩალა,



მაგრამ ამ გუნდმა წინა ტურში "გაგრასთან" სტუმრად ფრე ითამაშა.

**- ტრივიალური კითხვაც – ქვედა რვიანში რომელ გუნდებს აქვთ უკეთესი შანსი?**

- უმაღლეს ლიგაში მოხვედრის შანსი ყველა გუნდს აქვს. პლეი აუტში პირველი ლიგიდან მოხვედრილ გუნდებს უმაღლესლიგელებთან თამაშები ძალიან გამოადგათ, კარგი პრაქტიკა და გამოცდილება მიიღეს. კალენდარი მჭიდროა, ასეთ დროს კი კიდევ უფრო დიდ როლს ასრულებს პირობები – მომზადება, კვება, დასვენება – ვისაც ეს კარგად ექნება მოგვარებული, წინაც ის აღმოჩნდება.

**დავით თავართქილაძე**

ლეგიონერები

# მერაბ გიგაური: მჯერა, ევროფინალში გავალთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს 19-წლამდელთა ამჟამინდელ შეკრებაზე პოლონეთის ექსტრაკლასას "იაგელონიას" საყრდენი ნახევარმცველი **მერაბ გიგაური** ვერ ჩამოვიდა. გიგაური ამას ძალიან განიცდის და ამბობს, რომ ელიტ რაუნდის დაწყებამდე ახალი მთავარი მწვრთნელის გაცნობა და ნაკრებში ვარჯიში ძალიან სურდა, მაგრამ...

"სამწუხაროდ, "იაგელონიამ" შეკრებაზე არ გამომიშვა. ამხანაგური ტურნირია, გუნდს უფლება აქვს, არ გამომიშვას და ამ უფლებით ისარგებლეს. ნაკრებში რომ ვიქნებოდი, პოლონეთში სამი თამაში გამიცდებოდა და გადაწყვიტეს, გუნდში დავრჩენილიყავი. არადა, ძალიან მინდოდა ჩამოსვლა. ერთ თვეში ელიტ რაუნდის შეხვედრები დაიწყება და ასეთ დროს ნაკრებთან ერთად მომზადება და პორტუგალიურ ტურნირზე მონაწილეობა საჭირო იყო. არადა, ახალი მწვრთნელი დაგვინიშნეს, რომელსაც პირადად არ ვიცნობ. გამიხარდა, კორძალიძე რომ მენდო და შეკრებაზე გამომიძახა, კარგი იქნებოდა, მისი ხელმძღვანელობით რომ მევარჯიშა და ახალი მწვრთნელის მოთხოვნებს გავცნობოდი. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. თუმცა, კორძალიძეს შორიდან ვიცნობ და გამიგია, რომ მოთამაშეებთან კარგი მიდგომა აქვს" – ამბობს გიგაური.



მერაბ გიგაური

გიგაური ამბობს, რომ ხორვატიაში გასამართ ელიტ რაუნდში უმძიმესი შეხვედრები გველის: "ელიტ რაუნდში ხელწამოსაკრავი არც ერთი მეტოქე არ არის. ამ ეტაპზე ვინც ხვდება, ყველა ძლიერი და ამბიციური გუნდია – ხორვატიაც, ბოსნიაც, ავსტრიაც. შანსები 50/50ზეა და და გასვლის შანსი ყველა გუნდს აქვს. ცხადია, მასპინძლებს საკუთარი კედლების უპირატესობა გააჩნიათ. აქედან გამომდინარე, ხორვატია ფავორიტია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მის ფავორიტობას უნდა შევეგუოთ. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, პირველ ადგილზე რომ გავიდეთ და ევროპის ჩემპიონატზე მოვხვდეთ. გასამარჯვებლად ყველასთან უნდა ვიომოთ. სხვათა შორის, მართლა მჯერა, რომ საამისოდ ბიჭები ყველაფერს გააკეთებენ და ამას შევძლებთ! ის მიმედებს, ნაკრების რამდენიმე წევრი ძლიერ ევროპულ გუნდებში რომ თამაშობს: ყაზაიშვილი და ჭანტურია — ჰოლანდიაში, სხირტლაძე - დანიაში. ბევრიც სისტემატურად საქართველოს ჩემპიონატზე გამოდის და ესეც კარგია. მათი ზრდა, კლასი და გამოცდილება ნაკრებს დაეტყობა".

მერაბ გიგაური "იაგელონიაში" ქუთაისის "ტორპედომ" იჯარით გაუშვა, რომლის ვადაც მაისში მთავრდება. დარჩება თუ არა 19 წლის ქართველი პოლონეთში, გუნდების მოლაპარაკებაზეა დამოკიდებული - გიგაურის ტრანსფერი დღემდე "ტორპედოს" ეკუთვნის.

"ყველაფერს ვაკეთებ, "იაგელონიამ" რომ დამტოვოს. ვიცი, ეს კლუბში აბსოლუტურად ყველას სურს. მაგრამ "ტორპედო" 200 000 ევროს ითხოვს და საკითხავიც ესაა, პოლონელები ამ თანხას გადაიხდიან? ამას ზაფხულამდე ვერ გეტყვით. იმედია, საბოლოოდ მაინც პოლონეთში დავრჩები.

მართალია, ჯერ "იაგელონიას" ძირითადში არ მათამაშებენ, მაგრამ გუნდში ყველაზე პატარა ვარ და ჩემს ადგილზე სულ გამოცდილი ფეხბურთელები არიან. ეს ფეხბურთია, დღეს თუ არ ვთამაშობ, ხვალ შანსი აუცილებლად მომეცემა. მწვრთნელი კი მენდობა და ვიცი, თუ დავრჩები, მომავალ სეზონში მეტ დროს მათამაშებს. იმიტომ მინდა აქ დარჩენა, რომ "იაგელონიას" შევეწყე და კარიერის გაგრძელება ამ კლუბში და ამ ქვეყანაში უფრო სასურველია, გასაზრდელად ყველანაირი პირობაა. ჩემხელა ბიჭისთვის ეს არის კარგი შანსი, ევროპულ ფეხბურთს რომ მივუახლოვდე და კარიერა უფრო მაღალ დონეზე გავაგრძელო" – ამბობს გიგაური.

**მერაბ მამულაშვილი**

# ტარხანოვი: ჯანოს ლიმიტი აბრკოლებს

ბოლო წლებში, რუსულ ფეხბურთში უზარმაზარი თანხები დააბანდეს, უპრობლემოდ ახერხებენ ცნობილი მწვრთნელებისა და ლეგიონერების გადაბირებას და იქამდე მივიდა საქმე, რომ გუნდები ლეგიონერებით გადაივსო.

სამი წლის წინ ასეთი ფაქტიც კი დაფიქსირდა: მოსკოვის "სპარტაკის" 42 მოთამაშიდან 26 (?!) უცხოელი იყო, რუსეთის მოქალაქეობის მქონე ფეხბურთელებში კი რამდენიმე სხვა ქვეყნის ნაკრების წევრი გახლდათ!

ცხადია, ასეთი რამ სადაც არ უნდა ხდებოდეს, ადგილობრივი მოთამაშეების დაწინაურებას ხელს უშლის და შარშან რუსებმა ლეგიონერებზე ლიმიტი გაამკაცრეს.

თუმცა, ამან კლუბების უკმაყოფილება გამოიწვია. ბოლო დროს, რუსული ფეხბურთის გრანდები ევროპელებს უფრო და უფრო თამამად ეთამაშებიან და მათი მეპატრონეების აზრით, შეზღუდული არჩევანით, ევროპელებთან ბრძოლა გაუჭირდებათ.

მათ პოზიციას არ იზიარებს ცნობილი მწვრთნელი **ალექსანდრე ტარხანოვი**, მაგრამ აღიარებს, რომ არა ლიმიტი, **ჯანო ანანიძე** უკეთ გამოჩნდებოდაო: "რუსეთის ჩემპიონატი ვითარდება, ჩვენს კლუბებს კი სათანადო რაოდენობით პროფესიონალი მოთამაშეების გაზრდა უჭირთ. ამიტომ, ლიმიტის გაუქმება კლუბებს მუშაობას გაუადვილებს. მეორე მხრივ, იაფფასიანი ლეგიონერები მოგვაწყდებიან.

აიღეთ მოსკოვის "სპარტაკი". მისთვის ლიმიტი პრობლემაზე მეტია. გუნდი ყოველწლიურად ნიჭიერ მოთამაშეებს იმატებს. ეს იმ დროს, როდესაც არსებულ კადრებს იდეალურად სულაც ვერ იყენებს. მაგალითად, შეიძლება, ანანიძის დასახელება. რომ არა ლეგიონერებზე შეზღუდვა, ის უფრო მაღალი სტატუსით ისარგებლებდა".



ალექსანდრ ტრახანოვი



ჯანო ანანიძე

**მერაბ მამულაშვილი**

# ცხადაძე უსამართლობას ებრძვის...

აზერბაიჯანული ინტერნეტ-გაზეთი "ექსტრა-ტაიმი" ლენქორანში მომხდარ სკანდალსა და მის შემდგომ განვითარებულ მოვლენებს გამოაეხმაურა.

შეგახსენებთ, რომ 1 აპრილს "ხაზართან" 0:2 წაგებული მატჩის შემდეგ, **კახა ცხადაძემ** მასპინძელთა თავკაცს **იუნის ჰუსეინოვს** უხეში ფორმით მიმართა, მეტოქის გამარჯვება კი ცუდ მსაჯობას მიაწერა. ინციდენტის გამო, აზერბაიჯანის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა ორივე მწვრთნელი სიტყვიერად გააფრთხილა.

მართალია, ორი დღის მერე "აზერიფუტბოლს" ჰუსეინოვმა განუცხადა, ცხადაძესთან საერთო ენა გამოვნახე და ჩვენ შორის ინციდენტი ამოწურულიაო, თუმცა ცხადაძე ისევ და ისევ რჩება აზერბაიჯანული მედიის მთავარ თემად.

"დისციპლინარების გადაწყვეტილება არ გამკვირვებია. გაგანია სეზონის დროს ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო არბიტრი თუ შერცხვა, მაშინ უფრო ახალგაზრდა და ნაკლებად ავტორიტეტულებზე რაღა უნდა ვილაპარაკოთ? დისციპლინარების გადაწყვეტილება უფრო დიპლომატიური იყო, ვიდრე სამართლიანი.

... არ მჯერა, რომ ელჩინ მამედოვს (იმ მატჩის მსაჯს) ლენქორანელი გულშემატკივრების შემორიგება სურდა, რომელთათვისაც მიმდინარე სეზონში "პერსონა ნონ გრატა" გახდა. არც ბაქოელთა გულშემატკივრებს დავეთანხმები, რომლებიც მამედოვს "შავი ძალების" წარმომადგენლად მიიჩნევენ, რომლებსაც გუნდის ჩემპიონობა არ სურთ. საერთოდ, რა საჭირო იყო ხელი შეეშალათ "ინტერისთვის", რომელმაც აშკარად მოუკლო და ბოლო სამივე მატჩი წააგო?



კახა ცხადაძე

ასე მგონია, რომ მამედოვი პირველ გაძევებაზე შეცდა, მერე კი სტუმართა რეპლიკებმა გაამწარა და ასე გახდა მატჩის ანტიგმირი.

... თვითმხილველთა თქმით, მატჩის შემდეგ ცხადაძემ კოლეგას მიაძახა, სუფთა თამაშით ვერ მომიგებდიო. თუ მართლაც ასე მოხდა, ქართველი სპეციალისტი, პროფესიული ეთიკის თვალსაზრისითა და სტადიონზე არსებული ვითარების გათვალისწინებით, აშკარად არასწორად მოიქცა. იუნის ჰუსეინოვს მსაჯობასთან რა კავშირი ჰქონდა? ცხადაძე აშკარად გაცეცხლდა და მოწინააღმდეგეებს სალაპარაკო მისცა. ამის გამო მისთვის უნდა მიეცათ არა სიტყვიერი გაფრთხილება, არამედ 2-3-მატჩიანი დისკვალიფიკაცია, ვნებები რომ დაიცხროს და კოლეგებთან საქმეები აღარ არჩიოს.

საერთოდ, ცხადაძის ხასიათზე ლაპარაკობს ყველა, ვისაც არ ეზარება. მისი ის კოლეგებიც კი, ვინც მორალური თვისებებითა და წესიერებით არ გამოირჩევიან. დიახ, რთული ხასიათი აქვს, ასეთ ადამიანებთან მეგობრობა ძნელი, ზოგჯერ, სულაც საშიშია. ბოლომდე არც იცი, როდის და სად აფეთქდება და კრიტიკაზე რა რეაქცია ექნება.

მაგრამ მეორე მხრივ, ის არც არავის სთხოვს მეგობრობას. თავისთვის მუშაობს, გუნდს აყალიბებს, ლიდერებს ქულებს ართმევს და თავდაჯერებულ ჩინოვნიკებს ამწარებს. დაე, გააგრძელოს იმავე სულისკვეთებით. ცხადაძის ეკლიანი ხასიათი ვის უშლის ხელს? კლუბის თანამშრომლებს? სხვათა შორის, გულწრფელად ვწუხვარ კლუბის ბოსების გამო, რომლებმაც მთავარი მწვრთნელის საქციელებისთვის ჯარიმებში მრავალი ათასი მანათი **(1 მანათი დაახლოებით 1 ევროა. - რედ.)** გადაიხადეს. მაგრამ მათ არჩევანი გააკეთეს და როგორც ჩანს, ცხადაძით კმაყოფილი არიან.

"დღეს აზერბაიჯანულ ფეხბურთს ცხადაძისნაირი ადამიანები სჭირდება" - ამბობს ჩემთვის პატივსაცემი კოლეგა "ფუტბოლ+"-იდან და აგრძელებს, რომ ასეთი პერსონები არღვევენ ჩვენი საფეხბურთო ცხოვრების ერთფეროვნებას, უსამართლობას კი ბრძოლას უცხადებენო. ვერაფერს იტყვი, ამ პოზიციასაც აქვს არსებობის უფლება.

მაგრამ ცხადაძე, უპირველესად, საკუთარი კლუბის ინტერესებს იცავს და თამაშის წესები მის სასარგებლოდაც დარღვეულა. მეორეც, ერთი კაცი ომს ვერ მოიგებს. და სანამ ჩვენი საფეხბურთო ელიტა შიდა პრობლემებზე გულწრფელ ლაპარაკს არ დაეჩვევა, ცხადაძეები და რედნიკები(რუმინელი სპეციალისტი, ჰუსეინოვამდე რომ წვრთნიდა "ხაზარს") ჩვენს ფეხბურთს ვერ უშველიან" - წერს კიდევ ერთი აზერბაიჯანული ინტერნეტ-გამოცემა "ექსტრატაიმი".

**მერაბ მამულაშვილი**

ვარსკვლავი



ჯონ ობი მიკელი

# ობი მიკელის იმედები

**ჯონ ობი მიკელი ჯერ მხოლოდ 24 წლისაა. ის "სტემფორდ ბრიჯზე" 2006 წლიდან თამაშობს და იქიდან მოყოლებული ლურჯი მაისურით 229 თამაში ჩაატარა და მხოლოდ 2 გოლი გაიტანა. ნიგერიელი არც საგოლე გადაცემებით გამოირჩევა, მაგრამ მასზე ამბობენ, რომ ის არის ფეხბურთელი, ვინც ყველაფერს ზუსტად აკეთებს. ჟოზე მოურინიოდან მოყოლებული მას სულ 7 მწვრთნელთან უმუშავია (თუკი "ერთმატჩიან" რეი უილკინსსაც მივათვლით) და ყველა მათგანი ერთნაირად გრძნობდა მის საჭიროებას. მიმდინარე სეზონი მისთვის მძიმედ დაიწყო...**

- მამის გატაცების შემდეგ ძალიან რთული პერიოდი დამიდგა, მაგრამ თამაშს მაინც ვაგრძელებდი. დეკემბრის ბოლომდე რეგულარულად გამოვდიოდი მინდორზე, მერე კი ტრავმა მივიღე და თვენახევრით ჩამოვშორდი გუნდს. მოხარული ვარ, რომ ახლა ისევ ვთამაშობ, რადგან ჩემს პოზიციაზე გუნდს მიკაელ ესიენი, რაულ მეირელეში და ორიოლ რომეუ ჰყავს. ყოველ დილას მოვდივარ ვარჯიშებზე და ვცდილობ, რომ იმისგან, რასაც ვაკეთებ, სიამოვნება მივიღო. სწორედ ფეხბურთის წყალობით არის, რომ მე ბედნიერი ვარ. ვამაყობ, რომ მწვრთნელს ჩემი სჯერა.

ჩემი პოზიციიდან გამომდინარე უმნიშვნელოვანესია, რომ დაცვასთან მაქსიმალურად ახლოს ვითამაშო. როცა ბურთს ჩემი თანაგუნდელები აკონტროლებენ, ისინი საკუთარ ძალებში არიან დარწმუნებულნი. მწვრთნელი ჩემგან სწორედ ამაში დახმარებას ითხოვს. როცა ორი საყრდენით ვთამაშობთ, ეს ხელს გვიწყობს ბურთის იოლად მოპოვებაში, რასაც მე და ჩემი პარტნიორები ხშირად ვაკეთებთ ხოლმე. როცა ბურთს ვკარგავთ, მაშინვე დაცვაში ჩავდივარ და ვაკონტროლებ, რომ სხვებმა სქემის მიხედვით იმოქმედონ.

როცა გუნდი ისე თამაშობს, როგორც ერთიანი ორგანიზმი, საქმის კეთება ყოველთვის იოლია. თუკი გაგვიმართლებს, ჩვენთვის ყველაფერი საუკეთესოდ წარიმართება. სწორედ ეს ხდება ამ წუთას "ჩელსიში" და გვინდა, რომ ყველაფერი ასევე გაგრძელდეს. თანაც ყველა ჯანმრთელად გვყავს და ყველა ფორმაშია (სამწუხაროდ, **ჯონ ტერიმ** მორიგი მძიმე ტრავმა მიიღო). ჩემპიონთა ლიგის ზონიდან 5 ქულა გვაშორებს, თანაც "ტოტენჰემსა" და "არსენალს" რთული მატჩები აქვთ წინ. "მეთოფეებს" ჩვენც უნდა შევხვდეთ. ვინ იცის რა მოხდება ამ შეხვედრებში? დიახ, კარგ ფორმაში ვართ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ჯერ კიდევ შეგვიძლია, მოვუმატოთ. თუმცა ისეც შეიძლება მოხდეს, რომ აღნიშნულ ტურნირში თამაშის შანსი მხოლოდ 19 მაისს მიუნხენში მოგვეცეს (19-ში "ალიანს არენაზე" ფინალი გაიმართება. რედ). ევროპის ლიგაში თამაშის სურვილი დიდად არავის აქვს.

**ლევან ბიბილაშვილი**

## უცხოური ფეხბურთი

● ჩელსი

# უბედურება ლონდონელთა თავს

"ჩელსის" "ბენფიკასთან" ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გამარჯვება ძვირად დაუჯდა: გუნდის კაპიტანმა **ჯონ ტერიმ** მიმდინარე სეზონში ვინ მოთვლის მერამდენე ტრავმა მიიღო, ნეკნი გაიტეხა და არსებობს საფრთხე, რომ 31 წლის ცენტრალურმა მცველმა სეზონის დარჩენილი ნაწილი მთლიანად გამოტოვოს, რაც პრემიერლიგის დარჩენილ თამაშებსა და ჩემპიონთა ლიგაში გუნდს ძალიან მძიმე პრობლემებს ჰპირდება. ჯერჯერობით ლაპარაკი იმაზე, რომ ჯონი ევროპის ჩემპიონატსაც გამოაკლდება, ნაადრევია. ტერის დამატებითი სამედიცინო შემოწმება გუშინვე უნდა გაევლო და თუკი პირველადი დიაგნოზი დადასტურდებოდა, მაშინ... "ჯერჯერობით მასზე ის ვიცით, რომ ნეკნი აწუხებს. მისი შეცვლა სწორედ ამით იყო განპირობებული. მისი ტრავმის სირთულეზე ხვალ მეტი გვეცოდინება. იმედი, რომ სერიოზული არაფერია, ჯერ კიდევ არსებობს," - განაცხადა მატჩის შემდეგ "ჩელსის" მთავარმა მწვრთნელმა **რობერტო დი მატეომ**.

მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ "ლურჯებს" ჩემპიონთა ლიგის 1/2-ფინალში "ბარსელონასთან" მოუწევთ დაპირისპირება, ესპანურმა გაზეთებმა კომენტარისთვის ლონდონელთა ყოფილ თავკაცს **ჟოზე მოურინიოს** მიმართეს. მისი შეფასებით, "ჩელსის" კატალონიელებთან დაპირისპირებაში წარმატების შანსი საერთოდ არ აქვს. პორტუგალიელმა ეს განცხადება მისთვის უჩვეულოდ კორექტულ ფორმებში გააკეთა. როგორც ჩანს, მას 19 მაისს მიუნხენის "ალიანს არენაზე" ნეიტრალური გულშემატკივრისთვის საოცნებო ფინალის – "ბარსელონა"-"რეალის" ხილვა სურს. *"გულწრფელად ვთქვათ. დარწმუნებული ვარ, რომ ფინალში "რეალი" და "ჩელსი" არ შეხვდებიან. მე ასე ვფიქრობ და, მოდი, ამით შემოვიფარგლოთ. შესაძლებელია, გადამწყვეტ შეხვედრაში ერთმანეთს "ბარსელონა"-"ბაიერნი" დაუპირისპირდნენ, მაგრამ ჩვენ და "ჩელსი" ვერ შევხვდებით. რატომ? მიზეზი ყველამ ვიცით.*

*აქვე გავიმეორებ: გაზეთებმა დაწერეს, თითქოს, "მანჩესტერ სიტისთან" გავაფორმე წინასწარი ხელშეკრულება. ეს აბსოლუტური სისულელეა. მადრიდულ კონტრაქტში კიდევ ორი წელიწადი დამრჩა და იქამდე კიდევ დიდი დროა. ყველამ იცის, რომ მიყვარს მადრიდი და ერთ დღეს იქ სიამოვნებით დავბრუნდები, მაგრამ როდის მოხდება, ეს, არავინ იცის,"* – განუცხადა "განსაკუთრებულმა კაცმა" BBC-ის.




კატალონიელებთან მომავალ ორრაუნდიან პაექრობებზე ილაპარაკა "გარდიანთან" ინტერვიუში **ფრენკ ლემპარდმაც**. ვეტერანი "ბლაუგრანასთან" დაპირისპირებას სულმოუთქმელად ელის, რადგან დღემდე მწარედ ახსოვს 2009 წელს მასთან შეტაკება და ნორვეგიელი **ტომ ჰენინგ ოვრებოს** "ლეგენდარული" მსაჯობა. *"ჩელსის" "ბარსასთან" ანგარიში გასასწორებელი აქვს. სამი წლის წინ მათ მსოფლიოში საუკეთესო გუნდი ჰყავდათ და ასე ახლაც ასეა, მაგრამ მაშინდელი სკანდალური მატჩი დღემდე გვახსოვს. მესმის, რომ „ბარსელონა" ფავორიტი იქნება, მაგრამ ჩვენ გვაქვს მათი დამარცხების შანსი. ფინალში გასასვლელად საუკეთესო ფეხბურთის დემონსტრირება დაგვჭირდება და მჯერა, რომ ეს ასეც იქნება,"* – აცხადებს ლემპარდი.

● მანჩესტერ იუნაიტედი

# ფერგი ისევ დერბიზე ფიქრობს

"მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარი მწვრთნელი **ალექს ფერგიუსონი** დღემდე ფიქრობს, რომ მიუხედავად მისი გუნდის სერიოზული უპირატესობისა, "მანჩესტერ სიტისთან" დერბი (30 აპრილი. 36-ე ტური. "ეტიჰადი") პრემიერლიგის ჩემპიონის ვინაობის გასარკვევად გადამწყვეტი იქნება. ამჟამად "ეშმაკები" თანაქალაქელს 5 ქულით უსწრებენ. ამას დაუმატეთ, რომ კვირას **რობერტო მანჩინის** გუნდს "არსენალთან" "ემირეტსზე" ელის დაპირისპირება. წარუმატებლობის შემთხვევაში ეს იქნება მე-4 მოუგებელი თამაში ბოლო 5-დან. ბუნებრივია, ეს "ქალაქელებში" საკუთარი ძალების რწმენას სერიოზულად შეარყევს. დერბიმდე 8-ქულიანი უპირატესობის შენარჩუნების შემთხვევაში "იუნაიტედს" პრინციპული მეტოქის მოედანზევე შეეძლება მე-20 საჩემპიონო ტიტულის განაღდება. აი, რას ამბობს სერ ალექსი: *"დერბი ყოველთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ წელს ის შეიძლება უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს. მატჩის შედეგი აუცილებლად იმოქმედებს საჩემპიონო რბოლის საბოლოო შედეგზე. "იუნაიტედს" სჩვევია ბოლო ტურებში საუკეთესო ფეხბურთის ჩვენება და ამის იმედი ახლაც გვაქვს. ჩვენი წარმატების საიდუმლო დაბალანსებული შემადგენლობაა. მაშინ, როცა ნემანია ვიდიჩმა უმძიმესი ტრავმა მიიღო წარუმატებლობებსა გვიწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ჯონათან ევანსმა*



**წარწერა: ალექს ფერგიუსონი ფრთხილობს**

*სერბი იდეალურად შეცვალა და რიო ფერდინანდთან ბრწყინვალე წყვილი შეკრა. ჯონი უბრალოდ ბრწყინვალეა. ის უკვე შემდგარი ფეხბურთელია და ეს მნიშვნელოვანი იყო, რადგან უკანა ხაზში მშვიდი თამაში სხვა ფეხბურთელების განწყობაზეც დადებითად მოქმედებს".*

"მანჩესტერ იუნაიტედის" ლიდერმა **უეინ რუნიმ** ცოტა უცნაური განცხადება გააკეთა. მისი თქმით, "ოლდ ტრეფორდზე" სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად **დენი უელბეკს** მიიჩნევს. არავინ უარყოფს, რომ ახალგაზრდა თავდამსხმელი ძალიან ნიჭიერია. ეს არაერთხელ უთქვამს თავად ალექს ფერგიუსონს, ვინც ზოგადად კომპლიმენტების გაცემისას საკმაოდ ძუნწია, მაგრამ... როგორც ჩანს, რუნის უბრალოდ თანაგუნდელის წახალისება სურდა. *"შეიძლება ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობა იყოს, მაგრამ ჩემი ფავორიტი სეზონის ფეხბურთელის გამოვლენის დროს უელბეკი იქნება. "იუნაიტედში" პირველივე სეზონში ამდენი თამაშის ჩატარება და თანაც ასეთ დონეზე (10 გოლი, 5 პასი. რედ) მართლა ფანტასტიკაა. ის ასაკისთვის უჩვეულოდ მშვიდად უმკლავდება ზეწოლასაც. ხომ ხედავთ, იმ დროს, რასაც ის ვარჯიშებზე ატარებდა, ტყუილად არ ჩაუვლია. დენი ძალიან სწრაფია, მისი დაჭერა ძალიან ძნელია და აქედან გამომდინარე საჯარიმოში მეტოქისთვის ყოველთვის დიდ ხიფათს წარმოადგენს. მისგან სარგებელს ნახავს როგორც "მანჩესტერ იუნაიტედი", ისე ინგლისის ნაკრებიც,"* – აცხადებს რუნი.

"იუნაიტედზე" წერას **ნანიზე** ინფორმაციით დავასრულებთ. 25 წლის პორტუგალიელმა გარემარბმა ტრავმის გამო თვეზე მეტი გამოტოვა. ის კვირის დასაწყისში სრულფასოვან ვარჯიშებს დაუბრუნდა და კვირას 8 აპრილს "ქუინზ პარკთან" მინიმუმ სათადარიგოთა შორის იქნება. "ეშმაკებს" შუა კვირაში კიდევ ერთი თამაში ელით - 11 აპრილს "უიგანთან" გასვლაზე. ასეთი მჭიდრო გრაფიკის პირობებში კი სრულფასოვანი შემცვლელების ყოლა ძალიან მნიშვნელოვანია.

● არსენალი

# ვან პერსის გარდასახვა

"არსენალის" 28 წლის ბომბარდირმა **რობინ ვან პერსიმ** ჟურნალისტებთან თავისი კარიერის განვითარების ეტაპებზე ილაპარაკა. ჰოლანდიელის თქმით, "არსენალში" გადასვლის მომენტისთვის ის არ ელოდა, თუ საკუთარ თავში წმინდა ბომბარდირულ თვისებებს აღმოაჩენდა. ვან პერსის ნააზრევს მონოლოგის სტილში შემოგთავაზებთ:

*- როცა "არსენალში" კარიერას ვიწყებდი, მხოლოდ მეორე თავდამსხმელის როლზე ვფიქრობდი. ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, თუკი ოდესმე გუნდის ძირითადი თავდამსხმელი გავხდებოდი. ემანუელ ადებაიორის "მანჩესტერ სიტიში" ტრანსფერის შემდეგ არსენ ვენგერმა გადაწყვიტა, ახალი თავდამსხმელი სხვაგან აღარ ეძებნა და ამ პოზიციაზე თამაში მე დამავალა. გულწრფელად გეტყვით, არ ვიყავი დარწმუნებული, რომ შესაფერისი კანდიდატურა ვიყავი, მაგრამ ვენგერმა მითხრა, რომ მე ეს შემეძლო, უბრალოდ უნდა მეცადა და თავად ვნახავდი, რაც გამომივიდოდა. მან ისიც მირჩია, რომ ძველებურად მეცადა თამაშისგან სიამოვნება მიმეღო და მხოლოდ გოლების გატანაზე არ მეფიქრა. ჩემი გარდასახვა "ინტერთან" წინასასეზონო შეხვედრაში დაიწყო. იტალიელებს ერთხელ გავუტანე. თამაშის შემდეგ ვენგერმა გამომიცხადა, დარწმუნებული ვარ, ექსპერიმენტი შედეგს აუცილებლად გამოიღებს და ის უნდა გავაგრძელოთო. მომდევნო თამაშებში მხოლოდ საგოლე პასებს ვარიგებდი, თავად კი გატანა მიჭირდა, თუმცა მწვრთნელი მარწმუნებდა, რომ ჩემი გახსნა მხოლოდ და მხოლოდ დროის საკითხი იყო. როგორც ყოველთვის ის მართალი აღმოჩნდა. მალე 7 თამაშში 7 გოლი გავიტანე. ისე ძალიან გამიკვირდა, როცა ამდენი განსხვავება აღმოვაჩინე პირველი და მეორე თავდამსხმელების სპეციფიკაში. მაგალითად ის, რომ სიღრმიდან თამაშისას მთელი მატჩი ერთ ტემპში მიხდებოდა გადაადგილება, ახლა კი 90 წუთის განმავლობაში მიწევს ტემპის კონტროლი, რაც ძალიან ძნელია. ახლა ამ პოზიციაზე თავს უკვე ძალიან კომფორტულად ვგრძნობ.*



**ვან პერსი არსენალის ცენტრფორვარდად 2009 წლიდან თამაშობს**

● ამბები



სერხიო აგუერო

## აგუერო მზადაა

**სერხიო აგუეროს** თქმით, მან ტრავმა მოიშუშა და "არსენალთან" კვირას "ემირეტსზე" დაპირისპირებისთვის მზად იქნება. შეგახსენებთ, რომ ფეხბურთელმა 30-31-ე ტურები (სტოკი 1:1, სანდერლენდი 3:3) გამოტოვა. "შავ კატებთან" სერხიოს არყოფნა **რობერტო მანჩინიმ** "სერიოზული, თუმცა არასერიოზული" ტრავმით ახსნა. იტალიელმა დეტალებზე საუბრისგან თავი შეიკავა. ინგლისურმა პრესამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ყოვლისშემძლეა. „დეილი მეილის" მტკიცებით, არგენტინელმა კოჭის ტრავმა შვილის სამთვლიანი ველოსიპედით სეირნობისას მიიღო. ამის მერე მან თავად გადაწყვიტა ტკივილი სპეციალური სითხით გაეყინა, რამაც ალერგია და კოჭის გასიება გამოიწვია. სასიამოვნოა, რომ უკვე ყველაფერი რიგზეა და თავდამსხმელი სრული დატვირთვით ვარჯიშობს.

## იაია ტურე: თურმე მარიოსთან მიჩხუბია...

"მანჩესტერ სიტის" 28 წლის საყრდენი ნახევარმცველი **იაია ტურე** უარყოფს, რომ "სანდერლენთან" მატჩის დასრულების შემდეგ გასახდელში **მარიო ბალოტელისთან** იჩხუბა და რომ მათი გაშველება მის ლვიძლ ძმას **კოლო ტურეს** მოუხდა, *"ის, რომ თურმე მარიოსთან მიჩხუბია, ჩემი იურისტებისგან გავიგე და ამან ძალიან გამაკვირვა. მე ფეხბურთელი ვარ და არა მოკრივე, თანაც ვინც ამას წერს ნამდვილად არაფერი იცის ჩემი და ბალოტელის ურთიერთობებზე. ის უბრალოდ ჩემი თანაგუნდელი კი არა, ჩემი საუკეთესო მეგობარია, ჩემი ძმაა. სამწუხაროა, რომ ამ ჭორების გამო ყველაზე მეტად ისევ მარიო უნდა დაზარალდეს,"* – ამბობს უმცროსი ტურე.

## მეფემ მსხვერპლი აირჩია

"ლივერპულის" მთავარმა მწვრთნელმა **კენი დალგლიშმა** გაჭიანურებული კრიზისის ფონზე გუნდის შიგნით განტევების ვაცის ძებნა დაიწყო და მას მალე მიაგნო. გაზეთების ცნობით, „მეფე კენი" "ენფილდიდან" სეზონის დასრულებისთანავე მინიმუმ სამ ფეხბურთელს გაუშვებს. ესენი არიან **დირკ კუიტი, მაქსი როდრიგესი** და **ფაბიო აურელიო**. შოტლანდიელის გადაწყვეტილება ლოგიკურია. სამივე უკვე ვეტერანია და თანაც მიმდინარე სეზონში ძალიან სუსტად გამოიყურებიან. „სანის" ცნობით, კუიტს (37 თამაში, 5 გოლი, 2 პასი) მთხოვნელები უკვე ჰყავს: 31 წლის თავდამსხმელის გადაბირება "გალათასარაის", "ფიორენტინას", "რომასა" და "ფეიენოორდს" სურთ. მის ხელშეკრულებას "წითლებთან" 2013 წლის ივლისში გასდის ვადა. აი, რა გზას დაადგებიან არგენტინელი (30 წლის, 15 თამაში, 4 გოლი, 2 პასი, კონტრაქტი 2013 წლის ივლისამდე) და ბრაზილიელი (32 წლის, 3 თამაში სარეზერვო გუნდის ჩათვლით, კონტრაქტი სეზონის დასრულებისთანავე უმთავრდება), ჯერჯერობით უცნობია.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**



დირკ კუიტი

ბარსელონა

# ხვალის ბარსელონა უკვე დღეს



მარკ მუნიესა პირველ გუნდში აიყვანეს

**ჩემპიონთა ლიგის ძალზე მნიშვნელოვანი და ძნელი რაუნდი დაძლეულია - „ბარსელონას“ შეუძლია გადაერთოს ლა ლიგაზე და იქნებ, საჩემპიონო ბრძოლაც შესთავაზოს დაწინაურებულ „რეალს“. მანამდე კლუბში მომავალზე იზრუნეს...**

## პირველგუნდელი!

„ბარსელონას“ სარეზერვო გუნდის 20 წლის მარცხენა მცველ მარკ მუნიესა მარტინესს დიდებული ოთხშაბათი ჰქონდა - მან 2011 წლის თებერვალს მოაწერა კონტრაქტს ხელი, ხელშეკრულებაში ჩადებული პუნქტების თანახმად, გუშინ კონტრაქტი ავტომატურად გაგრძელდა 2013 წლის ივნისის ბოლომდე. უფრო მეტიც, ახალი სეზონიდან მუნიესა „ბარსელონას“ პირველი გუნდის სრულუფლებიანი წევრი იქნება. მუნიესა, რომელსაც თავისი პოზიციის გარდა ცენტრალურ მცველად და საყრდენ ნახევარმცველად შეუძლია თამაში, ფაქტობრივად უკვე პირველი გუნდის წევრია - მას მერე, რაც გაირკვა, რომ ერიკ აბიდალს კიდევ ერთი ოპერაცია ელის. მუნიესა მუდმივად პირველ გუნდთან ერთად ვარჯიშობს, მან „ლევერკუზენთან“ ჩემპიონთა ლიგის მატჩში ითამაშა კიდევაც. იმის ახსნა აღარ არის საჭირო, რომ მუნიესა „ლა მასიის“ აღზრდილია. მისი გამოსყიდვის მსურველმა კლუბმა 30 მილიონი ევრო უნდა გაამზადოს.

ახლახან „ბარსელონა B-ს“ კიდევ ერთმა ფეხბურთელმა გააფორმა კონტრაქტი - ნახევარმცველმა ილიე სანჩესმა 2013 წლამდე გაახანგრძლივა კლუბთან ურთიერთობა. მისი გამოსასყიდი თანხა 3 მილიონი ევრო იქნება. 21 წლის ილიე უკვე დიდი ხანია ტრავმირებულია: *„ამ ათი თვის განმავლობაში, რაც ტრავმირებული ვარ, ეს ჩემი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი დღეა“*, - განუცხადა ილიემ კლუბის ოფიციალურ ვებგვერდს.

## დავტკბე მომენტით

„ბარსას“ სარეზერვო გუნდის კიდევ ერთი ყოფილი წევრი (იანვრიდან ოფიციალურადაც პირველ გუნდშია), ისააკ კვენკა უკვე კარგად „აითქვიფა“ ძირითადში. 20 წლის გარემარბს ხოსეპ გვარდიოლა იმდენად ენდობა, რომ ის „მილანთან“ ძალზე მნიშვნელოვან მატჩში ძირითად შემადგენლობაში მოხვდა! კვენკა 12 წლის ასაკში მივიდა „ბარსას“ აკადემია „ლა მასიაში“.

მისი აღზევება უცბად მოხდა - „საბადელში“ განათხოვრებული ფეხბურთელი ძალიან მალე აღმოჩნდა, „ბარსას“ პირველ გუნდში, მეგავარსკვლავების გვერდით. „ყოველდღიურად ვცდილობ გავიზარდო, როგორც ფეხბურთელი და ამით ჩემს კლუბს დავეხმარო. „მილანთან“ თუ მენდობოდნენ ნამდვილად არ მეგონა, ძალიან გახარებული ვიყავი. ჩემს ირგვლივ ყველაფერი ისე სწრაფად იცვლება, რომ ამაზე დაფიქრების დროც კი არ მრჩება, უბრალოდ, ვცდილობ დავტკბე ამ მომენტით“, - აცხადებს კვენკა.


ნოკაუტ-სისტემა თითქოს პეპისთვისაა მოგონილი

## პეპი, 2-მატჩიანების მეფე

ხოსეპ გვარდიოლამ უკვე ბევრჯერ დაამტკიცა, რომ ძალიან ძლიერი მწვრთნელია. მისი ყველაზე ძლიერი მხარე კი გუნდის ორმატჩიანი დაპირისპირებებისთვის მომზადებაა. წარმოიდგინეთ, რაც პეპი „ბარსელონას“ თავკაცია, გუნდმა 29 ასეთი 2-თამაშიანი დაპირისპირება გამართა და 27-ჯერ გამარჯვებული გამოვიდა! ეს უმთავრესად ჩემპიონთა ლიგის და ესპანეთის სამეფო თასის მატჩებია, აგრეთვე ესპანეთის სუპერთასის გათამაშება. წარმატების 93% - ნებისმიერი მწვრთნელისთვის საამაყო სტატისტიკაა.

ორადორი კლუბი, რომელმაც ორრაუნდიან ომში პეპის ბარსას აჯობეს „სევილია“ და „ინტერი“ იყო, რომელსაც მაშინ ჟოზე მოურინიო წვრთნიდა.

## FC UEFA?

„მილანთან“ საპასუხო მატჩის შემდეგ, ჰოლანდიელი მსაჯის ბიორნ კუიპერსის გადაწყვეტილებების გამო „ბარსას“ ბევრმა გაჰკრა კბილი. ზოგიერთმა კატალონიურ გრანდს „ფც უეფაც“ კი უწოდა, თითქოს, მას მიშელ პლატინი და კომპანია ხშირად წყალობდეს. მართლაც დაუმსახურებელი იყო „ბარსელონა“ ნახევარფინალში? სტატისტიკის მიხედვით, თითქმის ყველა ასპექტში ესპანური კლუბი უკეთესი იყო. ორივე შეხვედრაში „ბარსამ“ 38 საგოლე მომენტი შექმნა, „მილანმა“ - 8. ბურთის ფლობა ორივე მატჩის ჯამში - 61%, ჯარიმები 18:33. „მილანთან“ საპასუხო მატჩში „ბარსელონას“ სასტარტო შემადგენლობიდან 9 კაცი „ლა მასიას“ გაზრდილი იყო, მხოლოდ ხავიერ მასკერანო და დანი ალვეში არ აღუზრდია კლუბის აკადემიას.

*ლეო მესის ჩემპიონთა ლიგაზე 51 გოლი აქვს გატანილი. ის ამ ტურნირის ისტორიაში მესამე გოლეადორია რაულის (71) და რუუდ ვან ნისტელროის (56) შემდეგ.*

## ტრავმა იყო და არ იყო

ექიმთა დასკვნამ ხოსეპ გვარდიოლას შვებით ამოასუნთქებინა - პირველადი შიში არ გამართლდა, „მილანთან“ მიღებული ტრავმა საშიში არ გამოდგა და ჟერარდ პიკე უკვე მომავალ ტურში, „სარაგოსას“ წინააღმდეგ შეძლებს თამაშს. იტალიელებთან მატჩის 74-ე წუთზე პიკე ორთავაკუნთს იტკიებდა და ის პეპმა გამოცვალა. აღმოჩნდა, რომ პიკეს ტრავმა საერთოდ არ მიუღია, უბრალოდ, კუნთი გადაიტვირთა და დასვენება ამიტომ იყო საჭირო. ასე რომ, მცველი „სარაგოსასთან“ ითამაშებს, თუ... მწვრთნელმა მისი დასვენება არ განიზრახა.

ამბები

## ყველაზე უხვგოლიანი ტრიო

საფეხბურთო სეზონის დასრულებამდე ჯერ კიდევ ბევრი დროა, მაგრამ „რეალის“ შეტევის ტრიომ უკვე შეაბიჯა ამ კლუბის ისტორიაში - **გონსალო იგუაინმა, ქარიმ ბენზემამ** და **კრიშტიანო რონალდომ** ერთად სეზონში (ყველა ოფიციალურ მატჩში) უკვე 101 გოლი გაიტანეს. აქედან 49 პორტუგალიელის ანგარიშზეა, 28 ფრანგის და 24 არგენტინელის. აქამდე „რეალის“ რეკორდი 1959/60 წლების სეზონზე მოდიოდა, მაშინ **პუშკაშმა** (49), **დი სტეფანომ** (24) და **პეპილიომ** (22) ერთად 95 გოლი გაიტანეს.

## ბალდე მზადაა

თვეზე მეტია, რაც „ოსასუნას“ ნახევარმცველი **იბრაჰიმა ბალდე** ტრავმირებულია, თუმცა, როგორც იქნა, ფეხბურთელმა ტრავმა მოირჩინა და არის შანსი, რომ მომავალ ტურში ნავარულ კლუბს დაეხმაროს. *„ზუსტად არ ვიცი, ვითამაშებ თუ არა. ეს უკვე მწვრთნელის გადასაწყვეტია. მე კი მზად ვარ, უკვე 100%-ით მზად“*, - განაცხადა სენეგალელმა თავდამსხმელმა, რომელიც დარწმუნებულია, რომ „ოსასუნა“ ევროთასებზეც არ შეირცხვენს თავს, თუკი საგზურს მოიპოვებს.

## ახალი ძველი თავკაცი

სეგუნდა დივიზიონის „ალმერიას“ ახალი მწვრთნელი ჰყავს - **ესტებან ვიგო.** ვიგომ ახლახან მოხსნილი **ლუკას ალკარასი** შეცვალა, ვისაც ზედიზედ 6 მოუგებელი მატჩი არ აპატიეს. სხვათა შორის, ვიგო 1995/96 წლების სეზონში უკვე ხელმძღვანელობდა ანდალუსიურ კლუბს. *„გუნდი პლეი ოფის ზონაშია, ჩემი მიზანია, უფრო წინ წავიდეს და საბოლოოდ ელიტის საგზური მოიპოვოს“*, - განაცხადა მან. 57 წლის სპეციალისტმა სამწვრთნელო კარიერა სწორედ „ალმერიაში“ დაიწყო, შემდეგ იყო „ბარსელონას“ ახალგაზრდული B გუნდი, „ხერესი“ და „კორდობა“. შემდეგ ვიგომ რუმინეთში გადაინაცვლა, სადაც ბუქარესტის „დინამოს“ ედგა სათავეში. 2007 წელს ის ესპანეთში დაბრუნდა და ჯერ „ხერესი“ გადაიყვანა პრიმერაში, შემდეგ - „ერკულესი“.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ევროპალიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩები

# იბერიადა!



ვალენსიამ აზ 4:0 გაანადგურა

### ჰანოვერი-ატლეტიკო 1:2 (1:2)

**ჰანოვერი (4-4-2):** ცილერი - ჩერუნდოლო, პოგატეცი, ეგიმანი, პანდერი (86. სობიეხი) - შლაუდრაფი, პინტო, შულცი (73. შმიედებახი), რაუში (71. აბდელაუე) - ია კონანი, დიუფი.ს

**ატლეტიკო (4-2-3-1):** კურტუა - პერეა, გოდინი, მირანდა, ფილიპე ლუიში - ტიაგო, სუარესი - კოკე (65. სალვიო), დიეგო (88. დომინგესი), ადრიან ლოპესი - ფალკაო.

**გოლები:** 0:1 ადრიან ლოპესი (63), 1:1 დიუფი (81), 1:2 ფალკაო (87)

**გაფრთხილება:** პინტო - ფალკაო, დიეგო, გოდინი, კოკე, მირანდა

**კუთხური:** 9-2; **ჯარიმა:** 16-16; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 4-6 (2-3); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 44 000

### ვალენსია-ალკმაარი 4:0 (1:2)

**ვალენსია (4-4-2):** დიეგო ალვეში - ბარაგანი, რამი, რ. კოშტა, მატიო - ფეგული (76. პ. ერნანდესი), მ. თოპალი, ტ. კოსტა (84. მადურო), ალბა - სოლდადო, ჟონასი (69. პარეხო).

**ალკმაარი (4-3-3):** ალვარადო - მარსელისი, მოისანდერი, ვიერხევერი, პოულსენი - მაჰერი, ელმი, მარტენსი - ბეერენსი (79. ფალკენბურგი), ალტიდორი (69. ბენშოპი), ჰოლმანი (46. გუდმუნდსონი).

**გოლები:** 1:0 რამი (15), 2:0 რამი (17), 3:0 ალბა (56), 4:0 პ. ერნანდესი (80)

**გაფრთხილება:** ტ. კოსტა, ბარაგანი

**კუთხური:** 6-5; **ჯარიმა:** 13-9; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 14-6 (8-4); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 25 000

### ბილბაო-შალკე 2:2 (4:2)

**ბილბაო (4-3-3):** ირაისოსი - ირაოლა, ეკიზა, ამორებიეტა, აურტენეჩე - ანდერი (31. ი. გომესი (74. სან ხოსე)), ხ. მარტინესი, დე მარკოსი - სუსაეტა, ფ. ლორენტე (58. ტოკერო), მუნიაინი.

**შალკე (4-2-3-1):** უნერშტალი - ჰოოგლანდი, პაპადოპულოსი, მატიპი, ესკუდერო - ჰოლტბი (72. ჰოგერი), ჯონსი - ობასი (62. მარიკა), რაული, ხურადო (61. ფარფანი) - ჰუნტელაარი.

**გოლები:** 0:1 ჰუნტელაარი (29), 1:1 ი. გომესი (41), 1:2 რაული (52), 2:2 სუსაეტა (55)

**გაფრთხილება:** მარტინესი, დე მარკოსი - ობასი, მატიპი, პაპადოპულოსი

**კუთხური:** 8-7; **ჯარიმა:** 14-10; **თამაშგარე:** 5-0; **კარში დარტყმა:** 12-15 (5-7); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 39 000

### მეტალისტი-სპორტინგი 1:1 (1:2)

**მეტალისტი (4-2-3-1):** გორიაინოვი - ვილიაგრა, ბერეზოვჩუკი, ობრადოვიჩი, პშენიჩნიხი (85. ბლანკო) - ტორესი (71. მარლოში), ედმარი (46. დევიჩი) - სოსა, შავიერი, ტაისონი - კრისტალდო.

**სპორტინგი (4-3-1-2):** პატრისიო - პერეირა, ჩანდაო, პოლგა, ინსუა - ფერნანდესი (60. ნეტო), სხაარსი, იზმაილოვი - მარტინსი (72. ანდრე სანტოსი) - ვან ვოლფსვინკელი, კაპელი (83. ევალდო).

**გოლები:** 0:1 ვან ვოლფსვინკელი (44), 1:1 კრისტალდო (57)

**გაფრთხილება:** ბერეზოვჩუკი, სოსა, ტორესი, ტაისონი, ობრადოვიჩი - ჩანდაო, ევალდო

**კუთხური:** 8-3; **ჯარიმა:** 25-20; **თამაშგარე:** 1-6; **კარში დარტყმა:** 12-7 (8-3); **ბურთის ფლობა:** 64%-36%.

**მაყურებელი:** 38 500

### ნახევარფინალი

**ატლეტიკო-ვალენსია   სპორტინგი-ბილბაო**

*პირველი მატჩები 19 აპრილს, საპასუხო - 26 აპრილს*

**ფინალი. 9 მაისი. „არენა ნაციონალა“ ბუქარესტი (რუმინეთი)**



სპორტინგს მომდევნო ეტაპზე გასასვლელად ფრეც ეყო

ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. ოთხშაბათის მატჩების მიმოხილვა

# ბარსასთან რაღას იზამენ?

## დი მატეომ ბევრი უნდა იფიქროს!

**ჩელსი–ბენფიკა 2:1 (1:0)**

მერვედფინალის პირველი რაუნდის შემდეგ, „ჩელსის" მეოთხედფინალში გასვლასაც კი არავინ უწინასწარმეტყველებდა და აი, ლონდონელები ნახევარფინალშიც კი გავიდნენ. ფეხბურთი ასეთია: ის, რაც ნეაპოლში განცდილი კრახის (1:3) შემდეგ არარეალური ჩანდა, დღეს უკვე აღარავის ახსოვს, რადგან „არისტოკრატებმა" მეოთხედფინალში ლისაბონის „ბენფიკას" ბარიერი, პირდაპირ ვთქვათ, იოლად გადალახეს და ახლა ნახევარფინალში არიან, სადაც თვით „ბარსელონა" ელოდებათ.

პესიმისტური მოლოდინი არ გამართლდა: საპასუხო მატჩი საკმაოდ საინტერესო გამოვიდა და მეტიც: „ბენფიკა" „სტემფორდ ბრიჯზე" „ჩელსის" სჯობდა კიდეც! თანაც, ეს ყველაფერი მიუხედავად იმისა, რომ მე-40 წუთიდან ლისაბონელები მოედანზე ათი კაცით დარჩნენ (**პერეირა** გააძევეს). 85-ე წუთზე კი ვითარება უკიდურესადაც კი დაიძაბა, რადგან **ფრენკ ლემპარდის** მიერ 21-ე წუთზე გატანილ პენალტს, **ხავი გარსიამ** 85-ე წუთზე ანგარიშის გათანაბრებით უპასუხა და „ბენფიკას" ნახევარფინალამდე ერთი გოლიღა აკლდა. თუმცა სხვა საქმეა ის, რომ უკვე ძალიან გვიანი იყო და პორტუგალიელებმა აქეთ მიიღეს გოლი. ამრიგად, ლონდონური კლუბი მეექვსედ გავიდა ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში, სადაც ისევე, როგორც 2009 წელს, „ჩელსის" ამჯერადაც „ბარსასთან" ექნება საქმე. პირველი მატჩი ლონდონში 18 აპრილს შედგება, საპასუხო კი – „კამპ ნოუზე", 24 აპრილს.

**რეაქცია**

**ფრენკ ლემპარდი** (ჩელსი): *„დღეს კარგად ვერ ვითამაშეთ, მაგრამ მომდევნო ეტაპზე გავედით და მთავარიც ესაა. „ბარსელონა" ულაპარაკოდ მსოფლიოში საუკეთესო გუნდია და შესაბამისად, ჩვენთანაც აშკარა ფავორიტი იქნება. მაგრამ დაუმარცხებელი არავინაა – მათ შორის, არც „ბარსა"! ცხადია, ახლა ყველას 2009 წელი გაახსენდება, როცა კატალონიურ გრანდს უმძიმესი ბრძოლა გავუმართეთ და მხოლოდ იმიტომ ვერ დავამარცხეთ, რომ არ გაგვიმართლა."*




ხავი გარსიას გოლი, რომელმაც მატჩს ინტრიგა დაუბრუნა

**TOP ფეხბურთელი**

**ხავი გარსია (ბენფიკა)**

**ხავი გარსია** ცენტრალური მცველი არ არის, მაგრამ როგორც ხედავთ, ამ პოზიციაზეც ვარგებულა! მან პირველიდან ბოლო წუთამდე იდეალურად ითამაშა. უკან უკომპრომისო გახლდათ და **ფერნანდო ტორესს** უმეტესად ჩაგრავდა, წინ კი, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გაიტანა გოლი, რომლითაც „ბენფიკას" ნახევარფინალში გასვლის იმედის ნაპერწკალი გაუღვივა. ხავი გარსია მოედანზე საუკეთესო იყო. ასევე კარგად ითამაშეს **გაიტანმა** და **კარდოსომ**, „ჩელსიდან" კი კაპიტანი **ჯონ ტერი** გამოირჩეოდა.

**FLOP ფეხბურთელი**

**მაქსი პერეირა (ჩელსი)**

რატომ? იმიტომ, რომ მე-40 წუთზე უდიდესი სისულელე ჩაიდინა. უკვე გაფრთხილებული იყო, როცა **მიკელისკენ** გაშლილი ფეხით „გაფრინდა" და მსაჯს წითელი ბარათი ფაქტობრივად ძალით გამოსტყუა. რომ არა მისი გაძევება, არავინ იცის, გავიდოდა თუ არა „ჩელსი" ნახევარფინალში, რადგან ლისაბონელები საკმაოდ კარგად თამაშობდნენ.

**ტაქტიკა-სტრატეგია**

**რობერტო დი მატეომ დროგბა** და **სტარიჯი** სათადარიგოთა სკამზე დატოვა – ალბათ უფრო დაასვენა. ამასთან, ლონდონური კლუბის ძირითადში არც **ესიენი** და **მეირელესი** ვიხილეთ – მცირე ტრავმების გამო. სამაგიეროდ, დი მატეომ **რამირესით**, მიკელითა და **კალუთი** დაიწყო თამაში.

„ბენფიკას" **ჟარდელი, გარაი** და **ვიტორი** აკლდნენ, რის გამოც დაცვის ცენტრში საყრდენი ნახევარმცველი ხავი გარსია ვიხილეთ.

**ანალიზი**

ლისაბონელებმა პირველივე წუთებიდან აგრესიულ პრესინგს მიმართეს და „ჩელსის" ფეხბურთელებს შეცდომები დააშვებინეს. „ბენფიკას" წინა ხაზზე **აიმარი**, გაიტანი და **კარდოსო** პოზიციებს ხშირად ცვლიდნენ და ამით ლონდონური კლუბის უკანახაზელებს დიახაც აბნევდნენ. თუმცა პორტუგალიურ კლუბს შეტევაში ასე საჭირო სიმშვიდე და თავდაჯერება აკლდა. ისევე, როგორც პირველ მატჩში, სადაც „ბენფიკას" ფეხბურთელებმა „ჩელსის" კარისკენ 25-ჯერ დაარტყეს, ლისაბონელები ამჯერადაც შორეული დარტყმებით ცდილობდნენ **პეტრ ჩეხის** კარის დალაშქვრას, „ჩელსის" კი, პირდაპირ ვთქვათ, არაფერი გამოსდიოდა.

მიუხედავად იმისა, რომ „ბენფიკა" ვაჟკაცურად უტევდა და უკან დერეფნები რჩებოდა, ლონდონელებმა ამით ვერცერთი კონტრშეტევის დროს ვერ ისარგებლეს – თითქოს მონდომება აკლდათ, ფერნანდო ტორესი კი ცაში გამოკიდებულივით იყო. თუმცა „ჩელსიმ" პირველი ტაიმი მაინც მოიგო – რალაცნაირად...

მიუხედავად კაცნაკლულობისა, „ბენფიკა" მეორე ტაიმშიც სჯობდა „ჩელსის", თუმცა მერე და მერე დი მატეოს შეგირდები გამოფხიზლდნენ. ყველაზე მეტად **მატა** და კალუ გააქტიურდნენ და ლისაბონელი მცველები გვარიანად დაწნეხეს. მიუხედავად ამისა, მაინც შეუმჩნეველი იყო ის, რომ „ჩელსის" მოედანზე ერთით მეტი ფეხბურთელი ჰყავდა...

მოკლედ, „ბენფიკას" ურიგოდ არ უთამაშია, „ჩელსის" კი საკმაოდ გაუმართლა, ნახევარფინალში რომ ამოყო თავი. თუ დი მატეოს გუნდი მნიშვნელოვნად არ მოუმატებს, ლონდონელებს „ბარსელონასთან" შანსი არ აქვთ...

**დასკვნა**

„ჩელსი" დღეს არ ჰგავს ისეთ გუნდს, რომელსაც „ბარსელონასთან" წარმატების მიღწევის შანსი ექნება. ლონდონურმა კლუბმა „ბენფიკა" მხოლოდ იმიტომ გააგდო, რომ „არისტოკრატები" დამაგვირგვინებელ ფაზაში უფრო ეფექტურები იყვნენ.

# ჩემპიონთა ლიგას არ ეკადრება...

**რეალი–აპოელ 5:2 (3:0)**

„რეალის" ფეხბურთელებს მთელი მატჩის განმავლობაში ეტყობოდათ, რომ უმოტივაციოდ იყვნენ. მიუხედავად ამისა, მადრიდულმა გრანდმა აპოელ-ს მაინც დიდი ანგარიშით, 5:2 მოუგო. „სამეფო გუნდმა" ვალი მოიხადა და ნახევარფინალში თამაში ოფიციალურად გაინაღდა – აი, იქ კი, **ჟოზე მოურინიოს** გუნდს ორი უმძაფრესი მატჩი ელის მიუნხენის „ბაიერნთან".

**რეაქცია**

**კრიშტიანო რონალდო** (რეალი): *„ბაიერნი" რთული მეტოქეა. მე არ ვფიქრობ, რომ ფინალში იოლად გავალთ, რადგან მიუნხენელებს ისეთი გუნდი ჰყავთ, რომელსაც ჩემპიონთა ლიგის მოგება შეუძლია."*

**ჟოზე მოურინიო** („რეალის" მწვრთნელი): *„ბაიერნთან" ნამდვილად გაგვიჭირდება. ვფიქრობ, ბრწყინვალე ნახევარფინალი იქნება, რადგან რეკორდმაისტერი დიდი გუნდია. მაგრამ მე კარგად ვიცნობ „ბაიერნს", რადგან 2010 წელს გერმანული გრანდი დეტალურად შევისწავლე და მას მერე „ბაიერნი" დიდად არ შეცვლილა. ფინალი მიუნხენშია და ეს გერმანელებისთვის დამატებითი მოტივაცია იქნება. ჩვენ უბრალოდ ჩვენი საქმე უნდა გავაკეთოთ და რეკორდმაისტერთან მატჩებს კარგად მომზადებულები შევხვდეთ. იუპ ჰაინკესის გუნდი უმეტესად გერმანიის ნაკრების ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული და თანაც, რიბერისა და რობენის სახით ორი ბრწყინვალე ლეგიონერი ჰყავს."*




რა ელირსა ჰამით ალთინთოფს...

**TOP ფეხბურთელი**

**პაულო ჟორჟე (აპოელ)**

კვიპროსული კლუბის ცენტრალური მცველი მაგრად იბრძოდა! ჯერ, თანაგუნდელთან შეჯახებისას ორი კბილი დაკარგა(!), მერე კი, როცა ექიმები უკირკიტებდნენ, მესამე კბილი თავად ამოიძრო! მიუხედავად ამისა, მან შეცვლაზე უარი თქვა, რის გამოც უდიდეს პატივისცემას იმსახურებს.

**FLOP ფეხბურთელი**

**ურკო პარდო (აპოელ)**

ესპანელ მეკარეს, რომელიც „ბარსელონას" აღზრდილია, თავის გამოჩენის შანსი მიეცა, მაგრამ პირველიდან ბოლო წუთამდე ზედმეტად ნერვიულობდა. რონალდოს ჯარიმის დროს კი სასტიკად შეცდა.

**ტაქტიკა-სტრატეგია**

მოურინიომ, როგორც მოსალოდნელი იყო, პირველი მატჩისგან განსხვავებით ძირითადი შემადგენლობა ხუთ პოზიციაზე შეცვალა: დაცვის ცენტრში, **პეპეს** გვერდით **ვარანი** ათამაშა, **სერხიო რამოსი** კი მარჯვნივ გადასწია, ხოლო მარცხნივ, **კოენტრაო მარსელომ** შეცვალა. ნახევარდაცვის ცენტრში ჟოზემ **გრანეროსა** და **შაჰინის** დუეტს მისცა მორიგი შანსი, ხოლო მათ წინ, **იოზილის** ნაცვლად **კაკა**, მარჯვნივ კი სულაც **ჰამით ალთინთოფი** ათამაშა.

ცვლილებები აპოელ-ის თავკაცმა **ივან იოვანოვიჩმაც** განახორციელა, თანაც ოთხი: კარში, **ქიოტისის** ნაცვლად **პარდო** ვიხილეთ, ტრავმირებულები, **ოლივეირა** და **ტრიკოვსკი** კი **კაკამ** და **მარსინიომ** შეცვალეს. სასტარტოში დაბრუნდა დისკვალიფიკაციამოხდილი **მანდუკაც**.

**ანალიზი**

„რეალის" მეორე გუნდმა ისევ საკუთარ საჯარიმოსთან მიჯაჭვულ ნიქოზიელებთა თამაში აქტიურად დაიწყო. ყველაზე მეტს მარსელო დარბოდა, რომელიც დროის უმეტეს ნაწილს შეტევაში ატარებდა და ხშირად მესამე საყრდენ ნახევარმცველად გვევლინებოდა. აპოელ-ის ფეხბურთელებს შეტევაზე ფიქრიც კი არ უცდიათ. ნიქოზიელები მთელი გუნდით თავს იცავდნენ და ასე განსაჯეთ, „რეალის" ნახევარზე პირველად მხოლოდ მე-11 წუთზეღა გადავიდნენ. პრინციპში, გოლების გატანის დაუოკებელი სურვილი არც მადრიდელებს ჰქონიათ – „რეალის" მთავარი იარაღი წინა ხაზზე ისევ და ისევ მარსელოს ჩაწოდებები იყო.

ერთ-ერთი კუთხურის შემდეგ „რეალს" გაუმართლა: ნიქოზიელებმა მშვენიერი კონტრშეტევა განახორციელეს, მაგრამ **აილტონი** სერხიო რამოსმა გააუვნებელყო. მერე კი განრისხდნენ მადრიდელები და შეტევაში უფრო მოინდომეს...

სურათი არც მეორე ტაიმში შეიცვალა: თამაშს მთლიანად „რეალი" აკონტროლებდა, აპოელ-ის ფეხბურთელები კი, მართალია, მეტოქის ნახევარზე გადასვლას უფრო ხშირად ბედავდნენ, მაგრამ **კასილიასის** კართან ხიფათი დიდხანს ვერ შექმნეს. მერე „რეალმა" ტემპი დააგდო და დაისაჯა კიდეც – 2:1.

ბოლო 15 წუთი კარგი საყურებელი გამოვიდა – თუკი შეიძლება, რომ აბსოლუტურად უმოტივაციო თამაშსა და გოლებს „კარგი საყურებელი" ვუწოდოთ. 15 წუთში 4 გოლი – ესეც საქმეა.

**დასკვნა**

ცუდია, როცა ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში ერთი გუნდი ასე იოლად უგებს მეორეს. უბრალოდ, ამ ტურნირს არ ეკადრება...

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ **ლენცმა**

ბერმანიის ნაკრები

# კლოზე: ევრო 2012-ს კარგ ფორმაში შევხვდები!


მიროსლავ კლოზე ოპტიმისტურადაა განწყობილი

გერმანიის ნაკრებისა და რომის „ლაციოს" თავდამსხმელი **მიროსლავ კლოზე** დარწმუნებულია, რომ ევროპის ჩემპიონატს იდეალურ ფორმაში შეხვდება – მიუხედავად იმისა, რომ ახლა ტრავმირებულია. მისი თქმით, ბუნდესგუნდის მთავარმა ექიმმა **ჰანს-ვილჰელმ მიულერ-ვოლფარტმა** უთხრა, რომ გამოჯანმრთელების პროცესი მოსალოდნელზე კარგად მიდის და კლოზეს აუცილებლად ექნება იმის დრო ტურნირის დაწყებამდე, რომ ფორმა აღიდგინოს.

*„დარწმუნებული ვარ, რომ ევროპის ჩემპიონატს ტოპ-ფორმაში მყოფი შევხვდები,* - უთხრა 33 წლის ფორვარდმა „ბილდს", - *სამ დღეში ერთხელ გერმანიაში დავფრინავ და დოქტორი მიულერ-ვოლფარტი მამოწმებს ხოლმე. ის და გერმანიის ნაკრების ფიზიოთერაპევტი კლაუს ედერი მეუბნებიან, რომ გამოჯანმრთელების პროცესი კარგად მიდის."*

მიროსლავს ტრავმა ორი კვირის წინ, „ლაციოს" ვარჯიშზე მიიღო. შეგახსენებთ, რომ იტალიის მიმდინარე ჩემპიონატში კლოზეს ანგარიშზე 12 გოლი და 8 საგოლე პასია.

**გოტფრიდ ლენცი**

ფიორენტინა

# სპალეტიმ ვიოლა თითქმის [illegible]


ლუჩანო სპალეტი

რამდენიმე დღეა, იტალიურ სპორტულ პრესაში აქტიურად ვრცელდება ინფორმაციები იმის შესახებ, რომ "ფიორენტინას" მესვეურებს მთავარი მწვრთნელის შეცვლა სურთ და **ლუჩანო სპალეტისთან** აპირებენ მოლაპარაკების წამოწყებას. **დელიო როსის** ხელში, ფლორენციელები სატურნირო ცხრილის ფსკერზე დაეშვნენ და თუ ასე გააგრძელეს, შესაძლოა სერია B-შიც კი დაქვეითდნენ. შესაბამისად, სულაც არ არის გასაკვირი, რომ კლუბის პრეზიდენტი, **ანდრეა დელა ვალე** სერიოზულ ცვლილებებს გეგმავს. "კორიერე დელო სპორტის" ჟურნალისტი სპალეტის რუსეთში შეეხმიანა და მის ფლორენციაზე შესაძლო გადაბარგებაზე ჩამოუგდო სიტყვა, რაზეც შემდეგი პასუხი მიიღო:

*"უცხოეთში თავს ძალიან კარგად ვგრძნობ და სიმართლე გითხრათ, ჯერჯერობით იტალიაში დაბრუნების სურვილი არ მაქვს. მქონდა რამდენიმე შემოთავაზება სერია A-ს გუნდებიდან, მაგრამ ფლორენციიდან ჯერჯერობით არავინ შემხმიანებია. ვნახოთ, შეიძლება გამოჩნდნენ კიდეც და ალბათ დავილაპარაკებთ... წინადადების განხილვას წინ არაფერი უდგას, მაგრამ როგორც უკვე გითხარით, ამ ეტაპზე, სერია A-ში მუშაობის პერსპექტივა არ მხიბლავს. უცხოეთში ძალიან დიდ გამოცდილებას ვიღებ, რაც მომავალში წინ დამხვდება".*

**ლაშა წიკლაური**

ბაიერნი

# ოლიჩმა ამოღერღა: ბოსებს არ ვჭირდები!

## ივიცა მიუნხენში დარჩენაზე უარს არ იტყოდა, მაგრამ...

ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის საპასუხო მატჩში დუბლის შესრულების შემდეგ (2:0 მარსელთან), „ბაიერნის" ხორვატმა თავდამსხმელმა **ივიცა ოლიჩმა** ხმა აიმაღლა და მიუნხენური კლუბის ხელმძღვანელები გააკრიტიკა.

*„მწვრთნელმა მითხრა, შენი გაშვება არ მინდაო. ჰაინკესს სურს, რომ „ბაიერნთან" ახალი კონტრაქტი გავაფორმო, მაგრამ როგორც ვხვდები, ეს გუნდის ბოსებს არ უნდათ!"* - განუცხადა ხორვატიის ნაკრების თავდამსხმელმა „მიუნხენერ თაგესცაითუნგს".

როგორც იცით, თითქმის გადაწყვეტილია, რომ 32 წლის ოლიჩი სეზონის დასრულების შემდეგ „ვოლფსბურგში" გადავა, თუმცა ჯერ კიდევ არაა გამორიცხული, რომ ივიცა მიუნხენში დარჩეს, რადგან ხსენებულ ინტერვიუში ისიც თქვა, საბოლოო გადაწყვეტილებას აპრილის ბოლოს მივიღებო.

ამ სეზონში ოლიჩმა მხოლოდ 16 მატჩში მიიღო მონაწილეობა და უმეტესად შეცვლაზე ათამაშებდნენ (მხოლოდ ოთხჯერ იყო ძირითად შემადგენლობაში). მიუხედავად ამისა, მის ანგარიშზე ორი გოლი და ერთი საგოლე პასია. **იუპ ჰაინკესმა** არაერთხელ აღნიშნა, ივიცას დარი მებრძოლი და თავდადებული ფეხბურთელი ძალიან მჭირდება და მისი შენარჩუნება მინდაო...


ივიცა ოლიჩი

**გოტფრიდ ლენცი**

შეთავაზება

# მიკოლი დელ პიეროს პალერმოში ეპატიჟება


ფაბრიციო მიკოლი და ალესანდრო დელ პიერო

მოკლედ, **ალესანდრო დელ პიეროს** ხან ვინ ექაჩება თავისთან და ხან ვინ... ბოლოს, ამ თემაზე კომენტარი "პალერმოს" ლიდერმა **ფაბრიციო მიკოლიმ** გააკეთა და ტურინული გრანდის ცოცხალი ლეგენდა სიცილიაზე დაპატიჟა. ამ უქმეებზე, "პალერმოს" სწორედ "იუვენტუსთან" უწევს შეტოქება და როგორც მიკოლი ახადებს, ამ თემაზე აუცილებლად ჩამოუგდებს სიტყვას დელ პიეროს – მოვუსმინოთ ფაბრიციოს:

*"დელ პიეროსთან ერთად "იუვენტუსში" მომიწია თამაშმა და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ საუკეთესო პარტნიორი გახლდათ, ვისთანაც ოდესმე მითამაშია. ამასთან, შესანიშნავი პიროვნებაა, ვისგანაც უამრავი რამ შეიძლება ისწავლო. თუ გადაწყვეტს და "პალერმოში" გადმოვა, მზად ვარ მას ჩემი 10-ნომრიანი მაისურიც კი დავუთმო. ამ უქმეებზე მას მოედანზე შევხვდები და თამაშის შემდეგ, აუცილებლად შევთავაზებ "პალერმოში" გადმოსვლას. მართალია, სატრანსფერო საკითხები ჩემს კომპეტენციაში არ შედის, მაგრამ ამ შემთხვევაში, თავს უფლებას მივცემ და თვით კლუბის პრეზიდენტის, მაურიციო ძამპარინის როლს შევითავსებ".*

**ლაშა წიკლაური**

ვერდერი

# გადაწყდა: ვიზე მიდის!

## ტიმით მილანი და შალკე დაინტერესდნენ

**ტიმ ვიზე** „ვერდერის" კარს შვიდი წლის მანძილზე იცავდა და ახლა საბოლოოდ გადაწყვეტილია, რომ ზაფხულში ბრემენულ კლუბს დატოვებს. „ვერდერის" ხელმძღვანელებმა გუშინ ოფიციალურადაც დაადასტურეს, რომ ტიმი ახალ კონტრაქტს არ აფორმებს, რაც იმას ნიშნავს, რომ სეზონის დასრულების შემდეგ თავისუფალი აგენტი გახდება. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ბრემენიდან **კლაუდიო პისაროს** აბარგებაც პრაქტიკულად გადაწყვეტილია, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ვერდერი" იშლება!

*„ტიმ ვიზემ მწვრთნელ თომას შააფს და სპორტულ დირექტორ კლაუს ალოფსს ოთხშაბათს აცნობა, რომ ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე უარს ამბობს და ზაფხულში „ვერდერს" დატოვებს,"* - უთხრა „კიკერს" ბრემენული კლუბის პრესმდივანმა **ტინო პოლსტერმა**.

*„მიხარია, რომ ისეთ დიდ გუნდში, როგორიც „ვერდერია", შვიდი წელი გავატარე, ახლა კი ახალი გამოწვევა მჭირდება,* - ეს თავად ვიზეს განცხადებაა, რაც მან „შპორტ ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში გააკეთა, - *სეზონის ბოლომდე ამ გუნდისთვის თავს არ დავზოგავ და ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ „ვერდერმა" ევროპალიგის საგზური მოიპოვოს. „ვერდერში" ერთად შესანიშნავი წლები გავატარე – 2009 წელს გერმანიის თასი მოვიგე და უეფას თასის ფინალში ვითამაშე. თომას შააფს კი უდიდეს პატივს ვცემ."*

ჯერჯერობით უცნობია, სად გააგრძელებს კარიერას 30 წლის მეკარე, ფაქტი ის არის, რომ ვიზეს არაერთი შეთავაზება აქვს. გერმანული მედიის ცნობით, ტიმით ყველაზე მეტად „მილანი" და „შალკე" არიან დაინტერესებულები.

**გოტფრიდ ლენცი**


ტიმ ვიზემ ვერდერში შვიდი წელი გაატარა

მოსაზრება

# მარადონა: ბაიერნი რეალს გააგდებს!


დიეგო მარადონა დარწმუნებულია, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალი ესპანური არ იქნება

**დიეგო მარადონა** დარწმუნებულია, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალში „რეალისა" და „ბარსელონას" დუელს ვერ ვნახავთ, რადგან სჯერა, რომ „რეალი" ნახევარფინალში მიუნხენის „ბაიერნის" ბარიერს ვერ გადალახავს.

*„ბაიერნი" „რეალს" გააგდებს – ამაში თითქმის დარწმუნებული ვარ! ესპანური ფინალი გამორიცხულია!"* – წერდა 51 წლის მარადონა სოციალურ ქსელ თვითერზე გუშინ. როგორც ჩანს, დიეგოს ეჭვი არც იმაში ეპარება, რომ „ბარსელონა" „ჩელსის" გააგდებს...

**გოტფრიდ ლენცი**


## პოლიპები - მსხვილი ნაწლავის კიბოსწინა დაავადება

Oxford MEDICAL




„სწორი და მსხვილი ნაწლავის პოლიპები ხანგრძლივად, ხან კი, მთელი ცხოვრების განმავლობაში ადამიანის ორგანიზმში შეუმჩნეველია და მისი მატარებელი მათ არსებობას ვერც გრძნობს, ვინაიდან კლინიკური ნიშნები მათი არსებობისას არ ვლინდება" – ამბობს ექიმი-პროქტოლოგი ერეკლე გრატიაშვილი, რომელიც მათი აღმოჩენის (დიაგნოსტირება) შემთხვევაში, სპეციალისტთან აუცილებელ ვიზიტზე საუბრობს. მისივე თქმით, რეკომენდებულია 50 წელს მიღწეულ ყველა ჯანმრთელ ადამიანს გამოკვლევა ჩაუტარდეს.
– სწორი ნაწლავის და ანალური არხის პოლიპები, ხშირად მხოლოდ პერიოდული სისხლდენებით, უმნიშვნელო ლორწოვანი გამონადენით და კუჭის მოქმედების დროს მცირე დისკომფორტით ვლინდებიან. ავადმყოფები ხშირად თვლიან, რომ აქვთ ჰემოროიდული დაავადება (ბუასილი), ამიტომ დაგვიანებით მიმართავენ პროქტოლოგს. მაშინ, როცა პოლიპი დიდ ზომებს აღწევს, იწყებს გამოვარდნას ანალური არხიდან ან დეფეკაციის აქტის (კუჭის მოქმედების) გაძნელებას. ასეთ შემთხვევებში კი, ხშირად პოლიპი განიცდის კიბოდ გადაგვარებას და მისი მკურნალობისათვის მხოლოდ რადიკალური, რთული ოპერაციის წარმოებაა საჭირო. მაგალითად, როგორიცაა სწორი ნაწლავის აბდომინო-პერიანალური ექსტირპაცია (სწორი ნაწლავის ამოკვეთა და ხელოვნური ანუსის ფორმირება მუცლის წინა კედელზე). ასეთი პაციენტების ფსიქოლოგიურ-სოციალური რეაბილიტაცია საკმაოდ რთულია და მკურნალობა ფინანსურადაც გაცილებით ძვირი ჯდება, ვიდრე დაავადების საწყის ეტაპზე. ონკოლოგიის განვითარების ამ ეტაპზე, მსხვილი ნაწლავის პოლიპების გამოვლენა და ამოკვეთა ერთადერთი ქმედითი ღონისძიებაა ამ ლოკალიზაციის კიბოს თავიდან ასაცილებლად და ამიტომაც პაციენტს გააზრებული უნდა ჰქონდეს, თუ რა შეიძლება მოჰყვეს ექიმთან დაგვიანებით მისვლას. დროულად დასმულ დიაგნოზს, წარმატებული მკურნალობისათვის ხშირ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

### უროლოგია
- პოტენციის აღდგენა ასაკისა და თანმდევი დაავადებების მიუხედავად
- ნაადრევი ეაკულაციის ეფექტური მკურნალობა.
- პროსტატიტის და პროსტატის ადენომის დიაგნოსტიკა და მკურნალობა

### გინეკოლოგია
- სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები. საშვილოსნოს ყელის ეროზიის გამოკვლევა, კოლპოსკოპია და მკურნალობა უახლესი აპარატურით.
- პრემენსტრუალური ტკივილების მკურნალობა.
- მედიკამენტოზური აბორტი

### პროქტოლოგია
- ბუასილის მკურნალობა უსისხლოდ, უმტკივნეულოდ, უოპერაციოდ, ლიგირების მეთოდით.
- სწორი ნაწლავის ნაპრალის ეფექტური მკურნალობა.

### კოსმეტოლოგია
- ეპილაცია
- მკურნალობა ELOS უახლესი აპარატით

### დერმატოლოგია
- კანის, თმის, ფრჩხილების დაავადებების დიაგნოსტიკა და მკურნალობა.

ანონიმურობა დაცულია!

Oxford MEDICAL private clinics
229 00 66; 229 47 47
მის: თბილისი, ფალიაშვილი 15
Email: oxford.tbilisi@gmail.com

დელიკატური პრობლემების დელიკატური გადაწყვეტა

მილანური ამბები




მილანის კარში დანიშნული მეორე თერთმეტმეტრიანის ეპიზოდი

# გალიანი: ყველაფერი მსაჯების ბრალია

## ალეგრის წყალი შეუდგა, პატო ისევ დაშავდა

"მილანი" იტალიური პრესის ყურადღების ცენტრშია მოქცეული, რაც სრულიად ბუნებრივია, რადგან ლომბარდიული გრანდის თავს ბევრი საინტერესო რამ ხდება. ყველაზე აქტუალური თემა ჯერ კიდევ ჩემპიონთა ლიგაში "ბარსელონასთან" განმეორებითი პაექრობაა, რომელიც ესპანელთა გამარჯვებით დასრულდა... იტალიაში მიაჩნიათ, რომ ამ ორმატჩიანი დუელის ბედი დიდწილად განმეორებითი პაექრობის არბიტრმა, ჰოლანდიელმა კუპერსმა გადაწყვიტა, რომელმაც კატალონიელებს ორი თერთმეტმეტრიანი დაუნიშნა, იქიდან ერთი ნამდვილად შეცდომით. მივყვეთ თანმიმდევრობით...

### ისევ მსაჯები

მოკლედ, "მილანი" და მსაჯები მიმდინარე სეზონში ვერაფრით ეგუებიან ერთმანეთს და უკვე მერამდენედ გვიწევს ამ თემაზე საუბარი. აქამდე, ყველაზე დიდი ხმაური "მილანი"-"იუვენტუსის" დაპირისპირებას მოჰყვა, რომელშიც ლომბარდიელებს წესების სრული დაცვით გატანილი გოლი გაუუქმეს. მაშინ, **სალი მუნტარის** არ გაუმართლა, ვისი თავურის შემდეგაც ბურთმა აშკარად გადაკვეთა **ჯიჯი ბუფონის** კარის ხაზი, მაგრამ ეს მხოლოდ არბიტრებმა ვერ დაინახეს. ახლახან, "როსონერის" ანალოგიურ ვითარებაში კიდევ ერთი გოლი არ ჩაუთვალეს, როდესაც უკვე **რობინიოს** დატყმის შემდეგ გადაკვეთა ბურთმა ხაზი და მსაჯები ისევ ვერ აღმოჩნდნენ მოწოდების სიმაღლეზე – ეს ამბავი "კატანიასთან" პაექრობაში მოხდა და ის გოლი რომ ჩაეთვალათ, დიდი ალბათობით, "მილანი" აღარ დაკარგავდა ორ ქულას. ამ ამბავს აპენინებზე დიდი რეზონანსი მოჰყვა, "მილანისტებმა" განგაშის ზარს შემოჰკრეს და უკმაყოფილება საჯაროდ თვით **სილვიო ბერლუსკონიმაც** კი გამოხატა. და აი, "ბარსელონასთან" პაექრობაში "მილანი" ისევ დაიჩაგრა, რამაც ლომბარდიული გრანდის ვიცე-პრეზიდენტი **ადრიანო გალიანი** ლამის ჭკუიდან გადაიყვანა – მოვუსმინოთ მას:

*"რომ არა არბიტრთა შეცდომები, დღეს ალბათ სკუდეტოსთან ძალიან ახლოს ვიქნებოდით და არც ჩემპიონთა ლიგის დატოვება მოგვიწევდა. "ბარსელონას" სიძლიერეში ეჭვი ნამდვილად არ შემაქვს, მაგრამ პირველი ტაიმი რომ სასურველი ანგარიშით დაგვესრულებინა, მეორეში მიზნის მიღწევა გაცილებით იოლი იქნებოდა. მიმდინარე სეზონში, არბიტრებმა აშკარად დაგვჩაგრეს და ამას წესით ყველა უნდა ამჩნევდეს. ყველა სიკეთესთან ერთად, ტრავმებშიც არ გვიმართლებს, რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი მუდმივად გვაკლია, რაც ხშირ შემთხვევაში გადაუჭრელ პრობლემას გვიქმნის. იმედი მაქვს, სეზონის დასკვნით ნაწილში მაინც შეიცვლება ვითარება და სკუდეტო ჩვენ დაგვრჩება".*

### ალეგრი და სკუდეტო

მას შემდეგ, რაც "მილანი" **მასიმილიანო ალეგრიმ** ჩაიბარა, პირველად გავრცელდა ხმები იმის შესახებ, რომ 44 წლის სპეციალისტი შეიძლება პოსტიდან გაათავისუფლონ. "ტუტო სპორტის" მიერ გავრცელებული ცნობის თანახმად, "ბარსელონასთან" გამოვარდნამ სილვიო ბერლუსკონი ძალიან გააბრაზა და თუ "როსონერიმ" ვერც სკუდეტო მოიგო, მაშინ ალეგრის პოსტის დატოვება მოუწევს. პრინციპში, ეს არც არის გასაკვირი, რადგან "მილანი" ჯერ იტალიის თასიდან გამოვარდა, შემდეგ ჩემპიონთა ლიგიდან და თუ სკუდეტოც "იუვენტუსს" დაუთმო, მაშინ მწვრთნელის მუშაობა ვერაფრით შეფასდება დადებითად. ამ თემაზე თვითონ ალეგრიმაც ისაუბრა და შემდეგი განაცხადა:

*"ყველაფერს აქვს დასასრული და ადრე თუ გვიან, მეც მომიწევს "მილანის" დატოვება, მაგრამ ჯერჯერობით, ეს ამბავი ჩემს გეგმებში ნამდვილად არ შედის. სწორი კურსი გვაქვს არჩეული და ეს "ბარსელონასთან" თამაშებმაც დაადასტურა – მსოფლიოს საუკეთესო გუნდს ბევრი არაფერი დავუთმეთ და რომ არა ის გამოგონილი თერთმეტმეტრიანი, კაცმა არ იცის, ვინ გავიდოდა ნახევარფინალში. სკუდეტოს მოპოვების საკმაოდ კარგი შანსი გვაქვს და პოზიციების დათმობას არ ვაპირებთ – მოკლედ, დიდი გეგმები გვაქვს და წასვლაზე ნამდვილად არ ვფიქრობ".*

### კონტე: მილანი უფრო საშიში გახდა

"მილანი"-"ბარსელონას" შესახებ, კომენტარი "იუვენტუსის" მთავარმა მწვრთნელმა, **ანტონიო კონტემაც** გააკეთა და ბუნებრივია, ეს ამბავი სასკუდეტო ორთაბრძოლის ჭრილში განიხილა:

*"ყურადღებით ვუყურე „კამპ ნოუზე" გამართულ შეხვედრას და ვფიქრობ, რომ "მილანმა" თავი შესანიშნავად წარმოაჩინა. "ბარსელონას" წინააღმდეგ თამაში ურთულესი საქმეა და როდესაც შენს კარში ორი თერთმეტმეტრიანი ინიშნება, იქ უკვე რთულია წარმატებაზე საუბარი. ნებისმიერ შემთხვევაში, "როსონერიმ" კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ უმაღლესი კლასის გუნდია. ლომბარდიელთა ლიგიდან გამოვარდნა ჩვენთვის არც თუ კარგი ამბავია, რადგან მთლიანად სერია A-ზე გადმოერთვებიან და ძალების დაზოგვაზე აღარ მოუწევთ ზრუნვა. შესაბამისად, "როსონერი" კიდევ უფრო სახიფათო გახდა და სკუდეტოს მოპოვება კიდევ უფრო გაგვიჭირდება. რაც უნდა იყოს, ჩვენი ვალია თითოეულ თამაშზე სამი ქულისთვის ვიბრძოლოთ და ერთადერთი კონკურენტის წაფორხილებას დაველოდოთ".*

### პატო სეზონის ბოლომდე დაშავდა

**ალეშანდრე პატო** "ბარსელონას" წინააღმდეგ მეორე ტაიმში ჩაერთო თამაშში და მალევე, ისევ შესაცვლელი გახდა. დიახ, ბრაზილიელი ფორვარდი ისევ დაშავდა და სეზონის ბოლომდე ველარც დაუბრუნდება მოედანს. საგულისხმოა, რომ 2010 წლის იანვრის შემდეგ, პატო 14-ჯერ დაიმტვრა, რაც ვგონებთ სარეკორდო მაჩვენებელი უნდა იყოს. ბოლოს, ალეშანდრეს ფრანგი ექიმი **ჟან-პიერ მეერსემანი** მკურნალობდა და სწორედ მან მისცა ბრაზილიელს "ბარსელონასთან" თამაშის უფლება... ჟურნალისტები სწორედ ჟან-პიერს დაუკავშირდნენ და შეეცადნენ გაერკვიათ, რა დაემართა ფორვარდს:

*"ძალიან შეწუხებული ვარ, მთელი ღამე არ მეძინა, რადგან პატოს სწორედ მე მივეცი თამაშის უფლება. შესაბამისად, პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე ვიღებ და მზად ვარ, მისი მკურნალობა საფასურის გარეშე ისევ საკუთარ თავზე ავილო. ბოლო ორ წელიწადში ვინ აღარ მკურნალობდა პატოს, დაწყებული ამერიკიდან, დასრულებული გერმანიით, მაგრამ მის ტრავმიანობას არაფერი ეშველა. სიმართლე გითხრათ, უკვე აღარ ვიცი, სად არის გამოსავალი. ზუსტად ვიცი, როგორ უნდა მოვუხსნა ტკივილები და როგორ გამოვაჯანმრთელო, მაგრამ მომდევნო ტრავმისგან როგორ დავიცვა, მაგდენს ველარ ვხვდები".*

პატოს ტრავმას "მილანის" მთავარი მწვრთნელი, მასიმილიანო ალეგრი გამოეხმაურა და ბოლოს, სწორედ მას გადავცეთ სიტყვა: *"პატომ ისევ იგრძნო ტკივილები ფეხში და როგორც ვიცი, სეზონის ბოლომდე თამაშს ველარ შეძლებს. უკვე ორი წელია იტანჯება და გამოსავალიც არ ჩანს. მინდა გამძლეობა ვუსურვო ალეშანდრეს და მხარდაჭერა გამოვუცხადო, რადგან ვიცი, რა რთულია ამდენი ხანი ტრავმებთან ბრძოლა".*



ჭიდაობა. აზიის სალიცენზიო ტურნირი

# მეტოქეები აზიამაც დაგვისახელა

**აზიის** რეგიონის რამდენიმე ქვეყანა მსოფლიოს საჭიდაო ოჯახში მოდის კანონმდებლადაა მიჩნეული. განსაკუთრებით - ბერძნულ-რომაულსა და ქალთა ჭიდაობაში, თუმცა „თავისუფალში" შუა აზია-ირანის რეგიონიც ძალიან ძლიერია. ადრიდანვე აღიარებულ ლიდერებს ბოლო წლებში ჩინეთი და ინდოეთიც შეემატნენ, რომლებსაც უკვე მსოფლიოს ჩემპიონები და ოლიმპიური მედალოსნებიც ჰყავთ. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ასეთი ძლიერი კონფედერაცია სტამბოლის შარშანდელ სალიცენზიო მსოფლიოს პირველობაზე საგზურების მწირი მარაგის ამარა დარჩა - სამივე სახეობაში სულ რალაც 26 მოიპოვეს. დიდი არც ამ ქვეყნების რიცხვია - ჩინეთი, ირანი, იაპონია, ყაზახეთი, კორეა და მონღოლეთი. უსაგზუროდ დარჩნენ ინდოეთი და რაც უფრო გასაკვირია - უზბეკეთი. ცხადია, სხვა ქვეყნების ჩავარდნაც აღსანიშნავია, თუმცა იმათ თითო-ოროლა ვარსკვლავი თუ ჰყავთ, ესენი კი ბოლო წლებში ბევრად სტაბილური გუნდებია; განსაკუთრებით - უზბეკეთი, სადაც ვაჟთა ორივე ნაკრები ძლიერია, ინდოეთში კი ჯერ თავისუფალი ჭიდაობა ლიდერობს, რაშიც დიდი წვლილი ვლადიმერ მესტვირიშვილს მიუძღვის.

### თავისუფლება აზიურად

ამ დღეებში ყაზახურ ასტანაში აზიის სალიცენზიო ტურნირი ჩატარდა, სადაც ჩვენებურთა მორიგი მეტოქეები დასახელდნენ. თავდაპირველად „თავისუფალთა" ტურნირზე ვთქვათ, რომელმაც




უზბეკთა დიდი უპირატესობით ჩაიარა - ერთბაშად ხუთი საგზური მოიპოვეს. მათ შორის ისეთმა ცნობილმა ფალავნებმა, როგორებიც გუნდის ოსი ლიდერები, მსოფლიოს ჩემპიონი **ზაურბერკ სოხიევი** (84) და მსოფლიოსა და ოლიმპიადის ორ-ორგზის მომგები და რამდენიმეგზის ფინალისტი **არტურ ტაიმაზოვი** (120) არიან. ოღონდ ტაიმაზოვი ჩემპიონი გახდა, სოხიევმა კი ფინალი ირანელ **ეჰსან ლაშგარისთან** წააგო. ლონდონში გამოსვლა გაინაღდა მსოფლიოს პრიზიორმა **ყურბან ყურბანოვმაც** (96), როგორც **რაშიდ ყურბანოვმა** (74) და **იხტიორ ნავრუზოვმა** (66). სამაგიეროდ, კვლავაც ულიცენზიოდ დარჩა მსოფლიოს ჩემპიონი **დილშოდ მანსუროვი** (60). ირანმა თავის 4 საგზურს ასტანაში კიდევ ორი შემატა - ზემოხსენებულმა ლაშგარიმ და აზიის რამდენიმეგზის გამარჯვებულმა, ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონმა **მასუდ ესმაილპოურმა** (60). ახლა ისინი უსაგზუროდ მხოლოდ მძიმე წონაში რჩებიან, სადაც **პარვიზ ჰადი** ასტანაში მესამეზე კი გავიდა, მაგრამ საგზურს ფინალისტები ილებდნენ. შესაძლოა, ნაკრების ხელმძღვანელობამ ჩვენებურთაგან დაბრიყვებული მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **ფარიდ მასოუმ ვალადი** მომდევნო სალიცენზიო შეჯიბრებებისთვის შემოინახა და ასტანაში ახალი კადრი გამოცადა.

ირანელთა მსგავსად, ყაზახეთში ორი საგზური დაისაკუთრეს ინდოელებმაც (55-60 კგ), თუმცა კვლავაც ულიცენზიოდ რჩება მათი ლიდერი, მსოფლიოს ჩემპიონი და ოლიმპიური პრიზიორი **სუშილ კუმარი** (66), რომელიც ასევე მესამეზე დარჩა. ასევე ორი საგზური ირგუნეს იაპონელებმა - 55-74-ში და დღეს მათ ანგარიშზე ოთხი ლიცენზიაა. ერთი ოლიმპიელი გაინაღდეს ტაჯიკებმაც, რაც 96-ში **რუსტამ ისკანდარიმ** გააკეთა, მაგრამ ხელი მოეცარა მათ ლიდერს, ავარელ დაღესტნელ მსოფლიოსა და ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონ **იუსუპ აბდუსალამოვს**, ვისაც პეკინის ოლიმპიადის ფინალში **რევაზ მინდორაშვილმა** სიქა გააცალა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით - მისი დასრულებისთანავე ძალაგამოცლილი ავარელი პირდაპირ საავადმყოფოში გააქანეს. ყაზახებმა კარგად გამოიყენეს მასპინძლობის ფაქტორი და გუნდი ბოლომდე შეავსეს - სტამბოლში მოპოვებულ ოთხ საგზურს სამი დაუმატეს. ამ ტრიოდან მძიმე წონის ფინალისტს, ოლიმპიურ პრიზიორ **მარიდ მუტალიმოვს** გამოვარჩევთ, რომელიც გადამწყვეტ შეხვედრაში ტაიმაზოვთან დამარცხდა. ამ რეგიონის ძლიერ "თავისუფალთაგან" ჯერჯერობით უსაგზუროდ რჩებიან ჩინეთი და სამხრეთი კორეა, თუმცა მათ უფრო ძლიერი გუნდები ბერძნულ-რომაულში ჰყავთ. არც ჩრდილოკორეელთა მსოფლიოს ექსჩემპიონი **კიონგ იანგი** (55) ჩანს სადმე.

### დოხტურიშვილ-სალდაძეების უზბეკური დილემა

ბერძენ-რომაელთა ტურნირის მთავარ სიახლედ ლეგენდარული ირანელის, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონ **ჰამიდ რაინჰაპურ სორიანის** (55) დაბრუნებას მივიჩნევთ. მან 2005-2010 წლებში გამართული მსოფლიოს ხუთივე პირველობა (2008 წელს ოლიმპიადის გამო არ ჩატარებულა) მოიგო და მხოლოდ ოლიმპიური თამაშებში დამარცხდა - მომავალ გამარჯვებულთან, რუსთა ინგუშ **ნაზირ მანკიევთან** წააგო. მისი კარიერის შავ ლაქადაც ჯერჯერობით ოლიმპიადა რჩება. ეტყობა, ამ ხარვეზის შესავსებად უბრუნდება ლეიბს, თუმცა არც ისე ხმაურიანად დაბრუნდა - ფინალი უცნობ იაპონელ **კოსეი ჰასეგავასთან** დათმო. ირანელებს აქამდე სამი საგზური ჰქონდათ, რასაც ახლა 2 დაუმატეს - 55-96, საძიებელი კი 74-84-ში აქვთ. 74-ში ამჯერად მსოფლიოს პრიზიორმა **ფარშად კალეშკეს ალიზადეჰიმ** იჭიდავა, თუმცა წააგო, 84-ში კი მსოფლიოს პრიზიორი **ჰაბიბოლაჰ აკლაგი**, ეტყობა, მწვრთნელებმა სხვა ტურნირებისთვის შემოინახეს. აქამდე ულიცენზიო იაპონელებმა ერთბაშად ოთხი მოიპოვეს - 55, 60, 66 და 96-ში. 60-ში ეს მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა **რუიტარო მაცუმოტომ** გააკეთა, ვინაც შარშანდელ მსოფლიოზე **რევაზ ლაშხმა** დატოვა უსაგზუროდ.

„თავისუფალთაგან" განსხვავებით სუსტად გამოვიდნენ ოლიმპიურ ჩემპიონ **ალექსანდრე დოხტურიშვილის** დამოძღვრილი უზბეკი ბერძენ-რომაელები - მხოლოდ მძიმე წონაში **მუმინჯონ აბდულაევის** მიერ დაკავებულ მეორე ადგილს დასჯერდნენ. ლიცენზიებამდე ცოტა დააკლდა ამ ნაკრების წევრ ქართველ ბიძა-ძმისშვილს - **ბესიკ** და **დავით სალდაძეებს**, რომლებიც წლების წინ წავიდნენ ქუთაისიდან უკრაინაში, საბოლოო ნავსაყუდელი კი უზბეკეთში პოვეს. დავით სალდაძემ (96) სიდნეიში უკრაინას ოლიმპიური ოქრო მოუტანა, ახლა კი 34 წლის ასაკში ისევ ცდილობს ანალოგიურ თამაშებზე მოხვედრას. უკრაინას ორი ევროპული ოქრო და ორიც მსოფლიოს ბრინჯაო უსახსოვრა მისმა უფროსმა ძმამ, მძიმეწონოსანმა **გიორგი სალდაძემ**, რომლის გზასაც ახლა შვილი - ბესიკ სალდაძე (74) აგრძელებს, ოღონდ უზბეკეთის სახელით. ასტანაში ის მესამეზე გავიდა, ბიძა კი - მეხუთეზე. სალდაძეების გარდა დოხტურიშვილს ულიცენზიოდ დაურჩა 35 წლის მსოფლიოს პრიზიორი **დილშოდ არიფოვიც** (60). ერთი სიტყვით, ქართველ მწვრთნელს ბევრი სამუშაო აქვს. „დოხტორას" მსგავსად დიდად არც ინდოეთში მომუშავე **ემზარ მახარაძეს** ულხინს - საგზური ჯერ არც მას აქვს (თუმცა 55-ში ბრინჯაო კი მოიპოვეს). სამაგიეროდ, ინდოელ ქალთა ნაკრების მწვრთნელმა **როინ დობორჯგინიძემ** ირგუნა ერთი ლიცენზია.

სხვა ქვეყნების ბერძენ-რომაელთა ასტანური შედეგები ასეთია: 2-2 საგზურს დაეუფლნენ ყაზახეთი, ჩინეთი და სამხრეთ კორეა, ერთს - ყირგიზეთი. ყირგიზული ფედერაციისთვის ეს პირველი ლიცენზია, რომელიც მსოფლიოს მედალოსანმა **დანიარ კობონოვმა** (74) მოიპოვა, თუმცა ჯერჯერობით უსაგზუროდ რჩება მათი ოლიმპიური ვიცე-ჩემპიონი **კანატბეკ ბეგალიევი** (66). ჩინელებმა მონაგარი სამამდე გაზარდეს, თუმცა ნუ დაგვავიწყდება, რომ ასტანიდან მათ კიდევ ორი ბრინჯაო წაიღეს. ერთი სიტყვით, იქაურთა ნაკრები არც ისე ხელწამოსაკრავია და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ერთ-ერთი სალიცენზიო შეჯიბრება მათთან ტარდება, ჩვენებს იქ იოლი გასეირნება არ ელოდებათ. ასტანაში საგზურისთვის პეკინის ოლიმპიადის ფინალში **მანუჩარ კვირკველიას** (74) მიერ პირწმინდად დაჩაგრული **იოუნხიან ჩანიც** იბრძოდა, მაგრამ მეხუთეზე დარჩა. ყაზახებმა სამლიცენზიან მონაგარს ორიც დაუმატეს და ახლა უსაგზუროდ 55-სა და 96-ში რჩებიან. გასაკვირია, რომ მშობლიურ კედლებში არ უჭიდავია ოლიმპიურ პრიზიორ **ასეტ მამბეტოვს** (96). თუ ტრავმა არ აწუხებს და მწვრთნელებმა საგარეო შეჯიბრებებისთვის შემოინახეს, ცოტა უცნაური გადაწყვეტილებაა. იქაურები უსაგზუროდ სწორედ 96-ში და 55-ში რჩებიან.

ახლა, როცა აზიელ ოლიმპიელთა ვინაობა ნაწილობრივ მაინც გაირკვა, მთელი ჩვენი ყურადღება 20-22 აპრილს სოფიაში გასამართავი ევროპის საკვალიფიკაციო შეჯიბრებისკენაა მიმართული, სადაც ასევე 2-2 საგზური გაიცემა. წინამდებარე სამშეჯიბრებიან სალიცენზიო მარათონში ჩვენებურთაგან განსაკუთრებით დიდი ჯაფა ერთსაგზურიან ბერძენ-რომაელებს დაადგება, თორემ „თავისუფლებს" მხოლოდ სამი წონა დარჩათ გუნდის სრულად შევსებამდე.

**ირაკლი თავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგიონი. ძიუდო



# ძიუდო მთელ კახეთს გადასწვდა

ახმეტაში ზურაბ ზვიადაურის სახელობის ძიუდოს სასპორტო სკოლის დარბაზმა უმასპინძლა კახეთის რეგიონულ პირველობას 1999-2000 წლებში დაბადებულ ჭაბუკ ძიუდისტთა შორის 8 წონით კატეგორიაში. ამ ასაკის სპორტსმენებს ევროპის 2015 წლის ახალგაზრდულ ფესტივალში მოუწევთ ასპარეზობა. როგორც ცნობილია, ფესტივალი თბილისში გაიმართება, რაც დამატებითი მოტივაციაა ჩვენი ახალგაზრდა ათლეტებისა და მათი მწვრთნელებისთვის.

გამარჯვებულებისა და პრიზიორებისგან დაკომპლექტებულმა კახეთის ნაკრებმა თბილისში საქართველოს პირველობაზე იასპარეზა. ოქროს მედალი მოიპოვა **ბაჩანა სარქისაშვილმა** (30), ამავე წონაში ვერცხლის მედალი ხვდა წილად **დავით ნინიაშვილს, გიორგი სუხოშვილს** (46) და **ილია ბათურიშვილს** (50). მესამე პრიზიორები გახდნენ **გიორგი ახალაური** (38), **გიორგი ბათურიშვილი** (50) და **მიხეილ ხუცურაული** (50). ყველა მედალოსანი ახმეტიდანაა.

**კვარცხლბეკი**

**30 კგ.** 1. ოთარ ტალახაშვილი (თელავი), 2. დავით ნონიაშვილი, 3. მიშიკო შათირიშვილი ( ორივე - ახმეტა) და მიხეილ ბახუტაშვილი (თელავი).

**34 კგ.** 1. გიორგი თინაშვილი (დედოფლისწყარო), 2. ლევან ხაბარელი (საგარეჯო), 3. გიორგი ბალოშვილი (ყვარელი) და დავით კურდღელაშვილი (საგარეჯო).

**38 კგ.** 1. ამირან დარბაისელი, 2. გიორგი მღებრიშვილი (ორივე- საგარეჯო), 3. გიორგი ახალაური (ახმეტა) და ნიკა კობაიძე (დედოფლისწყარო).

**42 კგ.** 1. ლაშა ბექაური (დედოფლისწყარო), 2.ნიკა ბასილაშვილი (საგარეჯო), 3. რობი მღებრიშვილი (ახმეტა) და ვალერი ჯავახიშვილი (დედოფლისწყარო).

**46 კგ.** 1. მიხეილ ბახბახაშვილი (თელავი), 2. გიორგი სუხოშვილი (ახმეტა), 3. ნიკა ზვიადაური (დედოფლისწყარო) და დათო ყაველაშვილი (ლაგოდეხი).

**50 კგ.** 1. ბაჩანა სარქისაშვილი, 2. ილია ბათურიშვილი 3. გიორგი ბათურიშვილი, და მიხეილ ხუცურაული (ოთხივე - ახმეტა).

**55 კგ.** 1. ლაშა მათიაშვილი (საგარეჯო). 2. ელბრუსი თედეევი (ლაგოდეხი), 3. ალეკო ლორთლიშვილი (გურჯაანი) და კახა არჩემაშვილი (თელავი).

**+55 კგ.** 1.პაატა მარტაშვილი, 2. თორნიკე ფილაური, 3. ილია ელერდაშვილი (სამივე - საგარეჯო) და სოსო მარგალიტაშვილი (თელავი).

**ლელა ხეჩოშვილი**
გურჯაანიდან

ტანვარჯიშული სახეობები

# 12 მაისს 12 ქვეყანა გვესტუმრება

ამას წინათ კალათბურთის აკადემიის დარბაზში დამთავრდა მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა საქართველოს ჩემპიონატი. გამოვლინდნენ ახალგაზრდებს შორის მრავალჭიდში გამარჯვებული და პრიზიორები, ასევე, უფროსებში ცალკეული საგნების მიხედვით სამივე სინჯის მედლების მფლობელები.

ასპარეზობის შემდეგ შთაბეჭდილების გაზიარება ვთხოვეთ საქართველოს ტანვარჯიშულ სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტ **მერაბ ჩიქობავას.**

- საინტერესო შეჯიბრება იყო. ჩემპიონატს დაძაბულობა შემატა ნიჭიერი ტანმოვარჯიშის ელვირა ზუკაკიშვილის მონაწილეობამ. ეს გოგონა უწინ რუსეთის სახელით გამოდიოდა, მაგრამ ახლახან საქართველოს მოქალაქეობა მიიღო და ამიერიდან საერთაშორისო სარბიელზე ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას დაიცავს. გვქონდა ერთი სიახლეც - მეტი ობიექტური მსაჯობისთვის ლატვიიდან ცნობილი არბიტრი გალინა მარინა მოვიწვიეთ. ბალტიისპირელი სპეციალისტი, რომელიც წლეულს ლონდონის ოლიმპიადაზე იმსაჯებს, ჩვენი გოგონების ოსტატობით კმაყოფილი დარჩა. განსაკუთრებით ახალგაზრდებზე გაამახვილა ყურადღება. აქ მრავალჭიდში ჩემპიონობა, როგორც იცით, გაბრიელა ხვედელიძემ მოიპოვა. მეორე-მესამე ადგილებზე სოფიო ფარულავა და სალომე ფაჟავა გავიდნენ. სამივე სპორტსმენი წლეულს 1-3 ივნისს ნიჟნი ნოვგოროდში ევროპის ჩემპიონატზე გამოვა. ამათგან ხვედელიძე ორ საგანში, ფარულავა და ფაჟავა კი თითოში იბრძოლებენ მედლებისთვის. სამივეზე დიდ იმედებს ვამყარებთ როგორც ცალკეულ საგნებში, ისე გუნდურში. მართალია, ჩვენს გოგონებს მხატვრულ ტანვარჯიშში მდიდარი ტრადიციების ქვეყნების - რუსეთის, უკრაინის, ბულგარეთის, ბელარუსის წარმომადგენლებთან მოუწევთ პაექრობა, მაგრამ გვჯერა, რომ გვასახელებენ.

**- თბილისში 12-13 მაისს საერთაშორისო ტურნირის ჩატარება გადაგიწყვეტიათ...**

- ჯერ კიდევ ტანვარჯიშულ სახეობათა ფედერაციის ხელმძღვანელად არჩევამდე ვოცნებობდი მხატვრულ ტანვარჯიშში დიდი საერთაშორისო ტურნირის გამართვას. აი, ახლა ოდნავი საშუალება მოგვეცა და არ გვინდა, შანსი ხელიდან გავუშვათ. მოგეხსენებათ, წლეულს ოლიმპიური თამაშებია და იქ მონაწილე ქვეყნები საკუთარი პრობლემებით არიან დატვირთული, ამის მიუხედავად, 12-მა ფედერაციამ მაინც გამოგვიგზავნა თანხმობა. 80-მდე სპორტსმენი გვეწვევა. ტანვარჯიშულ სახეობათა საერთაშორისო ფედერაციას ვთხოვეთ, ამ შეჯიბრებაზე თავისი ექსპერტი გამოგვიგზავნოს. ძალიან გვინდა, რომ „თბილისის თასი" სამომავლოდ FIG-ის კალენდარში შევიდეს. ბელარუსი ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი მარინა ლობაჩი გვეწვევა. საქართველოს დედაქალაქში ჩამოსვლის დიდი სურვილი აქვს რუსეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელს, სახელოვანი ტანმოვარჯიშეების აღმზრდელ ირინა ვინერს, რაც მან პირად საუბარშიც დაგვიდასტურა. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რამდენად მოიცლის, რადგან ოლიმპიური თამაშები კარსაა მომდგარი. თბილისის თასზე გამარჯვებულები და პრიზიორები გამოვლინდება მრავალჭიდში, ცალკეულ საგნებსა და ჯგუფურ ვარჯიშში. ამ ტურნირის მაღალ დონეზე ჩატარება ჩვენში მხატვრული ტანვარჯიშის შემდგომ აღმავლობას შეუწყობს ხელს.

**- საქართველოს ბატუტზე მხტომელები ამჟამად დუშეთის ოლიმპიურ ბაზაზე ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადებიან. მათ შესახებ რას იტყვით?**


მერაბ ჩიქობავა

- ტრავმების შემდეგ ბატუტს დაუბრუნდნენ და სრული დატვირთვით ვარჯიშობენ ლონდონის ოლიმპიადის ლიცენზიატი ლუკა [illegible] თეიმურაზ კოშკაძე. ისინი საკმაოდ კარგ სპორტულ ფორმაში არიან და ევროპის ჩემპიონატზე, რომელსაც 10 აპრილიდან სანქტ-პეტერბურგი უმასპინძლებს, მათგან წარმატებებს ველით. ნევისპირა ქალაქში მოსინჯავენ ძალებს, ასევე, თამარ კაკაშვილი (უფროსებში), ანა ოდიშვილი, თეონა ჯანჯღავა, ნანა გოგაშვილი და ზურაბ ნოზაძე (ახალგაზრდებში). გულშემატკივრებს, ალბათ, ახსოვთ, რომ შარშან ბრიტანულ ბირმინგემში მსოფლიოს ჩემპიონატზე გოგაშვილმა და კაკაშვილმა სინქრონულ ხტომებში 18-წლამდელთა შორის ვერცხლის მედალი დაიმსახურეს, თეონა ჯანჯღავამ და ანა ოდიშვილმა მე-4 ადგილი დაიკავეს და ბრინჯაომდე მცირედი დააკლდათ. ინდივიდუალურ ხტომებში 12-წლიანთა შორის 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ოდიშვილი საკვალიფიკაციო ხტომების შემდეგ ბირმინგემშიც პირველი იყო, მაგრამ ფინალში დათმო პოზიციები და მე-4 ადგილს დასჯერდა. ნოზაძემ მე-6 ადგილი დაიკავა. ასე რომ, ჩვენს ბატუტზე მხტომელებს აქვთ საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლის პოტენციალი. თუმცა, საწყენად ნურავის დარჩება და ამჯერად განსაკუთრებით გოლოვინას შედეგები გვაინტერესებს - მან ხომ ლონდონის თამაშებზე ჩვენი ქვეყნის სპორტული ღირსება უნდა დაიცვას. ევროპის ჩემპიონატის შემდეგ იგი კოშკაძესთან ერთად პეკინში მსოფლიოს თასის ეტაპზე გამოვა. იქ ოლიმპიურ და მსოფლიოს ჩემპიონებთან, ანუ უშუალო კონკურენტებთან პაექრობაში გამოცდის ძალებს, საშეჯიბრო გამოცდილებას შეიძენს.

**- ერთიც მინდა გკითხოთ: ტანვარჯიშული სახეობებისთვის სპორტული დარბაზის მშენებლობის საკითხი თუ გადაწყდა?**

- ეს საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ არასდროს მდგარა. საერთაშორისო ფედერაციასთან შეთანხმებით წლეულს საპროექტო სამუშაოები დასრულდება. ახლაც სპეციალურ კომისიასთან ერთად ტრაბზონს მივემგზავრები, სადაც შარშან ევროპის ახალგაზრდების ოლიმპიური ფესტივალი გაიმართა. გავეცნობით იქაურ სპორტულ ინფრასტრუქტურას. მათი გათვალისწინებით 2015 წლის თბილისური ფესტივალისთვის ბაზების აშენების საბოლოო პროექტებს განსახილველად მაისის ბოლოსთვის წარვადგენთ. მშენებლობა კი გაისად დაიწყება.

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო




**FM 107,9**

ყოველ შაბათ-კვირას 15.00-22.00 რადიო „საქართველოს ხმის" (FM 107,9) პირდაპირ ეთერში - ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები, სტუმარი, ვიქტორინა და საინტერესო პრიზები გადაცემაში „სპორტ ონლაინ" დონ ედოსთან ერთად.

გადაცემის საინფორმაციო მხარდამჭერი - გაზეთი „ლელო".

ჩოგბურთი

# ქალები: აღზევების დროა! ვაჟები: რით გაგახაროთ?

**ქართულ ჩოგბურთში სანაკრებო სეზონი ახლოვდება, ჯერ ქალთა ნაკრები ჩაებმება „ფედერაციის თასის" გათამაშებაში, შემდეგ კი ესტაფეტას ვაჟთა გუნდი გადაიბარებს, რომელიც „დევისის თასზე" იასპარეზებს.**

დრონი იცვლებიან და ერთადერთი, რაც უცვლელია ეს ქალთა ნაკრების კაპიტანია - **ლალი ზერეკიძე**. რაც საქართველო დამოუკიდებლად ასპარეზობს „ფედერაციის თასზე" (1994 წლიდან) მას მხოლოდ ზერეკიძე კაპიტნობს. საქართველოს ნაკრები რეიტინგში 54-ე ადგილზეა და ის ევროპა-აფრიკის II ზონაში (უხეშად რომ ვთქვათ, მე-4 ლიგაში) ასპარეზობს.

ევროპა-აფრიკის II ზონის ტურნირი ქაიროში 18-21 აპრილს გაიმართება „გოლფ ელ სოლაიმანიას" კლუბში, სადაც თიხნარის კორტებია. 8 ნაკრები 2 ჯგუფად იასპარეზებს, რომელთა 2-2 გამარჯვებული ბოლოს I ზონის ორ საგზურს გაითამაშებს, ორი უარესი ნაკრები კი III ზონაში ვარდება. საქართველოს გარდა მონაწილეობენ: დანია, ფინეთი, ლატვია, ჩერნოგორია, ნორვეგია, სამხრეთი აფრიკა და თურქეთი. არ ვიცით ასე დარჩება თუ არა, მაგრამ საქართველოს ნაკრებს სამი ჩოგბურთელი ჰყავს განაცხადში (მაშინ, როცა სხვებს - 4-4): **ანა ტატიშვილი** (80), **სოფიო შაფათავა** (268) და **სოფიო ქვაცაბაია** (376). შემადგენლობაში არ არის ჩვენი მეორე ჩოგანი **მაკა ჩახნაშვილი** (186), რომელმაც სანაკრებო კარიერა დიდი ხანია დაასრულა.

მეტოქეებზე რა შეიძლება ითქვას? ერთი შეხედვით, შეიძლება იფიქროთ, რომ დანია ფავორიტია, მაგრამ არა - მსოფლიოს მე-6 ჩოგანი **კაროლინ ვოზნიაცკი** არ თამაშობს, მათი საუკეთესო ჩოგბურთელი **კარენ ბარბატი** კი კლასიფიკაციაში ოდენ 655-ეა. ლატვიელებს არ ეყოლებათ ლიდერი **ანასტასია სევასტოვა** (264). აფრიკის გუნდიც, წესით, ძლიერი უნდა იყოს, თუმცა ეგვიპტეში არ ჩადის მათი პირველი ჩოგანი **ჩენელ სხეეფერსი** (40) და არც მეორე - **ჩენელ სიმონდსი** (198). მართალია, თურქებს რეიტინგის მოწინავე 200-ეულის არავინ ჰყავთ, მაგრამ სხვებთან შედარებით მათი გუნდი დაბალანსებულია. ჩვენი დასკვნა ასეთია - საქართველომ, რომელსაც ერთადერთი წარმომადგენელი ჰყავს ასეულიდან, ევროპა-აფრიკის I ზონის საგზური უნდა მოიპოვოს, იმდენად ძლიერი შემადგენლობა ჰყავს მეტოქეებთან შედარებით.

ვაჟთა ნაკრები „დევისის თასის" ფსკერზეა - ევროპა-აფრიკის III ზონაში. იქიდან ალარავინ ვარდება. ტურნირი სოფიაში 2-5 მაისს გაიმართება. 13 ნაკრები 4 ჯგუფში გადანაწილდება. მონაწილეთა სია ასეთია: საქართველო, ალბანეთი, ანდორა, სომხეთი, ბულგარეთი, საბერძნეთი, ისლანდია, ლიტვა, მაკედონია, მალტა, ჩერნოგორია, ნორვეგია და სან მარინო.

**ვიქტორ ბაქშისაც** სამი ჩოგბურთელი ჰყავს გამოძახებული: **გიორგი ცივაძე, ალექსანდრე მეტრეველი** და **მიხეილ ხმიადაშვილი**. ლიტვის გარდა, ყველა ნაკრები ძალიან სუსტია, სამწუხაროდ, მათ შორის - ჩვენიც. ვაჟთა მსოფლიო რეიტინგის ათასეულის ერთი წარმომადგენელიც არა გვყავს. რას ვიზამთ, ასეთია რეალობა დღევანდელ ქართულ ვაჟთა ჩოგბურთში...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


მარცხნიდან: სოფიო შაფათავა და ანა ტატიშვილი

## სპარტაკ ასანიძის ხსოვნას



წელიწადი გავიდა, რაც ამ ქვეყნიდან წახვედი, ჩვენო სპარტაკ! დაგვიტოვე გაუნელებელი ტკივილი მეგობრებს, ოჯახს, ახლობლებს, კრივის სამყაროს, სადაც მრავალი წლის განმავლობაში წარმატებით იცავდი შენი სამშობლოს სპორტულ ღირსებას საკავშირო თუ საერთაშორისო რინგზე. წახვედი და თან გაიყოლე გეგმები და ოცნებები, შენ ხომ მხოლოდ 43 წლისა იყავი.

არასდროს დაგივიწყებთ, მუდამ გვემახსოვრები და მოგიგონებთ ისე სათუთად და სიყვარულით, როგორც შენს ნათელ ხსოვნას ეკადრება.

**საქართველოს კრივის ეროვნული ფედერაცია და მეგობრები**

**საქართველოს სპორტის წყალთა სახეობების ეროვნული ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 43 წლისა მოულოდნელად გარდაიცვალა ვეტერანი წყალბურთელი**

**ზვიად ნეფარიძე**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

**პანაშვიდი:** 06. 04; ნუცუბიძის, 65. **დაკრძალვა:** 07. 04, საბურთალოს სასაფლაოზე. გამოსვენება საბურთალოს პანთეონის ამაღლების ეკლესიიდან.

ადამიანი დროში

# დიდი სპორტსმენი დიდ მედიცინაში

## გზა, ჩემპიონობით დაწყებული

„დინამოელთა მიზანი იყო მეტად მაღალი ტანის კრუმინშის (221 სმ) იერიშების უვნებელყოფა და, უნდა ითქვას, რომ ეს ამოცანა ბრწყინვალედ შეასრულა გვანცელაძემ. მან აგრესიული თამაშით რიგელს 5 ჯარიმა მიაღებინა და თამაშიდან გამოთიშა", - წერდა 1955 წლის 2 თებერვალს გაზეთი „ლელო" საკალათბურთო მიმოხილვაში, რომელიც სტალინგრადში გამართულ საბჭოთა კავშირის XVI ზამთრის პირველობას ეხება. მაშინ თბილისის „დინამომ", რომლის რიგებში ოთარ ქორქია, ნოდარ ჯორჯიკია, ალექსანდრე კილაძე, ვაჟა ჟღენტი, გურამ მინაშვილი, ლევან ინწკირველი, გურამ აბაშიძე, ჯუმბერ ნიჟარაძე, ვაჟა გვანცელაძე, დავით გოძიაშვილი და მიხეილ ასიტაშვილი გამოდიოდნენ, რიგის ოფიცერთა სახლის გუნდს 54:44 სძლია. იმავე ტურნირზე ქართველმა კალათბურთელებმა უკრაინელებსაც მოუგეს 77:57. ამ მატჩში გვანცელაძემ საკუთარ გუნდს 22 ქულა შესძინა...

არადა, სპორტული კარიერის დასაწყისი კარგს არაფერს უქადდა: ჯერ ტანვარჯიშის მწვრთნელებმა დაიწუნეს, მერე მძლეოსნობაზე აუცრუეს გული, ფარიკაობაშიც მოეცარა ხელი. გამოცდილმა მწვრთნელმა ოთარ დიდებულიძემ ურჩია, შენი ადგილი კალათბურთშიაო. არც შემცდარა ალღოიანი პედაგოგი - ვაჟა გვანცელაძემ სწორედ ამ სახეობაში გაშალა ფრთები: 1948 წელს კარიერა ჩემპიონობით დაიწყო - საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ჭაბუკთა საკავშირო პირველობა მოიგო ოდესაში. მიხეილ კეკელიძის ხელმძღვანელობით მაშინ ოქროს მედლები დავით გოძიაშვილმა, ვაჟა გვანცელაძემ, ნოდარ გიორგობიანმა, გივი რუხაძემ, ვახტანგ ანანიაშვილმა, გეგა ზაქარიაძემ, თენგიზ მეძმარიაშვილმა და ომარ აფაქიძემ დაიმსახურეს.

- არასდროს დამავიწყდება 1950 წელი. - მითხრა ბატონმა ვაჟამ. - გიორგი ავალიშვილმა ყველასთვის საოცნებო თბილისის „დინამოში" მიმიწვია. ღვთისნიერი კაცი იყო, მზრუნველი, ენერგიული, ყველა სიკეთით შემკული. პიროვნება, რომელმაც ბევრ ახალგაზრდას გაუკაფა გზა დიდი სპორტისკენ. 40-50-იან წლებში ჩვენი გუნდის ხმაურიანი გამარჯვებები სწორედ მის სახელს უკავშირდება.

**- „დინამოს" მაისურა პირველად როდის ჩაიცვით?**

- 1951 წელს. მაშინ ევროპის ჩემპიონატისთვის თბილისში ემზადებოდა საბჭოთა კავშირის ნაკრები, მის შემადგენლობაში გამოდიოდნენ ოთარ ქორქია, კონევი, ბუტაუტასი, ალექსეევი, პეტკიავიჩუსი, რომლებსაც კიროვის ბაღში ამხანაგურ მატჩში შევხვდით. ავალიშვილმა ნოდარ ჯორჯიკიას, ვაჟა ჟღენტის, ალექსანდრე კილაძის და გიორგი ბახტურიძის გვერდით მეც მათამაშა. მართალია, ორთაბრძოლა წავაგეთ, მაგრამ ის პაექრობა იმით დამამახსოვრდა, რომ გასახდელში ჯორჯიკიამ და ცნობილმა მწვრთნელმა ბაბახანიდიმ შემაქეს - კარგად ითამაშეო.

იმავე წელიწადს, როგორც მომავალმა ექიმმა, მოსკოვში სამედიცინო ინსტიტუტების პირველ საკავშირო სპარტაკიადაზე ვიასპარეზე. ჩვენმა გუნდმა ყველას აჯობა. ამ ტურნირის შემდეგ „დინამოს" მთავარი მწვრთნელი ძირითად შემადგენლობაში უფრო ხშირად მანდობდა ადგილს. 1952 წელს ერევანში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი მოვიპოვეთ. ჩვენი გუნდი იმდენად ძლიერი იყო, რომ პირველი ადგილი უნდა დაგვეკავებინა, მაგრამ კაუნასის „ჟალგირისთან" ორი ქულით წაგება (49:51) არბიტრების სინდისზეა. მომდევნო წელს თბილისშიც დავამტკიცეთ, რომ „დინამოს" მაშინ ბადალი არ ჰყავდა - საკავშირო ჩემპიონატის ცამეტი მატჩი სოლიდური სხვაობით მოვიგეთ და ოქროს მედლები დავიმსახურეთ. ჩვენს გუნდში თამაშობდნენ ოთარ ქორქია, ნოდარ ჯორჯიკია, ვაჟა ჟღენტი, გურამ მინაშვილი, ალექსანდრე კილაძე, ლევან ინწკირველი, ჯუმბერ ნიჟარაძე, გივი აბაშიძე, გურამ აბაშიძე და მალხაზ ეგანოვი. „დინამომ" ჩემპიონობა მომდევნო წელს კიევში შეინარჩუნა.

**- ოღონდ, იმ წელიწადს თქვენ არ გითამაშიათ...**

- საბჭოთა კავშირის ჩემპიონატამდე ლვოვში სპორტსაზოგადოება „დინამოს" საკავშირო პირველობა გაიმართა. ბოლოსწინა მატჩში ხელი მოვიტეხე და უკრაინის დედაქალაქში გამართულ შეჯიბრებამდე იარა ვერ მოვიშუშე. ძალიან დამწყდა გული, რადგან კარგ ფორმაში ვიყავი. შემოდგომისთვის ისევ მწყობრში ჩავდექი და ეგვიტე-სირიაში გამართულ ტურნირში ვიასპარეზე. რვა შეხვედრა მოვიგეთ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ფარაონთა მემკვიდრეების პირველ ნაკრებთან 3 გამარჯვება. ეს გუნდი ხომ 1949 წლის ევროპის ჩემპიონი იყო და მის შემადგენლობაში ჯერ კიდევ გამოდიოდა სახელოვანი კალათბურთელი მონტასერი.

**- საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებშიც იყავით მიწვეული...**

- დიახ, 1954 წელს ტრავინმა მე და ვაჟა ჟღენტი ნაკრებში მიგვიწვია, ძირითად ხუთეულშიც ვიყავით სტონკუსთან, პეტკიავიჩუსთან და ბოჩკარიოვთან ერთად და სტუდენტთა მსოფლიო თამაშებისთვის ვემზადებოდით. სამწუხაროდ, სწორედ მაშინ ამტკივდა სახსრები და გუნდს ვერ გავყევი ბუდაპეშტში. უნგრეთის დედაქალაქიდან ვაჟა ჟღენტი ბრინჯაოს მედლით დაბრუნდა. ქალთა ნაკრებმა კი, რომლის შემადგენლობაში თბილისის „ბურევესტნიკის" წევრები - ალისა ასიტაშვილი, ვერა გნიოტოვა და ნელი ტოტიაშვილი გამოდიოდნენ, მეორე ადგილი დაიკავა.

**- დიდ კალათბურთს 1959 წელს დაანებეთ თავი. აქტიურ სპორტს ნაადრევად ხომ არ ჩამოშორდით?**

- ჩემპიონობით დავიწყე და ჩემპიონობით დავამთავრე - 1959 წელს საბჭოთა კავშირის ქალაქების ნაკრები გუნდების პირველობაზე გავიმარჯვეთ. ეს იყო ჩემს კარიერაში ბოლო ტურნირი. სამი წელიწადი წელის ტკივილით ვიყავი განამებული. ესეც რომ არ ყოფილიყო, გუნდში მოვიდნენ ნიჭიერი ახალგაზრდები - ვლადიმერ უგრეხელიძე, რეზო გოგელია, ვლადიმერ ალთაბაევი. არ მინდოდა, მათთვის ხელი შემეშალა. თანაც 1956 წელს სამედიცინო ინსტიტუტი დავამთავრე და პროფესიით მუშაობას ვაპირებდი. ამიტომაც გადავწყვიტე წასვლა...



**სოციალისტური ქვეყნების დინამიადის გამარჯვებულნი: დგანან მარცხნიდან - ვაჟა გვანცელაძე, ვაჟა ჟღენტი, რეზო გოგელია, ილო მირიანაშვილი, ქართლოს ჯაფარიძე, ოთარ ქორქია, ილარიონ ხაზარაძე, მიხეილ ასიტაშვილი, გურამ მინაშვილი, გურამ აბაშიძე. თასთან - ალექსანდრე კილაძე (მარცხნივ) და ლევან ინწკირველი.**

**სურათი გადაღებულია 1957 წელს ბუქარესტში.**

საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონსა და საკავშირო თასის ორგზის მფლობელ ვაჟა ჟღენტს აქვს ჩემთვის ნათქვამი, „ვარჯიშებს რომ მოვრჩებოდით, ბიჭები დროის გასატარებლად მივდიოდით, ვაჟა გვანცელაძე კი ოთახში ჩაიკეტებოდა და გვიანობამდე წიგნებს ჩაჰკირკიტებდა. თანაგუნდელები „პროფესორს" ვეძახდით და მართლაც გახდა პროფესორი. თანაც როგორი - ჩვენდა საამაყოდ, სახელოვანი: მას ხომ მედიცინაში თვალსაჩინო მიღწევები აქვს". მართლაც, ვაჟა გვანცელაძემ 1965 წელს საკანდიდატო, 1988 წელს კი სადოქტორო დისერტაციები დაიცვა. პირველმა გამოიკვლია ზვარეს მინერალური წყლის დადებითი სამკურნალო ეფექტი პანკრეასის გარესეკრეციულ ფუნქციაზე ქრონიკული ქოლეცისტიტითა და გასტრიტით დაავადებულ ავადმყოფებში. საქართველოს ჰუმანიტარული და სახელოვნებო აკადემიის აკადემიკოსი 72 სამეცნიერო ნაშრომის, 2 სასწავლო სახელმძღვანელოს და 1 მონოგრაფიის ავტორია. წლების განმავლობაში წარმატებით ართმევდა თავს სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობას. მისი ხელმძღვანელობით რამდენიმე სპეციალისტმა სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციები დაიცვა. ხანდაზმულობის მიუხედავად, დღესაც ადამიანთა ჯანმრთელობის სადარაჯოზე დგას. და მაინც, გული ჭაბუკობის დროინდელი გატაცებისკენ მიუწევს. თმადათოვლილ ბრგე მამაკაცს ხშირად ნახავთ სპორტის სასახლეში ეროვნული ჩემპიონატისა თუ საქართველოს ნაკრების საერთაშორისო მატჩებზე. ეს არ არის შემთხვევითი: შვილიშვილები - ნიკა მეტრეველი და ვაჟა ჯანაშია ბაბუის სასახელო სპორტულ კარიერას განაგრძობენ. ნიკა საქართველოს კალათბურთელ ვაჟთა ნაკრებისა და იტალიის A დივიზიონში მოასპარეზე სასალის „დინამოს" წევრია. ვაჟა კი სოხუმის გუნდში თამაშობს. ღირსების ორდენოსან ვეტერან სპორტსმენს არა მარტო შვილიშვილების, არამედ ქართული კალათბურთის დღევანდელი გამარჯვებები ახარებს. დარწმუნებულია, რომ მომავალი უფრო წარმატებული იქნება - ეროვნულ გუნდს შესანიშნავი ცვლა ეზრდებაო, ამბობს.

ღირსეულ პიროვნებას, სახელოვან კალათბურთელსა და დასტაქარს, მოსიყვარულე მეუღლეს, მამას და ბაბუას, ულალატო მეგობარს - ვაჟა გვანცელაძეს დღეს 80 წელი უსრულდება.

იუბილეს გილოცავთ, ბატონო ვაჟა!

ვაჟა დანელია

---

ქართველი NBA-ში

# ატლანტამ შარლოტი გახსნა, ფაჩულიამ 11 მოხსნა

„**ზაზა ფაჩულიამ** და **ჯოშ სმიტმა** „შარლოტის" მაღლებს, **ბაირონ მულენსსა** და **ბისმარკ ბიომბოს** ფარი არ დაანებეს. ქართველმა ცენტრმა ერთიორჯერ მეტოქის კალათს შუიდან ზუსტად შეუტია. როგორც ჩანს, მას ფარის გამოუყენებლადაც კარგად შეუძლია ჩაგდება," - ვკითხულობთ გაზეთ „ატლანტა კონსტიტუშენში". ზაზას საშუალო დისტანციიდანაც ეხერხება სროლა, მაგრამ ამას იშვიათად აკეთებს, რადგან „ატლანტაში" მას ძირითადად შავი სამუშაოს შესრულება ევალება. ჩაგდება კი **ჯო ჯონსონისა** და ჯოშ სმიტის საქმეა (ასე თვლის მწვრთნელი).

ეს კიდევ ერთხელ გამოჩნდა „შარლოტთან" შეხვედრაში: სმიტმა 17 ორქულიანი ისროლა და 24 ქულა მოაგროვა, ხოლო ჯონსონმა თამაშიდან 18-ჯერ სტყორცნა და 16 ქულას მოუყარა თავი. ფაჩულიამ მეტოქის კალათისთვის სულ ოთხი ორქულიანი გაიმეტა, საიდანაც 2 ჩააგდო. სამაგიეროდ, 28 წლის ქართველმა ფარქვეშ ბევრი იმუშავა და მატჩში ყველაზე მეტი მოხსნა მოაგროვა - 11.

სასტარტოებს სათადარიგოებიც სათანადოდ დაეხმარნენ და „ატლანტამ" „შარლოტი" 120:93 დაიბრიყვა.

## ჯო, ჯოში და ზაზა

„ატლანტას" ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნდა სტატია სახელწოდებით „მარტის მონაგარი". ძირითადად სამ კალათბურთელზეა ლაპარაკი, რომლებმაც მარტში „ჰოქსს" 11 მატჩი მოაგებინეს: ჯოშ სმიტზე, ჯო ჯონსონზე და ზაზა ფაჩულიაზე. აი, რა წერია „ატლანტას" 27-ე ნომერზე:

„ჩაიხედეთ ოქმებში და დარწმუნდებით, რომ ფაჩულია „ჰოქსის" „პაზლის" მნიშვნელოვანი ნაწილი იყო. მისი როლი მას შემდეგ წამოიწია, რაც **ელ ჰორფორდმა** მხრის ტრავმა მიიღო. ზაზას ნაყოფიერება საგრძნობლად გაიზარდა და ორმაგ დუბლს მიუახლოვდა.

მარტში იგი საშუალოდ 9.4 ქულას აგროვებდა, რაც საუკეთესო მაჩვენებელია 2007 წლის შემდეგ. რაც შეეხება მოხსნებს, ფაჩულია მარტში საშუალოდ 9.9-მდე ავიდა (სულ 179 მოხსნა, აქედან 62 მეტოქის ფარზე). ამაზე მეტი მხოლოდ 2005 წლის ნოემბერში ჰქონდა.

პლეი ოფამდე თვეზე ნაკლები დარჩა. გადამწყვეტ მატჩებში წარმატებისთვის ორი რამაა აუცილებელი: პირველი - ზემოთნახსენებმა ტრიომ ნაყოფიერება შეინარჩუნოს და მეორე - „ატლანტას" ტრავმირებულები დროულად დაუბრუნდნენ."

სხვათა შორის, გუშინ აპენდიციტის ოპერაციის შემდეგ პირველად ითამაშა **ჯანერო პარგომ** და 12 ქულაც მიითვალა.

| ატლანტა-შარლოტი | 120:93 |
|---|---|

**ზაზა ფაჩულია:** 24 წუთი, 6 ქულა (4/2 ორქულიანი, 2/2 საჯარიმო), 11 მოხსნა, 1 პასი, 2 ჩაჭრა, 2 შეცდომა, 4 ფოლი.

| I პერიოდი | | |
|---|---|---|
| 6:58 | 12-13 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 6:20 | 12-13 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 5:37 | 14-13 | მოხსნა: შეტ-1, დაც-1 |
| 4:03 | 16-19 | მოხსნა: შეტ-1, დაც-2 |
| 3:06 | 21-21 | ი. ჯონსონმა ზაზა შეცვალა |



ჯოშ სმიტი და ზაზა ფაჩულია შარლოტთან მატჩში ხალისიანად იყვნენ

| II პერიოდი | | |
|---|---|---|
| 7:09 | 31-39 | ზაზამ ი. ჯონსინი შეცვალა |
| 7:07 | 31-39 | მოხსნა: შეტ-1, დაც-3 |
| 6:54 | 31-39 | ფოლი: 1 |
| 6:54 | 31-39 | შეცდომა: 1 |
| 6:33 | 31-39 | ფოლი: 2 |
| 5:01 | 34-46 | მოხსნა: შეტ-1, დაც-4 |
| 4:09 | 37-50 | ორქულიანი: 2ძ |
| 3:11 | 39-53 | მოხსნა: შეტ-1, დაც-5 |
| 2:36 | 39-55 | ორქულიანი: 4ძ |
| 2:24 | 39-55 | ი. ჯონსონმა ზაზა შეცვალა |

| III პერიოდი | | |
|---|---|---|
| 9:37 | 49-68 | პასი: 1 (ჯონსონი 2ძ) |
| 9:18 | 49-68 | ჩაჭრა: 1 (მულენსს აართვა) |
| 7:54 | 53-73 | მოხსნა: შეტ-2, დაც-5 |
| 7:11 | 53-75 | მოხსნა: შეტ-2, დაც-6 |
| 6:50 | 53-75 | მოხსნა: შეტ-2, დაც-7 |
| 6:48 | 53-75 | შეცდომა: 2 |
| 6:28 | 55-75 | ფოლი: 3 |
| 5:58 | 56-77 | ჩაჭრა: 2 (ბიომოს აართვა) |
| 5:48 | 56-80 | ფოლი: 4 |
| 5:28 | 56-80 | მოხსნა: შეტ-2, დაც-8 |
| 5:01 | 59-80 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 5:01 | 59-80 | მოხსნა: შეტ-3, დაც-8 |
| 2:46 | 63-84 | საჯარიმოები: 2/2 (6ძ) |
| 1:39 | 68-86 | მაკგრეიდიმ ზაზა შეცვალა |

ვაჟა სიმონიშვილი

---

ტრავმა

# შერმადინი ერთი თვე იუქმებს

არასასიამოვნო ამბავი მივიღეთ იტალიიდან - **გიორგი შერმადინმა** ფეხი დაიზიანა, რის გამოც ერთი თვე დასვენება მოუწევს. 23 წლის, 216 სმ სიმაღლის ცენტრს ვარჯიშისას მარჯვენა ფეხის ნეკის ძვალი გაუტყდა.

გუშინ გიორგის ტერფი თაბაშირში ჩაუსვეს და კლუბის ექიმების ვარაუდით „კანტუს" პლეი ოფებამდე ვერ დაეხმარება. იტალიის ჩემპიონატის რეგულარული ეტაპი 6 მაისს დასრულდება, რის შემდეგაც შერმადინი გუნდთან ერთად მეოთხედფინალისთვის მზადებას შეუდგება.

ვაჟა სიმონიშვილი



| სუპერლიგა. XXI ტური | |
|---|---|
| 5 აპრილი. ბათუმი | |
| ბათუმი-რუსთავი | 73:82 |

**ბათუმი:** მაისურაძე (11ქ, 2დ, 5პ, 5მ), რამიშვილი (10ქ, 5პ, 5მ), მიქელაძე (12ქ, 5პ), ელიაშვილი (13ქ, 3დ, 15მ), კეშელავა (23ქ, 11მ, 4პ, 3დ), ნიჟუა, რევაზიშვილი (4ქ, 5მ).

**რუსთავი:** გ. არაბული, ბერუაშვილი, არწივიძე (8ქ, 3პ), ბააკაშვილი (23ქ), ჩაჩანიძე (21ქ, 7მ, 3პ), ხმელიძე (16ქ, 9მ, 10პ), გუგავა (4ქ), ტუჯანი (10ქ, 14მ).

**მსაჯები:** ზ. მაჩალაძე, გ. მიქელაძე, ს. საინერიძე.

---

სუპერლიგა. XX ტურის რჩეულნი



ჟულივეტ ტუჯანი და სოსო შერმადინი

*ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო*

# რუსთავის დაგვიანებული...

მეორე ტურია, სიმბოლურ ნაკრებში საუკეთესო მწვრთნელის ადგილს **მიხეილ ბერუაშვილი** (რუსთავი) იკავებს. მისმა გუნდმა ბოლო დროს თამაში საგრძნობლად გააუმჯობესა, მაგრამ ეს პლეი ოფში მოხვედრისთვის საკმარისი აღარ არის - უკვე გვიანია.

XX ტურის საუკეთესო კალათბურთელად ჟურნალისტებმა რუსთავის კამერუნელი მეფარე **ჟულივეტ ტუჯანი** დავასახელეთ, რომელმაც ეფექტური ორმაგი დუბლი შეარსულა - 19 ქულა, 16 მოხსნა, რასაც 6 პასი მიამატა.

ასევე ხაზგასასმელია ბათუმელი **ლაშა კეშელავას** ეფექტური გარჯა „არმიას" წინააღმდეგ. მან 9-დან 6 ორქულიანი, 5-დან 4 სამიანი და 9-დან 9 საჯარიმო გამოიყენა და 33 ქულას მოუყარა თავი.

ვაჟა სიმონიშვილი

ინტერვიუ ლევან მაისაშვილთან

# მეტოქეებს ბევრ სიურპრიზს შევთავაზებთ

გაზაფხულის ტურნირი, რომელიც საქართველოს ჩემპიონატის სისტემის ცვლილების გამო ტარდება, ერთი კვირის წინ დაიწყო. თუმცა პირველი ტურის მატჩებში მონაწილეობა არ მიუღია ბოლო წლებში ქართული საკლუბო რაგბის ერთ-ერთ ლიდერს, თბილისის „ლელოს". გუნდის მთავარი მწვრთნელი **ლევან მაისაშვილი** რამდენიმე ლელოელთან ერთად საქართველოს A ნაკრების ბრიტანულ ტურნეში იმყოფებოდა.

თბილისში დაბრუნების შემდეგ მაისაშვილს ვარკეთილში გუნდის ბაზაზე შევხვდით, სდაც გუნდში მიმდინარე პროცესებსა და სამომავლო გეგმებზე ვესაუბრეთ.

- სეზონისთვის მზადება ჩვეულებრივ რეჟიმში დავიწყეთ. როგორც ყოველთვის, თავიდანვე დიდი ყურადღება დავუთმეთ ფიზიკური კონდიციების დახვეწას. „ავჭალის სარაგბო" სტადიონზე ძალოსნობის დარბაზი დავიქირავეთ და იქვე ხელოვნურსაფარიან მოედანზე ვვარჯიშობდით.

**- საკონტროლო თამაშების გამართვა თუ მოახერხეთ?**

- უამინდობამ ძალიან შეგვიშალა ხელი. ამასთან ერთად, ასაკობრივ ნაკრებში „ლელოს" ხუთი მორაგბეა მივლინებული, ამდენივე მოთამაშე იმყოფებოდა საქართველოს A ნაკრების ტურნეში ბრიტანეთში. მხოლოდ გამგზავრების წინ მოვახერხეთ ერთი საწვრთნელი მატჩის გამართვა უმაღლესი ლიგის დებიუტანტ „ჯიქებთან".

**- სეზონებს შორის შესვენებაზე, ალბათ, გარკვეული ცვლილებები მოხდა გუნდის შემადგენლობაში...**

- გუნდი დატოვა მგეზავმა უჩა მჭედლიშვილმა, რომელიც „ბათუმი XV"-ში გადაბარგდა და ცხრა ნომერმა ჯიმი ლამბაშიძემ, ის თბილისის „აკადემიის" ღირსებას დაიცავს. ზაფხულში საფრანგეთის ელიტური, მეორე დივიზიონის „ალბიში" გადავა საქართველოს ნაკრების გარემარბი ალექსანდრე თოდუა. ეს გუნდი პირველ დივიზიონში გადასვლისთვის იბრძვის და გამორიცხული არ არის, თოდუა ელიტაში ვიხილოთ.

შევსება საკმაოდ სოლიდური გვაქვს, თბილისის „ყოჩებიდან" ჩვენთან გადმოვიდნენ გარემარბი ირაკლი გეგენავა, პირველხაზელი ბაჩანა გოგიშვილი და მეორეხაზელი ბექა ნიკოლეიშვილი. „თიბისი"-დან დავიმატეთ შერკინების კვაჭი დათო ხიდეშელი. „ლელოში" დაბრუნდა ასევე პირველხაზელი მიხეილ ორაგველიძე.

ამასთან ერთად, ზაფხულიდან საჩემპიონატოდ შემოგვიერთდებიან ტრავმირებული მოთამაშეები მგეზავი ლაშა ხმალაძე, მესამეხაზელი გიორგი ჭყოიძე და მეორეხაზელი ზურაბ ხორბალაძე.

**- როგორც ჩანს, წლეულს გუნდი საკმაოდ მოლონიერდა...**

- დიახ, შეიძლება ასეც ითქვას. მაგრამ არ მინდა წინასწარ პროგნოზი გავაკეთო. გაზაფხულის ტურნირს ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად გამოვიყენებთ. საკმაოდ ბევრ ექსპერიმენტს მივმართავთ. საამისოდ კი ეს შუალედური შეჯიბრება, როგორც იტყვიან, პირდაპირ მისწრებაა. სექტემბრისთვის, როცა ჩემპიონატი დაიწყება, ყველა კითხვაზე პასუხი უნდა მქონდეს.

**- თქვენ საქართველოს A ნაკრების მწვრთნელი ხართ, ეროვნული ნაკრების თითქმის ყველა ვარჯიშს ესწრებით, ხომ არ აპირებთ ჩვენი ნაკრების სათამაშო სტილი „ლელოშიც" დანერგოთ?**

- ღია, გაშლილი და სწრაფი თამაში ყოველთვის იყო „ლელოს" თამაშის სტილი. იქიდან გამომდინარე, როგორი შემადგენლობა გვყავდა, ასე ბურთაობა ხან გამოგვდიოდა, ხან არა. ცხადია, ტრადიციას არც ამჯერად ვულალატებთ. ვეცდებით ლამაზი რაგბი ვითამაშოთ და მეტოქეებს გარკვეულ სიურპრიზებსაც შევთავაზებთ.

**- კლუბი ყველა ასაკობრივი გუნდების შეჯიბრებაში მიიღებს მონაწილეობას?**

- დიახ, ჭაბუკთა B ლიგაში ორი გუნდი გვეყოლება, A ლიგაში კი ერთი, თუმცა მოთამაშეთა რაოდენობა ამ გუნდშიც საკმაოდ ბევრია. ვითამაშებთ საფესტივალო ასაკის ტურნირებშიც. საკმაოდ ბევრი ბავშვთა რაგბის კერა გავხსენით, რაც დროთა განმავლობაში, ვფიქრობთ, კარგ შედეგს მოგვიტანს.

გვყავს ასევე ესპუართა გუნდიც, რომელიც შესაბამის შეჯიბრებაში მიიღებს მონაწილეობას.

**- ასეთი რაოდენობის გუნდების შენახვა, ზოგადად კლუბის სრულფასოვანი ფუქციონირება, საკმაოდ სერიოზულ თანხებთანაა დაკავშირებული. როგორია „ლელოს" ფინანსური მდგომარეობა?**

- ფინანსებში სერიოზული პრობლემები გვაქვს. მართალია, კომპანია „კაპაროლი", როგორც შარშან, წლეულსაც გვეხმარება, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. რეალურად უფრო დიდი რაოდენობის ფული გვჭირდება. თავად განსაჯეთ, მარტო შარშან მორაგბეებს თერთმეტი ოპერაცია დასჭირდათ. ამას დაუმატეთ ასევე სხვა წვრილი თუ მსხვილი ხარჯები. ერთი სიტყვით, საკმაოდ სერიოზულ სამუშაოს ვატარებთ საიმისოდ, რომ სოლიდური სპონსორი მოვიძიოთ.

**- კლუბის ინფრასტრუქტურაზე რას იტყვით?**

- დიდ დიღომში საკმაოდ სრულყოფილი ბაზა შენდება. სტადიონის ტრიბუნების საბჯენი უკვე ამოყვანილია, როგორც კი ბეტონის სამუშაოები დასრულდება, მოედნის მოწყობა დაიწყება. მშენებლები გვპირდებიან, რომ ბაზას სექტემბერში ჩაგვაბარებენ.

ამჟამად „ვისოლისა" და „ავჭალის" სარაგბო სტადიონები გვაქვს არენდით აღებული და იქ ვვარჯიშობთ. ვარკეთილის ბაზის მოედანზე კი გვარჯილა შევიტანეთ და ჯერ იქ ვარჯიში არ შეიძლება. მას შემდეგ, რაც დიდი დიღმის ბაზა ექპლუატაციაში შევა, ეს პრობლემა საბოლოოდ გადაიჭრება.

### თბილისის ლელო

პირველი ხაზი: მიხეილ სუჯაშვილი, ბაჩანა გოგიშვილი, გიორგი სანიკიძე, მიხეილ ორაგველიძე, დავით ჯვარშეიშვილი, დავით ბარბაქაძე, ვასილ კვერნაძე, ნიკოლოზ პატარაია, დავით ხიდეშელი.

მეორე ხაზი: ლაშა აზალაძე, ზურაბ ხორბალაძე, ირაკლი დაუშვილი, ბექა ნიკოლეიშვილი, სანდრო ქოიავა, ნოდარ ჭეიშვილი.

მესამე ხაზი: ვახტანგ მძინარიშვილი, გიორგი ჭყოიძე, ბაჩო კოლელიშვილი, გუჯა სურგულაძე, გიორგი მორგოშია.

№9: გიორგი კაჭარავა, გიორგი ჭინჭარაული, ირაკლი ლოლუა.

№10: ლაშა ხმალაძე.

№12-13: ნონო ანდღულაძე, ალექსანდრე მანჯავიძე, ალექსანდრე ხეცოიძე, გიგა კორკელია.

№11-14: ზურაბ ზაალიშვილი, ლექსო გუგავა, ირაკლი გეგენავა, სანდრო თოდუა, რატი ხუციშვვილი, დაჩი კოპაძე.

№15: ირაკლი ყიასაშვილი.

### გაზაფხულის ტურნირი

**31 მარტი**

ლელო-აკადემია (გადაიდო), არმია-ბაგრატი 82:13, არმაზი-ბათუმი XV 20:18,

**7 აპრილი**

არმია-არმაზი, აკადემია-ბათუმი XV, ლელო-ბაგრატი

**21 აპრილი**

ბათუმი XV-ლელო, აკადემია-არმია, ბაგრატი-არმაზი

**28 აპრილი**

არმაზი-ლელო, ბათუმი XV-არმია, ბაგრატი-აკადემია

**5 მაისი**

არმია-ლელო, ბათუმი XV-ბაგრატი, არმაზი-აკადემია.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. არმია - 5 ქულა, 2. არმაზი - 4, 3. ბათუმი XV - 1, 4. ლელო - 0, აკადემია - 0, ბაგრატი - 0.


ლელო-არმაზი. 2011 წელი

ლეგიონერები


ეროვნული ბიბლიოთეკა
ბურთით ვიქტორ კოლელიშვილი

# უმცროსი ვულკანები პლეი ოფში არიან

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ესპუართა ლიგაში რეგულარული გათამაშების დასრულებამდე სამი ტურიღა დარჩა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ პლეი ოფში თამაშის უფლება უკვე გაინაღდა A ჯგუფში მოასპარეზე **ვიქტორ კოლელიშვილისა** და **გიორგი ჯაშიტაშვილის** „კლერმონმა", რომელიც ამ ლიგის მოქმედი ჩემპიონია.

„უმცროსმა ვულკანებმა" მე-15 ტურში შინ დაამარცხეს **დავით ლოსაბერიძის** „პო" 36:9 და 62 ქულა დაუგროვდათ. მას 12 ქულით ჩამორჩება „პერპინიანი", რომელმაც აქამდე მუდმივად მეორე ადგილზე მყოფ **კონსტანტინე მიქაუტაძისა** და **ლევან ჩილაჩავას** „ტულონს" სამი ქულით გაუსწრო. ტულონელებმა მე-15 ტურში შინ დაამარცხეს უახლოესი მდევარი „აჟენი" - 23:8.

### A ჯგუფი

კლერმონი-პო 36:9, პერპინიანი-ტულუზი 44:5, მონპელიე-ლიონი 50:13, ტულონი-აჟენი 23:8, ბურგუენი-ბაიონი 28:23.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. კლერმონი - 62 ქულა, 2. პერპინიანი - 50, 3. ტულონი - 47, 4. აჟენი - 42, 5. მონპელიე - 36, 6. ბაიონი - 35, 7. პო - 29, 8.ტულუზი - 25, 9. ბურგუენი - 16, 10. ლიონი - 15.

B ჯგუფში მოასპარეზე ქართველ მორაგბეთა გუნდების მდგომარეობა ბევრად უარესია. **გიორგი მენაბდიშვილის** „გრენობლი", რომელიც 32 ქულით მე-5 ადგილზეა, სტუმრად დამარცხდა „ბორდოსთან" - 15:22. **ირაკლი მირცხულავას** „ტარბმა" კი შინ მოუგო „ნარბონს" - 26:13. ტარბელები ახლა 27 ქულით მე-8 ადგილზე არიან. მენაბდიშვილმა და მირცხულავამ საქართველოს A ნაკრებში ითამაშეს.

### B ჯგუფი

სტად ფრანსე-კასტრი 26:9, ბორდო-გრენობლი 22:15, ბრივი-ბიარიცი 33:19, ლა როშელი-მეტრო რასინგი 26:17, ტარბი-ნარბონი 26:13.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. სტად ფრანსე - 63, 2. ლა როშელი - 57, 3. ბიარიცი - 47, 4. ნარბონი - 39, 5. გრენობლი - 32, 6. ბრივი - 28, 7. კასტრი - 27, 8. ტარბი - 27, 9. ბორდო - 21, 10. მეტრო რასინგი - 13.

ჭაბუკთა B ლიგა

# აღმოსავლეთში თბილისი, დასავლეთში ქუთაისი

საქართველოს ჩემპიონატის ჭაბუკთა B ლიგის აღმოსავლეთ ზონაში მეორე ტურის მატჩები გაიმართა. A ჯგუფში ლიდერებმა „ყოჩებმა" და „ჯიქებმა" მორიგი გამარჯვებები მიითვალეს. „ყოჩებმა", რომელიც 10 ქულით სათავეში ჩაუდგა სატურნირო ცხრილს, სტუმრად დაამარცხა პატარძეულის „ვეფხვები" - 0:39. „ჯიქებმა" კი წლეულს საგრძნობლად მოძლიერებულ „ტორნადოს" სძლია - 19:7.

### აღმოსავლეთი A

არმია-ივერია 77:0, ჯვაროსნები-ლელო 2 22:0, ვეფხვები-ყოჩები 0:39, ტორნადო-ჯიქები 7:19, მუტრუკი-ხარები 0:120.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ყოჩები - 10 ქულა, 2. ტორნადო - 10, 3. ჯიქები - 9, 4. ხარები - 7, 5. არმია - 7, 6. ივერია - 7, 7. ჯვაროსნები - 5, 8. ლელო 1 - 4, 9. ვეფხვები - 0, 10. ლელო 2 - 0, 11. მუტრუკები - 0

B ჯგუფში დამარცხებული ჯერჯერობით თბილისის „არმაზი" და „აკადემიაა", თუმცა ამ უკანასკნელმა მხოლოდ ერთი მატჩი ითამაშა, რადგან პირველ ტურში ისვენებდა. არმაზელებმა დიდი ანგარიშით დაამარცხეს ჩოხოსნები 110:0, აკადემიელებმა კი, კიდევ უფრო დიდი სხვაობით სძლიეს „მიმინოს" - 123:0. პირველი გამარჯვება მოიპოვა გურჯაანის „კახებმა", რომელმაც შინ მოუგო თბილისის „თიბისი"-ს - 34:3.

### აღმოსავლეთი B

აკადემია-მიმინო 123:0, კახები-თიბისი 34:3, ჩოხოსნები-არმაზი 0:110, ლოკომოტივი 2-ლოკომოტივი 1 0:114, ნიქარა-თსუ ლომები 10:24.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. არმაზი - 10 ქულა, 2. ლოკომოტივი 1 - 7, 3. აკადემია - 5, 4. კახები - 5, 5. მიმინო - 5, 6. თსუ ლომები - 5, 7. თიბისი - 4, 8. ჩოხოსნები - 4, 9. ხულიგანა - 2, 10. ლოკომოტივი 2 - 1, 11. ნიქარა - 0.

დასავლეთ ზონაში პირველი ტურის შეხვედრები გაიმართა. აქ მოასპარეზე 14 გუნდიდან ექვსი ქუთაისიდანაა. გასაკვირი არ არის, რომ ამ ზონის ორივე A და B ჯგუფებში სწორედ ქუთათურები ლიდერობენ. პირველობისთვის ბრძოლაში მათ კონკურენცია, შესაძლოა, მხოლოდ ფოთის „რაინდებმა" გაუწიონ, რომელმაც შინ „ადიგენი" დაამარცხა - 34:0.

### დასავლეთი A

რაინდები-ადიგენი 34:0, ქუთაისი 5-ლომები 39:3, ქუთაისი 4-ბორჯომი 22:8.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ქუთაისი 4 - 10 ქულა, 2. ქუთაისი 5 - 5, 3. რაინდები - 5, 4. ქუთაისი 1 - 0, 5. ბორჯომი - 0, 6. ადიგენი - 0, 7. ლომები - 0.

### დასავლეთი B

არწივები-ჯრუჭი 15:15, ქუთაისი 3-ქობულეთი 36:0, ქუთაისი 2-ქუათიასი 6 46:7.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ქუთაისი 2 - 5 ქულა, 2. ქუთაისი 3 - 5, 3. არწივები - 2, 4. ჯრუჭი - 2, 5. იმერეთი - 0, 6. ქობულეთი - 0, 7. ქუთაისი 6 - 0

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

# უცხოური სპორტი

კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი




ბოსტონი-სან ანტონიო

## სპურსის ზედიზედ მეცხრე

12 მატჩი გაიმართა გუშინ ეროვნულ საკალათბურთო ასოციააციაში და ერთ-ერთი გამორჩეული შეხვედრა სან-ანტონიოში ჩატარდა -ადგილობრივი "სპურსი" "ბოსტონ სელტიქსს" მასპინძლობდა.

ორივე გუნდი კარგ ფორმაში შეხვდა ამ შეხვედრას. "სპურსს" ზედიზედ რვა მატჩი ჰქონდა მოგებული, "ბოსტონს" – ხუთი. ამჯერად, "სელტიქსის" გამარჯვებათა სერია შეწყდა.

ბოსტონელებს ამ მატჩისთვის დაუბრუნდა **რეი ალენი**, მაგრამ სნაიპერმა ჩააგდო შეხვედრა – 34 წუთის განმავლობაში მხოლოდ ხუთი ქულა მიითვალა.

"სან ანტონიოს" მშვიდად მიჰყავდა მატჩი გამარჯვებამდე. მასპინძლები პირველ ტაიმში დიდ უპირატესობას ფლობდნენ და და დიდი შესვენებისთვის 11-ქულიან უპირატესობას მიაღწიეს. ერთი პირობა, პირველ ნახევარში "სან ანტონიოს" უპირატესობა 17 ქულას აღწევდა.

მაგრამ მესამე მეოთხედში "სპურსის" მოთამაშეების მიზანი აერიათ. მასპინძლებმა 12 წუთის განმავლობაში მხოლოდ 9 ქულა ჩააგდეს და "ბოსტონს" ანგარიშის შემცირების საშუალება მისცეს. ბოლო მეოთხედის წინ მასპინძლების უპირატესობა 4 ქულამდე დავიდა.

"სპურსმა" საბოლოოდ, ტყორცნების მხოლოდ 41 პროცენტი გამოიყენა და მეორე ტაიმში 28 ქულა დააგროვა. **დანკანმა** 12-დან 4 ბურთი ჩააგდო, **პარკერმა** - 14-დან 5.

"სან ანტონიოს" მისმა რეზერვისტებმა უშველეს. **ნილმა** 13 ქულა დააგროვა, **ბონერმა** კი 10 ქულითა და ამდენივე მოხსნით ორმაგი დუბლი შეასრულა.

ამასობაში, "ბოსტონმა" შეძლო მეოთხე მეოთხედში სათამაშო უპირატესობის შენარჩუნება. 70:77-დან სტუმრებმა 13:4 სპურტი განახორციელეს და წინ გავიდნენ – 83:81.

მოედანზე ნერვების თამაში დაიწყო, რომელშიც უფრო წარმატებული "სპურსი" გამოდგა. თუმცა "ბოსტონს" ჰქონდა მოგების შანსი. ბოლო შეტევისთვის სტუმრებს თითქმის რვა წამი რჩებოდათ. ბოლო წამზე ტყორცნა **პოლ პირსს** მიანდვეს, მაგრამ "ბოსტონის" ლიდერს ტიმ დანკანმა შეუშალა ხელი და თავის გუნდს გამარჯვება შეუნარჩუნა – 87:86.

"სპურსმა" ზედიზედ მეცხრე მატჩი მოიგო, დანკანი კი 10 ქულითა და 16 მოხსნით მატჩის საუკეთესო კალათბურთელი გახდა. "ბოსტონის" რიგებში ყველაზე შედეგიანი იყო რეზერვისტი **ბრედლი**, რომლის ანგარიშზე 19 ქულაა. **რაჟონ რონდოს** ორმაგი დუბლი ჰქონდა – 17 ქულა და 11 პასი.

დასაავლეთში "სან ანტონიოს" მეორე ადგილს არაფერი ემუქრება, უფრო მეტიც, "სპურსს" კონფერენციაში პირველობის კარგი შანსი აქვს – ლიდერ ოკლაჰომას მხოლოდ ორი მოგებით ჩამორჩება.

რაც შეეხება "ბოსტონს", ის თავისი დივიზიონის ლიდერია და კონფერენციაში მეოთხე ადგილზე იმყოფება.

**ბოსტონი-სან ანტონიო 86:87**

**20:27, 28:32, 16:9, 22:19**

ბ: ბრედლი (19), რონდო (17+11 პასი+4 ჩაჭრა), გარნეტი (16+7 მოხსნა+5 პასი), პირსი (15+10 მოხსნა).

ს-ა: გრინი (14), ნოა (13), დანკანი (10+16 მოხსნა+3 დაფარება), პარკერი (10), ბონერი (10+10 მოხსნა).

## მარტი პირსის და დურანტისაა

"ბოსტონისა" და "ოკლაჰომას" ლიდერები – პოლ პირსი და კევინ დურანტი მარტში NBA-ის საუკეთესო კალათბურთელებად დასახელდნენ.

წინა თვეში პირსმა "სელტიქსის" რიგებში 17 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 22.3 ქულა, 5.6 მოხსნა და 3.6 შედეგიანი გადაცემა დააგროვა. ექვს მატჩში პოლის მონაგარი მინიმუმ 25 ქულა იყო, "26 მარტს "შარლოტთან" მატჩში კი მან 36 ქულა მიითვალა. 9 მარტს პირსმა კარიერაში მე-1000 მატჩი ჩაატარა NBA-ში.

მარტში დურანტმა 16 მატჩის ჩატარება მოასწრო. მის ანგარიშზეა საშუალო 27.6 ქულა, 8.7 მოხსნა და 3.9 შედეგიანი პასი. კევინმა განსაკუთრებით გამოიჩინა თავი 23 მარტს "მინესოტას" წინააღმდეგ, როცა 40 ქულა და 17 მოხსნა დააგროვა.




პირსი და დურანტი

კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

## მაიამის რევანში

"ოკლაჰომამ" ვერ შეძლო ფლორიდიდან მოგების წამოღება, თუმცა დიდი ხანი ტოლსწორად ებრძოდა "მაიამის" და ახლოსაც იყო ბოლო 11 დღის განმავლობაში "ჰიტის" მეორედ დამარცხებასთან. მაგრამ მას შემდეგ, რაც საფინალო სირენამდე 4.24 წუთით ადრე **დურანტმა** მინიმუმამდე შეამცირა სხვაობა. სტუმრების თამაში საბოლოოდ მოიშალა და მათ დარჩენილ დროში ექვსი ტყორცნიდან მხოლოდ ერთი ჩააგდეს.

სირენამდე 46 წამით ადრე "მაიამი" სამ ქულას იგებდა, როცა **პერკინსმა** ორი საჯარიმო ააცილა, თუმცა მასზე აუგის სათქმელად ენა არავის მოუბრუნდება, რადგან "თანდერის" ცენტრი ერთ-ერთი საუკეთესო იყო "ოკლაჰომას" რიგებში. კრიტიკას გუნდის ლიდერები – **უესტბრუკი** და დურანტი იმსახურებენ. პირველს თამაშიდან 17 აცილებული ტყორცნა ჰქონდა, მეორემ კი ცხრა შეცდომა დაუშვა.

რაც შეეხება "მაიამის", ბოლოსკენ ეს გუნდიც საკმაოდ არადამაჯერებლად გამოიყურებოდა, მაგრამ ესეც საკმარისი იყო შინ ზედიზედ მე-17 გამარჯვებისთვის. ბოლო მომენტში გადაწყდა, რომ მატჩში მონაწილეობას მიიღებდა **უეიდი** და ესეც დაეხმარა "ჰიტს". განსაკუთრებით კარგად ამან **ლებრონ ჯეიმსზე** იმოქმედა, რომელმაც 34 ქულა (თამაშიდან – 10/20, საჯარიმოები - 11/13), 10 მოხსნა, 7 პასი, 4 ჩაჭრა და ერთი დაფარება შეაგროვა. ასეთი კოლექცია ბოლო 25 წლის განმავლობაში **მაიკლ ჯორდანს**, **მეჯიქ ჯონსონს** და იმავე უეიდს ჰქონდათ. ლებრონის გარდა, ქებას იმსახურებენ **ბატიე** და **ჩელმერსი**, რომლებმაც ერთად 6 სამქულიანი ჩააგდეს.

■ ■ ■

თანაბარი გამოვიდა ლოს-ანჯელესური დერბი. "კლიპერსმა" საკმაოდ ეფექტურად ითამაშა "ლეიკერსის" წინააღმდეგ, მოიგო ფარი (46:44), მაგრამ საბოლოოდ, მაინც დამარცხებულმა დატოვა მოედანი. დროულად დაუბრუნდა სტუმრებს ძირითადი ცენტრი **ენდრიუ ბინუმი**, რომელმაც 36 ქულით, 8 მოხსნითა და 4 დაფარებით დაასრულა შეხვედრა.

მთავარი როლი კი, რა თქმა უნდა, **კობი ბრაიანტმა** შეასრულა. 31 ქულა (თამაშიდან – 13/19), 6 შედეგიანი პასი და 5 მოხსნა – ბრწყინვალე სტატისტიკაა, მაგრამ საქმე მხოლოდ ეს არ არის. "შავი მამბა" განსაკუთრებით სასარგებლო მაშინ იყო, როცა ეს მის გუნდს ძალიან სჭირდებოდა. საფინალო სირენამდე 3.30 წუთით ადრე "კლიპერსი" პირველად გავიდა წინ – 104:103. ბრაიანტმა მაშინვე უპასუხა ორქულიანით. შემდეგ იყო ბინუმის ორიდან ერთი საჯარიმო და **სეშენსის** შედეგიანი შესვლა, რამაც "ლეიკერსს" დამაჯერებლობა დაუბრუნა, თუმცა **კრის პოლმა** შეძლო და შეხვედრას ინტრიგა დაუბრუნა, როცა საფინალო სირენამდე 42 წამით ადრე ლამაზი ბურთი ჩააგდო – 106:108. საპასუხო შეტევაში **მაიკ ბრაუნის** გუნდს აუცილებლად სჭირდებოდა ზუსტი ტყორცნა და სცენაზე ისევ ბრაიანტი გავიდა. მისი ტყორცნა საკმაოდ რთული ისო, მაგრამ კობიმ ისევ ზუსტად ისროლა - "პლუს 4" საფინალო სირენამდე 24 წამით ადრე. პოლის შორეულმა ტყორცნამ მიზანს არ მიაღწია და "ლეიკერსმა" ზედიზედ მეორედ მოიგო ლოს-ანჯელესური დერბი.

■ ■ ■

საინტერესო იყო პლეი ოფში უკეთესი განთესვისთვის მებრძოლი გუნდების – "მემფისისა" და "დალასის" შეხვედრა. "გრიზლისი" ჩემპიონის არენაზე საკმაოდ კარგად გამოიყურებოდა და სამი მეოთხედი ინარჩუნებდა გამარჯვების შანსს, მაგრამ "დალასის" სასარგებლოდ იმოქმედა ერთმა ფაქტორმა – სტუმრების დაღლილობამ. "მემფისი" ბოლო სამი დღის განმავლობაში მესამე მატჩს თამაშობდა და უბრალოდ გამოიფიტა.

ჯერ კიდევ მატჩის დასრულებამდე 10 წუთით ადრე **ჰოლინზის** შეგირდები წინ იყვნენ – 73:68. მაგრამ შემდეგ დაიწყო კოშმარული მონაკვეთი – 4:21, რომელმაც სტუმრებს ყველანაირი შანსი მოუსპო. ამ გაქცევის დროს "მემფისმა" 12-დან ერთი ბურთი ჩააგდო. ბოლოსკენ "დალასის" რიგებში ვეტერანები – **შონ მერიონი** და **ჯეისონ ტერი** გამოირჩეოდნენ. შონმა თავისი 16 ქულიდან 10 მეოთხე მეოთხედში ჩააგდო, ტერის კი კარიერაში 1760 სამქულიანი დაუგროვდა. ამით მან თავის ყოფილ თანაგუნდელს **პრედრაგ სტოიაკოვიჩს** გაუსწრო და NBA-ის ყველა დროის სიაში ამ მაჩვენებლით მეხუთე ადგილზე გადაინაცვლა.

**ვაშინგტონი-ინდიანა 96:109**

**28:37, 23:15, 23:34, 22:23**

ვ: კროუფორდი (28), სერაფინი (19+10 მოხსნა), უოლი (13), კუკი (10+9 მოხსნა).

ი: გრეინჯერი (20+5 მოხსნა), კოლისონი (17+11 პასი), ჰენსბრო (14), ბარბოზა (14), ჰიბერტი (13+4 დაფარება).

**ატლანტა-შარლოტი 120:93**

**27:25, 34:19, 28:26, 31:23**

ა: სმიტი (24+9 მოხსნა), ტიგი (17+6 პასი), გრინი (17), ჯონსონი (16+5 პასი), უილიამსი (14), პარგო (12+6 პასი), ფაჩულია (6+11 მოხსნა).

შ: უოკერი (21+5 პასი), ჰენდერსონი (15+7 მოხსნა), კეროლი (12), ბრაუნი (11), უილიამსი (10).

**მაიამი-ოკლაჰომა 98:93**

**21:23, 29:26, 30:24, 18:20**

მ: ჯეიმსი (34+10 პასი+7 მოხსნა+4 ჩაჭრა), უეიდი (19+3 ჩაჭრა), ჩელმერსი (13+3 ჩაჭრა), ბოში (12+6 მოხსნა).

ო: დურანტი (30), უესტბრუკი (28+3 ჩაჭრა), ჰარდენი (12+5 მოხსნა+5 პასი).

**მინესოტა-გ. სტეიტი 94:97**

**26:21, 25:18, 20:38, 23:20**

მ: ლავი (29+12 მოხსნა+5 პასი), ელინგტონი (17+7 მოხსნა), ბარეა (15+8 პასი+6 მოხსნა), ჯონსონი (12+3 დაფარება), პეკოვიჩი (10).

გ-ს: ლი (31+8 მოხსნა), ჯენკინსი (19+7 პასი), ტომპსონი (13), ჯეფერსონი (13), რაიტი (11+6 მოხსნა+3 ჩაჭრა).

**დალასი-მემფისი 95:85**

**20:23, 27:28, 19:17, 29:17**

დ: ნოვიცკი (23+10 მოხსნა), მერიონი (16+7 მოხსნა+3 დაფარება), ტერი (15), უესტი (14), მაინმი (4+10 მოხსნა).

მ: მაიო (17), კონლი (11+5 პასი), მ. გასოლი (10+10 მოხსნა+7 პასი+4 დაფარება).

**პორტლენდი-ნიუ ჯერსი 101:88**

**21:17, 25:27, 30:20, 25:24**

პ: ოლდრიჯი (24+9 მოხსნა), ბატუმი (20+10 მოხსნა), ჰიქსონი (18+8 მოხსნა), ფელტონი (14+9 პასი+8 მოხსნა).

ნ-ჯ: ჰემფრიზი (21+11 მოხსნა), მოროუ (20), გრინი (20+7 მოხსნა).

**ფილადელფია-ტორონტო 78:99**

**31:29, 25:26, 15:24, 7:20**

ფ: ბრენდი (20+4 დაფარება), ჰოლიდეი (20+5 პასი+3 ჩაჭრა), ჰაუსი (10+9 მოხსნა).

ტ: ბარნიანი (24+5 მოხსნა), დეროზანი (18+5 პასი), ანდერსონი (13), კალდერონი (12+13 პასი), კლეიზა (10+7 მოხსნა), დევისი (4+14 მოხსნა).

**ნიუ ორლეანი-დენვერი 94:92**

**20:18, 25:28, 30:21, 19:25**

ნ-ო: არიზა (15+6 მოხსნა), გორდონი (15), კამანი (14+10 მოხსნა+5 დაფარება), ლენდრი (12+5 მოხსნა), ვასკესი (11+10 პასი+5 მოხსნა), სმიტი (10).

დ: ლოუსონი (22+6 პასი), აფლალო (15+7 პასი), ჰარინგტონი (14), ფარიდი (13+8 მოხსნა).

**მილუოკი-კლივლენდი 107:98**

**29:14, 24:25, 26:29, 28:30**

მ: ელისი (30+8 პასი+5 მოხსნა), ჯენინგსი (19+4 ჩაჭრა), ილიასოვა (18+6 მოხსნა), უდო (11+8 მოხსნა), უდრიხი (11).

კ: პაკერი (27+7 მოხსნა+3 ჩაჭრა), ჯეიმისონი (17+7 მოხსნა), გი (12+8 მოხსნა), ტომპსონი (12+9 მოხსნა), სლოუნი (12+8 პასი).

**იუტა-ფინიქსი 105:107**

**31:31, 25:27, 24:25, 25:24**

ი: მილსეპი (25+8 მოხსნა+6 პასი+3 ჩაჭრა), მაილზი (22+5 მოხსნა), ჰეივორდი (20+10 მოხსნა), ჯეფერსონი (16+7 მოხსნა).

ფ: რედი (19), გორტატი (14+8 მოხსნა), ფრაი (13), ნეში (13+9 პასი), ბრაუნი (11), მორისი (11), დადლი (10+7 მოხსნა+3 ჩაჭრა).

**კლიპერსი-ლეიკერსი 108:113**

**29:34, 26:29, 26:29, 27:21**

კ: ბატლერი (28), პოლი (22+16 პასი), გრიფინი (15+14 მოხსნა), იანგი (13), ჯორდანი (11+13 მოხსნა+4 დაფარება), ფოიე (11+5 მოხსნა).

ლ: ბინუმი (36+8 მოხსნა+4 დაფარება), ბრაიანტი (31+6 პასი+5 მოხსნა), სეშენსი (16+8 პასი+6 მოხსნა), პ. გასოლი (12+7 მოხსნა).




ლებრონმა დურანტს აჯობა

### ამბები

## ლინი პლეი ოფს უმიზნებს

"ნიუ იორკ ნიქსის" მცველი **ჯერემი ლინი** ჟურნალისტებს მოუყვა საკუთარი მდგომარეობის შესახებ, მუხლზე გადატანილი ოპერაციის შემდეგ.

*"იმედი მაქვს, შევძლებ პლეი ოფის მატჩებისთვის სრულად გამოჯანმრთელებას. უბრალოდ არ შემიძლია ჩემი გუნდის თამაშის ტელევიზორით ყურება და ძალიან მინდა თანაგუნდელებს დავეხმარო. მაგრამ, მანამდე ასი პროცენტით უნდა ვიყო მზად"*, - ამბობს ჯერემი ლინი.

ამ სეზონის მთავარმა სენსაციამ რეგულარულ ჩემპიონატში 35 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 14.6 ქულა, 6.1 შედეგიანი პასი და 3.1 მოხსნა დააგროვა. ამ მომენტისთვის "ნიუ იორკი" მერვე ადგილზეა აღმოსავლეთ კონფერენციაში.

## ჰორნეტსი ნიუ-ორლეანში დარჩება

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კომისარმა **დევიდ სტერნმა** განაცხადა, რომ ლიგა ახლოა ხელშეკრულების გაფორმებასთან, რომლის მიხედვითაც კლუბი "ჰორნეტსი" დიდი ხნით დარჩება ქალაქ ნიუ-ორლეანში. გარდა ამისა, სტერნმა იმედი გამოთქვა, რომ ქალაქ საკრამენტოში ახალ არენასთან დაკავშირებით შექმნილი კონფლიქტური სიტუაცია მალე დადებითად გადაწყდება.

*"იმედი მაქვს, რომ მალე საკრამენტოს მთავრობა და "კინგ ზის" მფლობელები მოაგვარებენ კონფლიქტს და ახალი სპორტული კომპლექსის მშენებლობა დადგენილ ვადებში დაიწყება. ძალიან გვინდა, რომ "კინგ ზი" საკრამენტოში დარჩეს. ეს არის ჩვენი პრიორიტეტი"*, - ამბობს სტერნი სააგენტო AP-სთან კომენტარში.

## ირვინგი 10 დღეს დაისვენებს

"კლივლენდ კავალიერზის" მცველი **კაირი ირვინგი** 7-10 დღეს გამოტოვებს მხრის ტრავმის გამო, რომელიც მან 3 აპრილს "სან ანტონიოსთან" მატჩში მიიღო. იმ შეხვედრაში 2011 წლის დრაფტის პირველმა ნომერმა 13 ქულა დააგროვა.

მიმდინარე სეზონში კაირიმ 46 მატჩი ჩაატარა. მისი საშუალო სტატისტიკა 18.8 ქულას, 5.7 შედეგიან გადაცემასა და 3.9 მოხსნას უდრის.

ამჟამად "კლივლენდი" მე-13 ადგილზეა აღმოსავლეთ კონფერენციაში.

## ვარეჟაოს შემდეგ კვირას ვნახავთ

"კლივლენდ კავალიერზის" ცენტრი **ანდერსონ ვარეჟაო**, შესაძლოა, მომავალ კვირას დაუბრუნდეს რეგულარულ ჩემპიონატს, - წერს ამერიკული პრესა.

"კავალერების" მთავარი მწვრთნელის **ბაირონ სკოტის** თქმით, ბრაზილიელი კალათბურთელი თითქმის სრულად გამოჯანმრთელდა ტრავმისგან, რომელიც მან თებერვლის დასაწყისში მიიღო, კერძოდ, ერთ-ერთი მატჩის დროს მაჯამ მოიტეხა.

დაშავებამდე ვარეჟაომ რეგულარულში 25 მატჩის ჩატარება მოასწრო და საშუალოდ 10.8 ქულა და 11.5 მოხსნა შეაგროვა.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

● ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# ბლუზმენებმა წაიფორხილეს



იოჰან ფრანცენი

მხოლოდ ორი მატჩი გაიმართა გუშინ ჰოკეის ეროვნულ ლიგაში და ერთ-ერთი დიდ ინტერესს იწვევდა. ერთმანეთს ხვდებოდნენ დასავლეთის ლიდერები – "სენტ ლუისი" და "დეტროიტი".

"სენტ ლუისი" კვლავაც კონფერენციაში და მთლიანად რეგულარულში ჩემპიონობისთვის იბრძვის. მაგრამ გუშინ, "ბლუზმენებმა" ამ ბრძოლაში წაიფორხილეს, როცა თითქმის მოგებული მატჩი დათმეს შინ "რედ უინგზთან". სირენამდე რვა წუთით ადრე "სენტ ლუისი" 2:0-ს იგებდა და ვერ შეინარჩუნა ეს უპირატესობა – "რედ უინგზმა" ორი ერთნაირი კომბინაცია გაითამაშა: **ბერტუცისა** და **დაციუკის** დაწყებულ საქმეს **ფრანცენი** ასრულებდა.

ოვერტაიმმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა, ბულიტების სერიაში კი ერთადერთი გოლი გავიდა, რომელიც ბერტუცის ანგარიშზეა.

"სენტ ლუისი" ორი ქულით ჩამორჩება დასავლეთისა და აღმოსავლეთის ლიდერებს – "ვანკუვერსა" და "რეინჯერსს". რეგულარულის დამთავრებამდე ამ გუნდებს ორ-ორი მატჩი აქვთ ჩასატარებელი.

■ ■ ■

უმოტივაციო გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს მონრეალში – ადგილობრივი "კანადიენსი" და "ტამპა ბეი" გამოემშვიდობნენ პლეი ოფში გასვლის შანსებს და უბრალოდ ცდილობენ მაჟორულ ნოტაზე დაასრულონ რეგულარული.

ამ მატჩის ერთ-ერთი ინტრიგა იყო "ტამპას" ფორვარდი **სტივენ სტემკოსი**, რომელსაც ორ შაიბა აკლია 60 გოლამდე. მაგრამ ამ დღეს სტემკოსი და მთლიანად "ტამპა" პასიური იყო – გუნდმა მხოლოდ 16 ზუსტი დარტყმა შეასრულა და აქედან ოთხი სტემკოის ანგარიშზე იყო, რომელმაც, საბოლოოდ უგოლოდ დატოვა მოედანი.

მოგების მიუხედავად, "მონრეალი" მაინც აღმოსავლეთის ბოლო გუნდია, "ტამპა" კი მე-11 ადგილზე იმყოფება.

**მონრეალი–ტამპა ბეი 5:2**

**1:1, 2:0, 2:1**

**გოლები:** 1:0 ემელინი-3 (დეშარნე-43, ბუდაი-3), 1:1 ლეკავალიე-22, 2:1 ე. კოული-33 (დეშარნე-44, პასიორეტი-31), 3:1 ე. კოული-34 (პლეკანეცი-35, მარკოვი-3), 3:2 ჟერვე-6 (უოლესი-6, ჰედმანი-17), 4:2 პასიორეტი-31 (გორჯესი-12, პლეკანეცი-36), 5:2 პასიორეტი-32 (სუბანი-29).

**სტ. ლუისი–დეტროიტი 2:3 (ბ)**

**0:0, 0:0, 2:2, 0:0**

**გოლები:** 1:0 პერონი-20, 2:0 ენდი მაკდონალდი-10, 2:1 ფრანცენი-27 (დაციუკი-47, ბერტუცი-23), 2:2 ფრანცენი-28 (დაციუკი-48, ბერტუცი-24).

**ბულიტები გაიტანეს:** ბერტუცი (დეტროიტი).

# კანადას მხოლოდ ოქრო უნდა


სტივენ სტემკოსი

მსოფლიოს ჩემპიონატის მოახლოებასთან ერთად, იკვეთება ტურნირში მონაწილე ფავორიტი გუნდების შემადგენლობების კონტურები. გუშინ, ამასთან დაკავშირებით მოკლედ გესაუბრეთ და გაგაცანით NHL-ში მოთამაშე ის ჰოკეისტები, რომლებიც პლანეტის პირველობაზე აპირებენ გამოსვლას. დღეს უფრო ვრცლად გაგაცნობით ერთ-ერთი მთავარი ფავორიტის – კანადის ნაკრების გეგმებს.

კანადელებმა უკვე დაიწყეს მზადება მსოფლიოს ჩემპიონატისთვის, რომელიც შვედეთსა და ფინეთში გაიმართება. გუნდის გენერალური მენეჯერის **კევინ ლოუს** თქმით, კანადა მხოლოდ ოქროს მედლებს უმიზნებს და თან გონებაში აქვს სოჭის 2014 წლის ოლიმპიადა.

"ვეცდებით, რაც შეიძლება ძლიერი შემადგენლობა ჩავიყვანოთ ჩემპიონატზე. საქმე მხოლოდ სოჭის ოლიმპიადისთვის მზადებაში არ არის – რაც შეიძლება მაღალი ადგილი უნდა დავიკავოთ მსოფლიოს რეიტინგში ზაფხულის თამაშების წინ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ეს რეიტინგი ოლიმპიადის დროს ყველგან იქნება გამოყენებული: ჯგუფების შემადგენლობების დადგენიდან დაწყებული, ვარჯიშების დროის განსაზღვრით დამთავრებული. ჯერჯერობით მეოთხე ადგილზე ვართ და ყველა მოთამაშეს, ვისაც გუნდში ვიწვევთ, ვაცნობთ ამ ინფორმაციას. ეს ყოველ ჰოკეისტს აძლევს საშუალებას, კარგად დაფიქრდეს გადაწყვეტილების მიღებამდე. მესმის, რომ NHL-ში სტენლის თასის მიღმა დარჩენა ან პირველი რაუნდიდან გავარდნა – დიდი დარტყმაა მოთამაშის ამბიციებზე, მაგრამ, საერთოდ მიღებულია, რომ ჰოკეისტებს, თუ ისინი ტრავმირებულები არ არიან, თამაშის სურვილი უნდა ჰქონდეთ", - განაცხადა ლოუმ.

შარშან, კანადის ნაკრები მეოთხედფინალიდან გამოეთიშა ტურნირს და მაშინ გაისმა კრიტიკა იმ ჰოკეისტების მისამართით, რომლებმაც უარი თქვეს შეთავაზებაზე. ამჯერად, უკვე გამოთქვეს მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის სურვილი **კორი პერიმ** და **რაიან გეტცლაფმა** (ორივე - „ანაჰაიმი"). სკანდინავიაში ელიან რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერს **სტივენ სტემკოსს** ("ტამპა ბეი"), **ერიკ სტაალს**, **ჯეფ სკინერს** ("კაროლინა"), **ჯონ ტავარესს** ("აილენდერსი"), **რიკ ნეშსა** ("კოლამბუსი") და **დიონ ფანოფს** ("ტორონტო").

● კრივი

# წელს საუკუნის ბრძოლა გამორიცხულია



მენი პაკიაო

ცნობილი ამერიკელი პრომოუტერი **ბობ არუმი** ვარაუდობს, რომ წონის გაუთვალისწინებლად მსოფლიოს ორი უძლიერესი მოკრივის – **მენი პაკიაოსა** და **ფლოიდ მეივეზერის** ბრძოლა, სავარაუდოდ, 2012 წელს არ გაიმართება. ის, ვინც მოუთმენლად ელის "საუკუნის ბრძოლად" შერაცხილ დაპირისპირებას, საკუთარი იმედები მომავალი წლისთვის უნდა გადადოს. "რეალურად უნდა შევხედოთ შექმნილ სიტუაციას, - ამბობს არუმი BoxingScene.com-თან კომენტარში. – არ მგონია, რომ მეივეზერმა მოისურვოს შემოდგომაზე პაკიაოსთან შეხვედრა. დღეს ის ამის შესახებ არაფერს ლაპარაკობს. ვფიქრობ, ბრძოლის მომავალ წელს ჩატარების იმედი უნდა გვქონდეს".

ხუთ მაისს მეივეზერი შეხვდება პირველ საშუალო წონაში WBA-ის ჩემპიონს **მიგელ კოტოს**, პაკიაოს კი 9 ივნისს ელის შეხვედრა იმავე პირველ საშუალო წონაში ერთ-ერთ უძლიერეს წარმომადგენელთან **ტიმოტი ბრედლისთან**.

ამჟამად, არუმი **ხუან მანუელ მარკესსა** და **ბრენდონ რიოსს** შორის ბრძოლის ორგანიზებით არის დაკავებული და ამ შეხვედრაში გამარჯვებული ნოემბერში პაკიაოს დაუპირისპირდება. "ჯერ ერთი, მენის რთული ბრძოლა ელის ბრედლისთან, - აცხადებს პრომოუტერი. – გარდა ამისა, ყველა დამეთანხმება, რომ ხუან მანუელ მარკესი იმსახურებს კიდევ ერთ ბრძოლას პაკიაოსთან. ამიტომაც, სწორედ ეს არის ის ვარიანტი, რომელზეც კონცენტრაციას მოვახდენთ".

● ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ევროპის ლიგა** | |
| **1/4 ფინალი. II მატჩები** | |
| ბილბაო-შალკე | 2:2 (4:2) |
| ჰანოვერი-ატლეტიკო | 1:2 (1:2) |
| მეტალისტი-სპორტინგი | 1:1 (1:2) |
| ვალენსია-ალკმაარი | 4:0 (1:2) |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| ვარეზე-პესკარა | 2:1 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| ფიურტი-კოტბუსი | 3:0 |
| ჰანზა-ფორტუნა | 2:1 |
| უნიონი-აუე | 1:0 |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| ლიუბეკი-ჰალეშერი | 0:1 |
| პლაუენი-ბერლინერი | 0:1 |
| მაგდებურგი-ვოლფსბურგი A | 0:1 |
| **რეგიონალლიგა (სამ)** | |
| ბაიერნი A-ფიურტი A | 2:3 |
| მანჰაიმი-ფრანქფურტი A | 0:1 |
| ზონენჰოფი-ბაიერნი (ა) | 4:2 |
| პფიულენდორფი-კასელი | 1:0 |
| შტ. კიკერსი-ჰოფენჰაიმი A | 2:2 |
| **რეგიონალლიგა (დას)** | |
| ფორტუნა A-მაინცი A | 1:2 |
| **დანია** | |
| სონდერიისკი-ნორდსილანდი | 1:0 |
| კიოგე-ლუნგბიუ | 1:4 |
| სილკებორგი-აგფ ორჰუსი | 2:1 |
| კოპენჰაგენი-ბრონდბიუ | 3:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ბრონსჰოი-ვეილე | 2:1 |
| ბლოხუსი-როსკილდე | 1:2 |
| ფრედერისია-ჰიორინგი | 0:0 |
| ჰობრო-სკივე | 2:0 |
| ვიბორგი-აკადემისკი | 2:2 |
| **შვეიცარია** | |
| **ჩელენჯლიგა** | |
| ჩიასო-ვინტერტური | 1:2 |
| დელემონი-კრიენსი | 1:1 |
| ლოკარნო-ვოლენი | 2:0 |
| სტ. გალენი-ეტ. კარუჟი | 2:1 |
| ვადუცი-ლუგანო | 1:1 |
| **რუსეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ურალ-ნ. ნოვგოროდი | 0:2 |
| **პოლონეთი** | |
| გურნიკი-პოლონია (ვ) | 1:0 |
| **კალათბურთი** | |
| **ევროლიგა** | |
| **1/4 ფინალი. V მატჩი** | |
| პანათინაიკოსი-მაკაბი | 86:85 |
| **საბერძნეთი** | |
| ოლიმპიაკოსი-კავალა | 85:60 |
| **ჰოკეი** | |
| **გერმანია** | |
| აისბარენი-შტრაუბინგი | 4:1 |
| ინგოლშტადტი-მანჰაიმი | 1:4 |
| **ფინეთი** | |
| ბლუზი-პელიკანსი | 1:3 |
| იოკერიტი-იუვიასკიულა | 2:3 |
| **შვეიცარია** | |
| ციურიხი-ბერნი | 2:1 |
| **შვედეთი** | |
| აიკ-შელეფტეო | 2:1 |
| **ჩოგბურთი** | |
| **WTA. ჩარლსტონი** | |
| ბარტოლი-ჰერცოგი | 4:6, 6:1, 4:6 |
| ვოზნიაკი-საფაროვა | 2:6, 7:6, 1:6 |
| ს. უილიამსი-ერაკოვიჩი | 6:2, 6:2 |
| პეტროვა-პავლიუჩენკოვა | 6:1, 6:4 |
| ვ. უილიამსი-როდიონოვა | 7:5, 6:2 |

● TV პროგრამა

**6 აპრილი. პარასკევი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXXI ტურის მიმოხილვა.
11:00 არგენტინის ჩემპიონატი. VIII ტურის მიმოხილვა.
12:00 ევროპის ლიგა. 1/4 ფინალი. ვალენსია-ალკმაარი. საპასუხო მატჩი.
14:00 ევროპის ლიგა. 1/4 ფინალი. ჰანოვერი-ატლეტიკო. საპასუხო მატჩი.
16:00 ევროპის ლიგა. 1/4 ფინალი. მეტალისტი-სპორტინგი. საპასუხო მატჩი.
18:00 ესპანეთის ჩემპიონატი. XXX ტურის მიმოხილვა.
19:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
19:30 ინგლისის ჩემპიონატი. XXXI ტური. სუონსი-ნიუკასლი (LIVE).
21:30 საფეხბურთო პროგრამა – გოლი.
23:00 პროგრამა - საფეხბურთო ღამე.
00:30 იტალიის ჩემპიონატი. XXXI ტურის წინ.
01:00 ესპანეთის ჩემპიონატი. XXXI ტურის წინ.
01:30 საფრანგეთის ჩემპიონატი. XXXI ტურის წინ.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ოსასუნა-რეალი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-ბოსტონი.
14:30 სუპერკოლაჟი.
15:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. კატანია-მილანი.
17:00 რაგბი. ექვსი ერის თასი. უელსი-იტალია.
19:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
19:30 სპორტ-NEWS.
19:55 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/4 ფინალი. მაიამი. აშშ.
22:00 NBA Action.
22:30 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-ბოსტონი.
00:45 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/8 ფინალი. მაიამი. აშშ.
12:50 სპორტ-NEWS.
13:15 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/8 ფინალი. მაიამი. აშშ.
17:00 სპორტ-NEWS.
17:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-შტუტგარტი.
19:30 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მილუოკი-ბოსტონი.
21:30 NBA Action.
22:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/8 ფინალი. მაიამი. აშშ.

## ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 8 | 24 | (მზე) |
| ქუთაისი | 14 | 27 | (მზე) |
| ბათუმი | 11 | 24 | (მზე) |
| ფოთი | 13 | 26 | (მზე) |
| ზუგდიდი | 10 | 27 | (მზე) |
| გორი | 5 | 25 | (მზე) |
| თელავი | 7 | 24 | (მზე) |
| ბაკურიანი | 0 | 14 | (მზე) |
| გუდაური | -3 | 11 | (მზე) |
| მესტია | -2 | 19 | (მზე) |

## ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1654 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6446 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6105 |
| 100 რუსული რუბლი | 5.5885 |

● ავტოსპორტი

# ლეგენდა ლეგენდარულ რბოლაში

ფორმულა 1-ის ყოფილი პილოტი, ცნობილი ფრანგი **ჟან ალეზი** ადასტურებს ლეგენდარულ რბოლაში – "ინდიანაპოლისის 500 მილში" მონაწილეობას. ალეზი ლეგენდარული გუნდის - Newman/Haas-ის შემადგენლობაში იქნება და "ლოტუსის" ძრავათი აღჭურვილი Dallara DW12-ის მანქანით იასპარეზებს.

"მე წარმოვადგენ Newman/Haas-ის საჯინიბოს – გუშინ შესაბამისი კონტრაქტი გავაფორმე. ბევრი წვრილმანი დეტალია განსახილველი, კერძოდ, პირველად როდის მივუჯდები საჭეს. კარგი იქნება, თუ გუნდის შესახებ მაქსიმალურ ინფორმაციას შევაგროვებ. ძალიან აღელვებული ვარ. არაფერზე ვნერვიულობ, მაგრამ უდიდეს პრესინგს ვგრძნობ. შევეცდები, რაც შეიძლება უკეთ მოვემზადო, რათა ფორმის პიკზე ვიყო და კარგად შევასრულო ჩემი სამუშაო.

საქმე ისაა, რომ ამ რბოლაში "ლოტუსის" ბრენდის ელჩის სტატუსით გამოვდივარ და ამ საქმეს სერიოზულად ვეკიდები. მართალია, ავტოსპორტში უდიდესი გამოცდილება აქვს, მაგრამ ამ რბოლაში პირველად გამოვალ, ამიტომაც მაქსიმალურად ფრთხილად უნდა ვიმოქმედო და გუნდის იმედები გავამართლო. დარწმუნებული ვარ, წარმატებას მივაღწევ. ინდიანაპოლისში რბოლა – ყველას ოცნებაა", - განაცხადა ალეზიმ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. დევისის თასი. 1/4 ფინალი



ოპტიმალური არგენტინა: დელ პოტრო, მონაკო და ნალბანდიანი

# გუშინ წილისყრა იყო

ამ კვირას ATP-ის ტურში პაუზაა, რადგან დევისის თასზე დღეს მეოთხედფინალური ეტაპი იწყება.

ტრადიციულად, ხუთშაბათს გაიმართა წილისყრა და დადგინდა მოთამაშეების კორტზე გასვლის თანმიმდევრობა. როგორც ყოველთვის, პარასკევსა და კვირას ორ-ორი ერთეულთა მატჩი გაიმართება, შაბათს კი წყვილები შეხვდებიან ერთმანეთს.

საინტერესოა, რომ ოთხივე მეოთხედფინალში მასპინძლებმა გრუნტისსაფრიანი კორტი აირჩიეს.

**ესპანეთი–ავსტრია**

ნიკოლას ალმაგრო (12)-იურგენ მელცერი (21)
დავიდ ფერერი (5)-ანდრეას ჰაიდერ-მაურერი (139)
გრანოლერსი/მ. ლოპესი-მარახი/პეია
დავიდ ფერერი-იურგენ მელცერი
ნიკოლას ალმაგრო-ანდრეას ჰაიდერ-მაურერი

**საფრანგეთი–აშშ**

ჟო-ვილფრიდ ცონგა (6)-რაიან ჰარისონი (66)
ჟილ სიმონი (13)-ჯონ ისნერი (11)
ბენეტო/ლოდრა-ბ. ბრაიანი/მ. ბრაიანი
ჟო-ვილფრიდ ცონგა-ჯონ ისნერი
ჟილ სიმონი-რაიან ჰარისონი

**ჩეხეთი–სერბეთი**

ტომაშ ბერდიხი (7)-ვიქტორ ტროიცკი (27)
რადეკ შტეპანეკი (24)-იანკო ტიპსარევიჩი (8)
ჩერმაკი/როსოლი-ბოჟოლიაკი/ზიმონჟიჩი
ტომაშ ბერდიხი-იანკო ტიპსარევიჩი
რადეკ შტეპანეკი-ვიქტორ ტროიცკი

**არგენტინა–ხორვატია**

დავიდ ნალბანდიანი (50)-მარინ ჩილიჩი (23)
ხუან მარტინ დელ პოტრო (10)-ივო კარლოვიჩი (52)
ნალბანდიანი/შვანკი-ჩილიჩი/ჟოვკო
ხუან მარტინ დელ პოტრო-მარინ ჩილიჩი
დავიდ ნალბანდიანი-ივო კარლოვიჩი

# კარო რორის ასისტენტი



რორი და მისი ასისტენტი

მსოფლიოს მეექვსე ჩოგანს, დანიელ **კაროლინ ვოზნიაცკის** ახალი როლი აქვს. ის ამჟამად ამერიკის ქალაქ ოგასტაში იმყოფება, სადაც პროფესიული გოლფის ერთ-ერთი უმთავრესი ტურნირი – "მასტერსი" დაიწყო. იქ დანიელი ჩოგბურთელი არა მარტო გაამხნევებს თავის ბოიფრენდს, ჩრდილოირლანდიელ გოლფისტს **რორი მაკილროის**, არამედ მისი ასისტენტიც (კედი) იქნება.

შეგახსენებთ, რომ ადრე ვოზნიაცკიმ უარი თქვა ჩარლსტონში მიმდინარე ტურნირში გამოსვლაზე, სადაც მას შარშანდელი ტიტული უნდა დაეცვა. კაროლინმა ამერიკის ტურნირს მშობლიურ კოპენჰაგენში გამოსვლა არჩია.

ვოზნიაცკი ოგასტაში პოლონეთიდან გაფრინდა, სალაც მონაწილეობდა თავისი სინგლის – Oxygen-ის ჩაწერაში.

ოლიმპიზმი

# ხან საჭე, ხან იარაღი

ცნობილი კატარელი ავტომრბოლი, რალის მსოფლიოს ჩემპიონატში "სიტროენის" წევრი **ნასერ ალ-ატიია** აცხადებს, რომ მისი გამოსვლა ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე ხელს არ შეუშლის რალიში სარბოლო პროგრამას.

დაკარის რალი-რეიდის ყოფილი ჩემპიონი მეხუთედ გამოვა ზაფხულის თამაშებზე. ის კატარის ოლიმპიური ნაკრების წევრია ტყვიის სროლაში.

*"ოლიმპიადის განრიგი ისე არის შედგენილი, რომ რალის ჩემპიონატში ეტაპის გამოტოვება არ მომიწევს. ჩემთვის ორ ფრონტზე ბრძოლა რთული არ იქნება. შეჩვეული ვარ ერთდროულად რბოლებსა და ტყვიის სროლის ტურნირებში მონაწილეობას. ვფიქრობ, ერთი მეორეს ხელს არ უშლის, პრიქით, ეხმარება კიდეც"*, - ამბობს ალ-ატიია რალის მსოფლიოს ჩემპიონატის ოფიციალურ ვებგვერდზე.

გოლფი

# სექსიზმი გოლფში

ჯორჯიას შტატის ქალაქ ოგასტაში სტარტი აიღო პროფესიული გოლფის ერთ-ერთმა მთავარმა ტურნირმა - "მასტერსმა". სექსუალური სკანდალების გმირი **ტაიგერ ვუდსი** ტურნირში ჩაება, თუმცა, ამჯერად, სკანდალი მის გამო არ აგორებულა.

საქმე შემდეგში მდგომარეობს: "მასტერსის" ორგანიზატორ გოლფ-კლუბში მდიდარი, მაგრამ, ამასთან, კონსერვატული პიროვნებები შედიან. და გარკვეული წესები აქ მრავალია წელია მოქმედებს.

ერთ-ერთი წესი ასეთია - კლუბის წევრი არ შეიძლება ქალი იყოს.

სულ ცოტა ხნის წინ, ამ საზოგადოებაში ქალების გარდა, არც შავკანიანების ყოფნა იყო ნებადართული. პირველი შავკანიანი იქ მხოლოდ 90-იანი წლების დასაწყისში გამოჩნდა, ისიც საზოგადოების ზეწოლის წყალობით, რომელიც კლუბს რასიზმში ადანაშაულებდა.

ახლა, საზოგადოება გოლფ-კლუბს სექსიზმში დებს ბრალს.

ცნობილია, რომ ტურნირის სპონსორებს შორის მსოფლიოს უმსხვილესი კორპორაციები არიან, მაგალითად, სანავთობო კომპანია Exxon Mobil და IBM. სწორედ IBM-ის გამო წარმოიშვა კამათი. ამჟამად ამ კომპანიის პრეზიდენტი ქალი გახლავთ – **ვირჯინია რომეტი**. მანამდე IBM-ს მამაკაცი ხელმძღვანელობდა და მისი გოლფ-კლუბის წევრად შეყვანა არანაირ პრობლემას არ წარმოადგენდა.

ახლა, მთელი ამერიკა სულგანაბული ელოდება - შეიყვანენ თუ არა რომეტის კლუბის წევრებს შორის. თუ ეს არ მოხდა, შეიძლება გიგანტური მასშტაბების სკანდალი აგორდეს. საქმე შეიძლება იქამდეც კი მივიდეს, რომ "მასტერსმა" ძირითადი სპონსორების მხრიდან ბოიკოტი მიიღოს.

გოლფ-კლუბის პრეზიდენტი **ბილი პეინი** ჯერ ვერ ახერხებს ჟურნალისტების შემოტევის მოგერიებას, რომლებსაც არ ერიდებათ პროვოკაციული შეკითხვების დასმა. პეინი მოკლე კომენტარებით შემოიფარგლება: *"ეს კლუბის შიდა საქმეა და არავის აქვს უფლება თავისი ცხვირი ჩაჰყოს ჩვენს წესებში"*.

შესაძლოა, ფაქტი ვირჯინია რომეტის მაინცდამაინც არ აწუხებს გოლფ-კლუბის წევრობა, მაგრამ აქ პრინციპთან გვაქვს საქმე. ეს ეხება არა მხოლოდ რომეტის, არამედ IBM-ს. თუ კორპორაციის პრეზიდენტს არ მიიღებენ წევრად, ეს სერიოზულად დაარტყამს კომპანიის რეპუტაციას.

*"პირადად მე ძალიან განაწყენებული ვიქნები, თუ ვირჯინიას არ მიიწვევენ გოლფ-კლუბში. საერთოდ, ეს სიტუაცია ველურობად მიმაჩნია. მსოფლიოს ერთ-ერთმა უმსხვილესმა კომპანიამ დარტყმა მიიღო რამდენიმე მოხუცისგან, რომლებსაც გოლფი უყვართ"*, - აღიარა IBM-ის ერთ-ერთმა ფუნქციონერმა.



ამჯერად ვუდსი არაფერ შუაშია

მოტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი

# ახალი ძრავებით და ძველი ფავორიტებით

აპრილის პირველ უქმეებზე გაიმართება მოტოგრან-პრის ახალი სეზონის პირველი ეტაპი - კატარის ღამის გრანპრი. მსოფლიოს მთავარ მოტოსერიაში სიახლეა: მოტომრბოლები ერთლიტრიან პროტოტიპებზე გადასხდნენ, მაგრამ როგორც წინასასეზონო ტესტებმა აჩვენეს, ფავორიტთა სია დიდად არ შეცვლილა.

მოტოგრან-პრიში გადავიდა Moto2-ის მოქმედი ჩემპიონი **შტეფან ბრადლი**, აგრეთვე მისი რამდენიმე ნაკლებად ტიტულოვანი პარტნიორი, საერთო ჯამში კი პელოტონი უცვლელი დარჩა, თუ არ ჩავთლით ვეტერანი **ლორის კაპიროსის** წასვლას.

კვლავინდებურად ძლიერია "ჰონდა", რომელსაც ტიტულის დაცვა უწევს როგორც პირად, ასევე გუნდურ ჩათვლაში. მასთან ახლოს არის "იამაჰა", რომელმაც სეზონებს შორის პაუზისას სპონსორი გამოიცვალა, რაც შეეხება "დუკატის", ის აუტსაიდერებს შორის უნდა მოვიხსენიოთ.

ამიტომაც დიდი ალბათობით შეიძლება იმის თქმა, რომ ტიტულს ერთმანეთში გაითამაშებენ **კეისი სტოუნერი, ხორხე ლორენსო, დანი პედროსა** და, ალბათ, **ბენ სპისი**. ტიტულოვანი **ვალენტინო როსი** და **ნიკი ჰეიდენი** ცალკეულ ეტაპებზე მოგებითაც კმაყოფილი უნდა იყვნენ.

**მონაწილეები**

Repsol Honda Team — კეისი სტოუნერი/დანი პედროსა
Yamaha Factory Racing — ხორხე ლორენსო/ბენ სპისი
Ducati Team — ვალენტინო როსი/ნიკი ჰეიდენი
Monster Yamaha Tech 3 — ანდრეა დოვიციოზო/კელ კრატჩლოუ
LCR Honda MotoGP — შტეფან ბრადლი
Pramac Racing Team — ექტორ ბარბერი
Cardion AB Motoracing — კარელ აბრაჰამი
San Carlo Honda Gresini — ალვარო ბაუტისტა

**კალენდარი**

8 აპრილი — კატარი
29 აპრილი — ესპანეთი
6 მაისი — პორტუგალია
20 მაისი — საფრანგეთი
3 ივნისი — კატალონია
17 ივნისი — ბრიტანეთი
30 ივნისი — ჰოლანდია
8 ივლისი — გერმანია
15 ივლისი — იტალია
29 ივლისი — აშშ
19 აგვისტო — ინდიანაპოლისი
26 აგვისტო — ჩეხეთი
16 სექტემბერი — სან მარინო
30 სექტემბერი — არაგონი
14 ოქტომბერი — იაპონია
21 ოქტომბერი — მალაიზია
28 ოქტომბერი — ავსტრალია
11 ნოემბერი — ვალენსია

**კატარის გრანპრი**

**ჩატარების ადგილი** - ლოსეილი, კატარი
**წრის სიგრძე** - 5 380 მ
**საუკეთესო წრე** - 1:55,153 (სტოუნერი, 2008)

**შარშანდელი ჩათვლა**

1. სტოუნერი (ჰონდა) - 350 ქულა
2. ლორენსო (იამაჰა) - 260
3. დოვიციოზო (ჰონდა) - 228
4. პედროსა (ჰონდა) - 219
5. სპისი (იამაჰა) — 176
6. მარკო სიმონჩელი (ჰონდა) - 139
7. როსი (დუკატი) - 139
8. ნიკი ჰეიდენი (დუკატი) - 132

**განრიგი**

5 აპრილი, 20:55 - I პრაქტიკა
6 აპრილი, 19:00 - II პრაქტიკა
6 აპრილი, 21:55 - III პრაქტიკა
7 აპრილი, 20:55 - კვალიფიკაცია
8 აპრილი, 23:00 — რბოლა

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

დუკატი აუთსაიდერი იქნება



დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** *ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი:* **ნიკოლოზ ნეფარიძე**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384.* *ელფოსტა: leloltd@gmail.com* ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:55

მისამართი: **ოოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია